„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (OECD) მიიჩნევს, რომ ადეკვატური საპენსიო სისტემაა ის, რაც „ანაცვლებს დასაქმებულის შემოსავალს იმ დონეზე, რაც მას საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს ცხოვრების დონის ის სტანდარტი, რომელიც ინდივიდს პენსიაზე გასვლამდე, აქტიური სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ჰქონდა“ (OECD 2013)³⁵. საპენსიო სისტემის ადეკვატურობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელსაც ასევე განიხილავს OECD, არის ის, რომ შემოსავალი არ არის ადეკვატურობის ერთადერთი საზომი და მაშინაც კი, თუ იგი პენსიის პერიოდში უფრო დაბალია, ვიდრე ეკონომიკური საქმიანობის პერიოდში, ეს სულაც არ ნიშნავს, იმას რომ მოხმარების ერთგვაროვანი გადანაწილების მაჩვენებელი ადეკვატური არ არის. OECD ამ მიდგომას გვთავაზობს შემდეგი განმარტებით - პენსიაზე გასული ადამიანის მოხმარების საზომი არის არა შემოსავალი, როგორც ასეთი, არამედ შემოსავალს მინუს დანაზოგი. ის რომ საპენსიო პერიოდში ფულის დაზოგვაზე მოთხოვნა დაბალია ეკონომიკური საქმიანობის პერიოდთან შედარებით, ანეიტრალურებს შემოსავლის შემცირების ფაქტორს.

ოთხი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული პენსიის ადეკვატურობის განმარტებები, ქმნის საბაზისო საფუძველს საპენსიო სისტემის ადეკვატურობის შესაფასებლად. ვინაიდან ეს განმარტებები შეესაბამება პენსიის ადეკვატურობის ორ მნიშვნელოვან დეფინიციას: სიღარიბის პრევენციას და მოხმარების ერთგვაროვან გადანაწილებას მთელი ცხოვრების განმავლობაში.

³⁵ OECD (2013). Pension at a glance: OECD and G20 indicators. OECD Publishing. <http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/8113221e.pdf?expires=1405339587&id=id&accname=guest&checksum=7469A74770F68210E09B31045C28DC4F>

1.2 საპენსიო სისტემების ისტორიული გამოწვევები

საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა გერმანიაში დაიწყო 1889 წელს, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის³⁶ ინიციატივით. ქვეყანაში მიიღეს სიბერისა და შრომისუნარობის დაზღვევის კანონი და შეიქმნა სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელმაც მოიცვა ის მუშები, რომელთა ხელფასი არ აღემატებოდა დადგენილ ზღვარს, ვინაიდან ითვლებოდა, რომ მაღალანაზღაურებადი მუშები დამოუკიდებლად შეძლებდნენ საკუთარი სიბერის უზრუნველყოფას. სადაზღვევო სისტემა ფინანსდებოდა სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანებით. სახელმწიფოს შენატანი შეადგენდა ფიქსირებულ თანხას სისტემის ყველა მონაწილისთვის, მიუხედავად მათი ხელფასების მოცულობისა. სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხების წილი მთლიანი საპენსიო ფონდის 33-40%-ს შეადგენდა. ადამიანს პენსია ენიშნებოდა 70 წლიდან, ან შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იყო მუშაობის განმავლობაში განხორციელებული შენატანების ოდენობაზე. სისტემა მიზნად ისახავდა პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებას, რომელიც ადამიანს მუშაობის პერიოდში ჰქონდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ბისმარკის მოდელი, რომელიც გულისხმობს მომუშავეთა შენატანების პროპორციულ გადანაწილებას პენსიონერებზე და, შესაბამისად, ეფუძნება თაობათა სოლიდარობის პრინციპს, ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში გავრცელდა. მათ შორის ლუქსემბურგში (1911), რუმინეთში (1912), შვედეთსა (1913) და ნიდერლანდებში (1913). მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საპენსიო დაზღვევის სისტემა გავრცელდა ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, კუბა, ეკვადორი, ურუგვაი), თუმცა ბენეფიციართა წრე მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. პენსიას მხოლოდ კონკრეტულ სფეროში

³⁶ ოტო ბისმარკმა (1815-1898 წწ.) გერმანიის იმპერიის კანცლერობის პერიოდში 10 წელზე მცირე დროში შექმნა სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც მოიცავდა მოხუცებულობისა და ინვალიდობის დაზღვევის შესახებ კანონსაც (1884 წ.)

დასაქმებულები იღებდნენ. მხოლოდ ჩილეს საპენსიო სისტემაში მონაწილეობის უფლება არ შემოიფარგლებოდა კონკრეტული დარგით. ჩილეს საპენსიო დაზღვევის სისტემაში ჩართული იყო ყველა დასაქმებული, რომელთა შემოსავალი არ აღემატებოდა დადგენილ ზღვარს (უროტაძე, 2018)³⁷. ბისმარკის მოდელისაგან განსხვავებული მოდელის დანერგვა დაიწყო დანიაში, ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში. ის მიზნად ისახავდა არა პენსიონერის ცხოვრების დონის შენარჩუნებას, არამედ სიღარიბის შემცირებას, პენსიები საერთო გადასახადებიდან ფინანსდებოდა და მხოლოდ ღარიბ ხანდაზმულთათვის იყო განკუთვნილი.

დიდ ბრიტანეთში საპენსიო სისტემის შემოღების პირველივე ათწლეულებიდან მოყოლებული იზრდებოდა საპენსიო დანახარჯები და პენსიონერთა რაოდენობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ 1908 წლიდან 1933 წლამდე გაორმაგდა პენსიები, ასევე გაიზარდა პენსიის მიღების უფლების მოსაპოვებლად საჭირო მაქსიმალური შემოსავლის ზღვარი. საპენსიო ასაკი იყო 70 წელი. შენატანებზე დაფუძნებული სოციალური დაზღვევის სისტემა დიდ ბრიტანეთში პირველად 1911 წელს „ეროვნული დაზღვევის აქტით“ (National Insurance Act) შემოიღეს და ეხებოდა ავადმყოფობისა და უმუშევრობის დაზღვევას. 1928 წლიდან ამოქმედებული საპენსიო დაზღვევის ფარგლებში პენსიის მიღების უფლება მიენიჭა 65 წელს მიღწეულ პირს, რომელიც 5 წელი მაინც ახორციელებდა შენატანებს. საპენსიო შენატანების ოდენობა იყო ფიქსირებული და არ იყო დამოკიდებული ხელფასზე. შენატანებს თანაბრად იხდიდა დასაქმებული და დამსაქმებელი. ამასთანავე, როგორც საპენსიო, ისე სადაზღვევო სისტემა ვრცელდებოდა მხოლოდ დაბალი ანაზღაურების მქონე დასაქმებულებზე.

მეოცე საუკუნეში თანდათანობით დაახლოვდა განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემები. იქ, სადაც პენსიები განისაზღვრებოდა სადაზღვევო შენატანებით (გერმანია), შემოიღეს გარანტირებული მინიმალური პენსია, რომელიც არ იყო დამოკიდებული შენატანების ოდენობაზე. ქვეყნებში, სადაც თანაბარი ოდენობის პენსიები იყო და დაფინანსების წყაროს საერთო გადასახადები (სახელმწიფო ბიუჯეტი)

³⁷ უროტაძე ჯ. (2018) საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

წარმოადგენდა, გაუქმდა სიღარიბეზე კონტროლი და პიროვნების მატერიალური მდგომარეობა აღარ განიხილებოდა, როგორც საპენსიო უზრუნველყოფის წინაპირობა.

დიდ ბრიტანეთში 1946 წელს მიღებული ეროვნული დაზღვევის აქტით, თანაბარი ოდენობის მინიმალურ პენსიას დაემატა სავალდებულო სოციალური დაზღვევა. უნივერსალურ საპენსიო დაზღვევასთან ერთად შემოღებულ იქნა უმუშევრობისა და შრომისუუნარობის უნივერსალური დაზღვევა, ასევე უფასო ჯანდაცვის მომსახურება ყველა მოქალაქისთვის. 1942 წელს ამ ცვლილებებს საფუძვლად დაედო ეკონომისტ უილიამ ბევერიჯის შრომები (Beveridge, 1942)³⁸. ასე ჩაეყარა საფუძველი ბისმარკისეული მოდელისაგან განსხვავებულ მეორე - ბევერიჯის მოდელს. ის გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულ, მინიმალურ და წინასწარ შეთანხმებულ საპენსიო უზრუნველყოფას მთელი მოსახლეობისთვის. საბაზისო სახელმწიფო პენსია არ არის დამოკიდებული ადამიანის ცხოვრების დონესა და შემოსავალზე. შესაბამისად, ამ საპენსიო მოდელში გავრცელდა დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფის რეჟიმები, ძირითადად, დაგროვების პრინციპზე აგებული. საპენსიო სისტემების ბევერიჯისეულ მოდელში სახელმწიფო პენსიას შეუძლია მოსახლეობის დაცვა მხოლოდ სიღარიბისგან, ხოლო მეტნაკლებად ცხოვრების ღირსეული დონის შენარჩუნება დამოკიდებული იყო დასაქმებულის დამატებით საპენსიო სქემებში მონაწილეობაზე, რომლის წარმატებაც, თავის მხრივ, მოითხოვდა სახელმწიფოს ფინანსურ სტაბილურობასა და მყარ ეკონომიკას.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შენატანებზე დაფუძნებულმა დაგროვებითმა საპენსიო სადაზღვევო სისტემებმა დიდი მოცულობის რეზერვები შექმნეს, რადგან სისტემას ახალი მონაწილეები ემატებოდა, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა პირველ ეტაპზე საკმაოდ მცირე იყო. ამ რეზერვების არსებობის გამო სახელმწიფოებს


³⁸ ბრიტანეთის მთავრობის დავალებით 1942 წელს შეიქმნა სამინისტროთაშორისი კომისია სოციალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ამ კომისიას ხელმძღვანელობდა ლორდ უილიამ ჰენრი ბევერიჯი (1879-1963 წწ.), რომელიც მანამდე ცნობილი იყო, როგორც სოციალური დაზღვევის სისტემისა და უმუშევრობის თემატიკაზე შექმნილი მრავალი პუბლიკაციის ავტორი. 1942 წელს ლორდმა ბევერიჯმა წარმოადგინა მოხსენება (კომისიის ანგარიშის ფორმით), სადაც რეკომენდებული იყო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა შენატანების საფუძველზე, რათა ყველა მოქალაქეს დაცვის მაღალი ხარისხი ჰქონოდა ავადმყოფობის, უმუშევრობისა და პენსიაზე გასვლის შემთხვევაში.

ჰქონდათ საშუალება უფრო მეტი დაეხარჯათ ასაკით პენსიონერებსა და ზოგადად სოციალურ სფეროზე: გაეზარდათ პენსიები, გაეფართოებინათ პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრე და ნაკლებად მკაცრი გაეხადათ პენსიის დანიშვნის პირობები.

საპენსიო სისტემის განვითარების საწყის ეტაპზე სავალდებულო შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სისტემის მონაწილეები, ძირითადად, იყვნენ მრეწველობაში დასაქმებული შედარებით დაბალი ხელფასის მქონე მუშები. მხოლოდ შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საწყის ეტაპზევე (1913 წელს) შემოიღო საპენსიო დაზღვევის სისტემა, რომელიც გავრცელდა ყველა დასაქმებულზე, მიუხედავად მათი შემოსავლებისა და პროფესიისა.

მე-20 საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდნენ და საბიუჯეტო შემოსავლები საგრძნობლად იზრდებოდა, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა სულ უფრო მეტად იყო მიმართული არა კონკრეტული დარგის, არამედ მთლიანად მოსახლეობის მოცვისკენ. ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ მიზნად დაისახა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნა, ბევრიც უნივერსალური მოცვის პრინციპის შესაბამისად. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში და მშპ-თან შედარებით. ეს ტენდენცია დროის უმეტეს მონაკვეთში შენარჩუნებულია, რაც კარგად ჩანს გრაფიკ #1-ზე.

გრაფიკი 1. საპენსიო დანახარჯები როგორც მშპ-ს % (OECD ქვეყნები, 1980-2017 წლები)



ავტორის გრაფიკი
 სტატისტიკური მონაცემები: OECD data base³⁹


მე-20 საუკუნის განმავლობაში საპენსიო დაზღვევის სისტემაში მონაწილეთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ის საყოველთაო გახდა და მხოლოდ ერთეულ დარგებს აღარ ეხებოდა, არამედ მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპებით, რასაც მოჰყვა სამუშაო ძალის მკვეთრი ზრდა. კიდევ ერთი მიზეზი სამუშაო ძალისა და საპენსიო დაზღვევის სისტემაში მონაწილეთა რიცხვის ზრდისა იყო ქალების მეტი ჩართულობა პრომით ურთიერთობებში. სამუშაო ძალის რიცხოვნობის ზრდა იწვევდა დიდი მოცულობის საპენსიო რეზერვების დაგროვებას, რამაც მოტივაცია გაუჩინა სახელმწიფოებს, რომ მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული გადასულიყვნენ გადანაწილებით (pay as you go (PAYG)) საპენსიო სისტემაზე. აღნიშნული სისტემის ფარგლებში შენატანების გადამხდელების მიერ აღარ ხდებოდა თანხების დაგროვება, რადგან თანხები მიიმართებოდა იმდროინდელი ხანდაზმულების საპენსიო უზრუნველყოფისკენ,

³⁹ <https://data.oecd.org/socialexp/pension-spending.htm>

ხოლო სანაცვლოდ, შენატანების გადამხდელებს სახელმწიფო ჰპირდებოდა გარკვეული მოცულობის პენსიებს სამომავლოდ, რაც მომავალი დასაქმებულების შენატანებით დაფინანსდებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ამავე პერიოდში განხორციელდა, იყო ის, რომ ხანდაზმულ ადამიანებს შეეძლოთ ეცხოვრათ მხოლოდ პენსიის ხარჯზე.

საპენსიო დანახარჯების ზრდაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის განმავლობაში საპენსიო ასაკის მნიშვნელოვანმა შემცირებამაც. OECD ქვეყნებში საშუალო საპენსიო ასაკი 1970 წელს იყო 68.4 წელი კაცისთვის და 66.4 წელი ქალისთვის. ხოლო 2000 წლისთვის იგივე მაჩვენებელი იყო შესაბამისად 63.2 წელი და 61.1 წელი. საპენსიო სისტემებზე გაზრდილი მონეტარული წნეხისა და დემოგრაფიული ვითარების გამო მიმდინარე და უახლოეს მომავალში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად, მოსალოდნელია, რომ 2010 წელთან შედარებით, 2050 წლისთვის, კაცების საშუალო საპენსიო ასაკი გაიზრდება 2.5 წლით, ქალების - 4 წლით და მიაღწევს 65 წელს ორივე სქესისთვის, თუმცა სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება, რის გამოც საპენსიო ასაკში სიცოცხლის ხანგრძლივობა 2050 წლისთვის მოიმატებს (გრაფიკი #2).

გრაფიკი 2. მოსახლეობის ზრდის პროგნოზი მსოფლიოში, 1950-2100 წელი




წყარო: United Nations – Population Division (2019 Revision)

<https://ourworldindata.org/future-population-growth>

საპენსიო ასაკის შემცირებამ და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანის პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობა, რამაც ასევე გაზარდა საპენსიო დანახარჯები. გრაფიკ #3-ზე მოცემულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები საქართველოსა და მსოფლიოსთვის.

გრაფიკი 3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, 1950-2019 წელი




ავტორის გრაფიკი

სტატისტიკური მონაცემები: Riley (2005), Clio Infra (2015) და UN Population Division (2019): <https://ourworldindata.org/world-population-growth>

1958 წელს იმ ქვეყნებში, რომლებიც ღღეს OECD-ის შემადგენლობაში შედიან, პენსიაზე ყოფნის საშუალო ასაკი შეადგენდა 13.4 წელს, 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 18.5-მდე და არსებული პროგნოზის მიხედვით, 2050 წელს პენსიაზე ყოფნის საშუალო საპროგნოზო ასაკი არის 20.3 წელი (გრაფიკი #4).

გრაფიკი 4. პენსიაზე ყოფნის საშუალო ასაკი OECD ქვეყნებში, სქესის მიხედვით (1958-2050 წლები)



ავტორის გრაფიკი

სტატისტიკური მონაცემები: OECD data base⁴⁰

უნივერსალური საპენსიო დაზღვევის სისტემის დანერგვისა და განვითარების შედეგია ის, რომ, გაიზარდა ჩანაცვლების კოეფიციენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღამიანთა შემოსავალი მკვეთრად არ ეცემა პენსიაზე გასვლის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემები მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში უმეტესად ბისმარკის მოდელის მიხედვით იყო შექმნილი და არ იყო დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე. საპენსიო სისტემა ვრცელდებოდა მხოლოდ მრეწველობისა და მომსახურების სფეროში დასაქმებულებზე. გასული საუკუნის პირველ ნახევარში სისტემას დაგროვებითი ხასიათი ჰქონდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში არსებული ტენდენციების შესაბამისად, დაეფუძნა გადანაწილებით პრინციპს. საპენსიო სისტემის მოცვა თანდათან იზრდებოდა და 1960-1970-იან წლებში გახდა უნივერსალური. სოციალისტური საპენსიო სისტემების

⁴⁰ https://www.oecd-ilibrary.org/docserver/pension_glance-2011-5-en.pdf?expires=1603139832&id=id&accname=guest&checksum=6B2B95358CFB73C66B8C1DF850C6CBA2

საშუალო ჩანაცვლების კოეფიციენტი აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან შედარებით იყო დაბალი – 40%.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და იმისათვის, რომ შემცირებულიყო უმუშევრობის მასშტაბები, გამარტივდა პენსიაზე ადრე გასვლისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის მოპოვების პირობები. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვა პენსიონერთა რაოდენობისა და სისტემის დამოკიდებულების კოეფიციენტის მკვეთრი ზრდა, რამაც გაზარდა წნეხი სახელმწიფო ბიუჯეტზე და საფრთხე შეუქმნა საპენსიო სისტემის მდგრადობას.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში მინიმალურ და მაქსიმალურ პენსიებს შორის სხვაობა მცირე იყო, ხოლო ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნები) შემოიღო თანაბარი ოდენობის პენსია ყველასათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევარში მოხდა პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის დონის ზრდის სტაბილიზაცია. ამ პერიოდში შემოღებულ იქნა პენსიის ავტომატური ინდექსაციის წესები. თუმცა, თუ სოციალისტური წყობის პერიოდში ადამიანების შემოსავლებს შორის სხვაობა მცირე იყო და პენსიების ოდენობას შორის სხვაობაც არ იყო დიდი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, თანდათან ღრმავდებოდა დიფერენციაცია ადამიანების შემოსავლებსა და ხელფასებს შორის. ამიტომ, ისინი, ვისაც შედარებით უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდა, ითხოვდნენ, რომ პენსიები უფრო მეტად ყოფილიყო დამოკიდებული პენსიაზე გასვლამდე არსებულ ხელფასზე. ამ ფაქტორებმა წაახალისა საპენსიო სისტემების მასშტაბური რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, როგორც წესი, დაგროვებითი საპენსიო სისტემა წარმოადგენს არსებული გამანაწილებელი თუ სოციალური პენსიის დანამატს. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა შემოიღო ლატვიაში, ესტონეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ყაზახეთში, პოლონეთში, ხორვატიაში, მაკედონიაში და რუმინეთში.

დაგროვებითი სისტემა მსოფლიო საპენსიო სისტემების რეფორმების მთავარი ვექტორია. რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოსგან კონტროლირებადი. ბოლო ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში დაგროვებითი პენსიის როლი გაიზარდა და, შესაბამისად, შემცირდა სახელმწიფო პენსიის წილი. არსებობს ქვეყნები, სადაც დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულოა მონაწილეობის მიღება (სახელმწიფო პენსიასთან ერთად), ასეთებია: ავსტრალია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ისლანდია, ისრაელი, ნორვეგია, პოლონეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, შვეიცარია. ქვეყნების ნაწილში დაგროვებით პენსიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია: იტალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი და სხვა. სოციალისტური ბანაკის ყოფილი წევრებიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაზე პირველი გადავიდა უნგრეთი, პოლონეთი, ლატვია და ყაზახეთი.


2008 წლის მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობამ დროებით, ან განუსაზღვრელი ვადით შეზღუდა შენატანების გადარიცხვა კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში და დაგროვებული თანხები გადაიტანა მიმდინარე საპენსიო ვალდებულებების დასაფინანსებლად სახელმწიფო გადანაწილებით საპენსიო სქემაში. საინტერესოა გამოვკვეთოთ ის ფაქტორები, რომლებმაც 21-ე საუკუნის დასაწყისში ბევრი ქვეყნის საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში, ვინაიდან ზოგიერთი ამ ფაქტორთაგან Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც შეიძლება გახდეს აქტუალური:

- ✓ 2000-2007 წლები მთელ მსოფლიოში ხასიათდება ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპებით. იგივე ტენდენცია იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;
- ✓ 1970-80-იან წლებში უმეტეს ქვეყნებში შობადობის გაზრდილი მაჩვენებლის გამო, იზრდება პრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის, შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა საპენსიო ასაკის მოქალაქეებთან მიმართებაში. დასაქმებულთა რაოდენობისა და გადასახადების ზრდამ, ლოგიკურად გამოიწვია გადანაწილებითი საპენსიო სქემების პროფიციტი;

- ✓ თუმცა, 1990-იან წლებში, ასევე ბევრ ქვეყანაში, მცირდება შობადობა, რასაც მომდევნო წლებში ლოგიკურად მოჰყვება სამუშაო ძალის ზრდის ტემპების შემცირება;
- ✓ ბევრი ქვეყნის შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით გამოწვეული სახელმწიფოს შემოსავლების ზრდის შედეგად გაჩენილი დამატებითი რესურსები გამოიყენეს სახელმწიფო პენსიების მკვეთრად გასაზრდელად, რამაც მომდევნო წლებში სახელმწიფო საპენსიო სისტემის არამდგრადობა გამოიწვია;
- ✓ ამ ცვლილებების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილის საპენსიო სისტემები 2007 წელს დაწყებულ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს მოუმზადებელი შეხვდნენ. მათი საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც გაართულა გაზრდილი სოციალური ვალდებულებების სრულად დაფინანსება;
- ✓ ბევრმა ქვეყანამ ასევე გაამკაცრა სახელმწიფო პენსიის გაცემის წესი და პირობები, რაც გამოიხატა საპენსიო ასაკის გაზრდით; პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლის პირობების გამკაცრებით; პენსიის ინდექსაციის დროებით შემზღვევითა და ინდექსაციის ნაკლებად ხელსაყრელი წესის (მაგალითად, გადასვლა პენსიის საშუალო ხელფასთან ინდექსაციიდან, ინფლაციასთან ინდექსაციისკენ) შემოღებით.

ბევრი ქვეყანა ღღესაც საპენსიო სისტემების ცვლილებების ეტაპზეა. განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნების შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალურია საპენსიო ასაკისა და საპენსიო ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლების შემცირება, ასევე 55+ ასაკის მოსახლეობის სტიმულირება დასაქმების ბაზარზე უფრო დიდხანს დარჩენისათვის. დასაქმების ბაზართან დაკავშირებული ინდიკატორების გაუმჯობესებას საპენსიო სისტემების ფისკალური წნეხის შესამცირებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამაზე მეტყველებს გრაფიკი #5-ზე ასახული მაჩვენებლები - გრაფიკზე მოცემულ ქვეყნებში საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, მკვეთრად უნდა გაიზარდოს 65+-ს ასაკის ადამიანთა წილი ყოველ 100 დასაქმებულზე.

გრაფიკი 5. 65+ ასაკის ადამიანთა რაოდენობა ყოველ 100 აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფზე, 2020 წელი; 2060 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი



წყარო: Pensions at a Glance 2019: OECD and G20 Indicators

(https://www.oecd.org/newsroom/Population-ageing_en-01.jpg)

მართალია, დაგეგმილი ცვლილებები დიდი ალბათობით საწყის ეტაპზე გამოიწვევს ჩანაცვლების კოეფიციენტის შემცირებას, თუმცა დემოგრაფიული სურათის გათვალისწინებით, ცვლილებები საპენსიო სისტემებში გარდაუვალია. ვინაიდან ჩვენი რაოდენობრივი კვლევის ობიექტი, საქართველოსთან ერთად, ევროპული ქვეყნების საპენსიო სისტემებია, უშუალოდ კვლევის ნაწილზე გადასვლამდე მათი საპენსიო სისტემების მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ.

რაოდენობრივი კვლევის სუბიექტი ქვეყნების საპენსიო სისტემების მოკლე მიმოხილვა

დღეს ქვეყნების საპენსიო სისტემების უმეტესობა ეყრდნობა მრავალსვეტიან სისტემას, რომელშიც საპენსიო სქემები ერთმანეთისგან განსხვავდება სისტემაში მონაწილე პირთა ოდენობის, დაფინანსების პრინციპისა და დაცულობის დონით. პირველი სვეტი არის სახელმწიფოს მიერ სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული საბაზისო პენსია. მეორე სვეტი წარმოადგენს დაგროვებით სისტემას, რაც განსაზღვრული შენატანის (Defined Contribution) ან განსაზღვრული ბენეფიტების (Defined Benefits) პრინციპზეა დაფუძნებული და მესამე სვეტი წარმოადგენილია ნებაყოფლობითი საპენსიო უზრუნველყოფის სახით, კერძო საპენსიო სქემების მეშვეობით.

მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო პრაქტიკაში დაგროვებითი სისტემის წილი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რომელიც შესაძლებელია იყოს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო. საპენსიო რეფორმების შემდეგ, ბოლო პერიოდში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, დაგროვებითი პენსიის როლი გაიზარდა. ინდივიდუალურ დანაზოგებზე დაყრდნობილ სისტემას გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობები ეფექტიანობის თვალსაზრისით. იგი საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, მოქალაქემ უკეთ დაგეგმოს მომავალი საპენსიო შემოსავალი და მნიშვნელოვნად გაზარდოს მისაღები პენსია, ხოლო მეორე მხრივ, ამის მიღწევა შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ინტერვენციის გარეშე, რაც ამცირებს ფისკალურ წნევს.

მსოფლიოში მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემების განვითარების კვლადაკვალ შეიქმნა „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი პრინციპები და გზამკვლევები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყანაში გატარებულ საპენსიო

სისტემის რეფორმას. ევროპასა და აშშ-ში დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობს მოსახლეობის დაახლოებით 80%, აზიის ქვეყნებში - 40%, ხოლო აფრიკის ქვეყნებში - მოსახლეობის მხოლოდ 5%. საპენსიო სისტემის რეფორმის ამოქმედებამდე საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 0.62%-ს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018).

მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ რამდენიმე განვითარებული ქვეყნისა და საინტერესო ისტორიის მქონე საპენსიო სისტემას მოკლედ და ასევე გავამახვილებთ ყურადღებას იმ ქვეყნებზე, რომელიც არიან ჩვენი რაოდენობრივი კვლევის მონაწილე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემული დისერტაციის ფარგლებში ჩვენ არ განვიხილავთ რომელიმე საპენსიო სისტემის ნაკლოვანებებსა და ძლიერ მხარეებს სიღრმისეულად, ჩვენი მიზანია მოკლედ გავეცნოთ თუ რა ტიპის საპენსიო სქემა მოქმედებს და როგორია ამა თუ იმ ქვეყნის საპენსიო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რათა გამოვკვეთოთ ის ცვლადები და პარამეტრები, რომელიც ყველაზე ხშირად ახდენს დადებით ან/და უარყოფით გავლენას საპენსიო სისტემის ფუნქციონირებაზე.

აშშ - ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საპენსიო სისტემა. ამის წყალობით ამერიკელებს შეუძლიათ ჰქონდეთ ერთდროულად 3 პენსია: სახელმწიფო; კერძო კოლექტიური და კერძო ინდივიდუალური, პირადი საპენსიო ანგარიშის სახით. გასანაწილებელი სისტემით პენსიონერები იღებენ პენსიას დღეს მომუშავეთა საპენსიო შენატანების მიხედვით. უმსხვილესი სახელმწიფო საპენსიო სისტემა წარმოადგენს საერთო ფედერალურ პროგრამას, რომელიც მოიცავს კერძო სექტორის ყველა დასაქმებულს. ის გადანაწილებით პრინციპზეა აგებული და მოქმედებს 1935 წლის „სოციალური დაზღვევის შესახებ“ კანონის თანახმად და უზრუნველყოფს მინიმალურ პენსიას. დაგროვებითი სისტემა მოიცავს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საპენსიო პროგრამებს. სახელმწიფო დაგროვებითი პროგრამები გათვლილია მხოლოდ სამთავრობო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულებზე. დასაქმებულებს ეკონომიკის კერძო სექტორიდან, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დამატებით სახელმწიფო

საპენსიო პროგრამებში, რომლებიც იქმნება სამუშაო ადგილებზე. ასეთ პროგრამებში წინასწარ არის განსაზღვრული გადასახადის ოდენობა, რომელსაც იხდის მხოლოდ დამსაქმებელი. კერძო საპენსიო პროგრამაში მონაწილეობის უფლებას დასაქმებული მოიპოვებს მხოლოდ კონკრეტულ სამსახურში 5-10 წლის მუშაობის შემდეგ. აქ საპენსიო შენატანი წინასწარ არის განსაზღვრული და შენატანებს თანაბრად ახორციელებს დასაქმებული და დამსაქმებელი პირად საპენსიო ანგარიშზე. გარდა ამისა, თითოეულ ამერიკელს შეუძლია თვითონაც გახსნას პირადი საპენსიო ანგარიში კომერციულ და შემნახველ ბანკებში, საპაიო ფონდებში და სადაზღვევო კომპანიებში. ანგარიშიდან თანხის მოხსნა აკრძალულია 59 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო 79.6 წლის ასაკის მერე სავალდებულოა ანგარიშის დახურვა.

კანადა - საპენსიო სისტემა შედგება სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან. ხანდაზმულობის ანუ სახელმწიფო პენსია, გაიცემა 65 წლის ასაკიდან. ამ პენსიის ოდენობა დამოკიდებულია კანადაში ცხოვრების ხანგრძლივობაზე. იმისათვის, რომ პირმა მიიღოს აღნიშნული პენსია სავალდებულოა იყოს 65 წელს მიღწეული; კანადის მოქალაქე ან ჰქონდეს მუდმივად მცხოვრების სტატუსი და იცხოვროს კანადაში ბოლო 10 წელი. კანადას აქვს შეთანხმება რამდენიმე ქვეყანასთან, რომლის საფუძველზე იმ ქვეყნებში ცხოვრებაც ითვლება საპენსიო სტატუსად. იმისათვის, რომ პენსიამ მაქსიმალურ მაჩვენებლებს მიაღწიოს, კანადაში ცხოვრების 40 წელი უნდა დაუგროვდეს პირს. კანადის საპენსიო სისტემის მეორე ნაწილია დაგროვებითი ანუ პენსია სპეციალური ფონდებიდან, რომელიც კანადაში ყველაზე პოპულარულია. მოქალაქეთა უმრავლესობას სწორედ ამ სახის პენსია აძლევს საშუალებას მაღალი ცხოვრებისეული სტანდარტების შესაქმნელად. დაგროვებით საპენსიო ფონდებში ფულის შეტანა შესაძლებელია 71 წლის ასაკამდე და ის არ იბეგრება. დაგროვებული თანხის გამოტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად. დაგროვებითი პენსია მიიღება 65 წლის ასაკიდან. პენსიის ოდენობა დამოკიდებულია ბენეფიციარის მიერ ფონდში განხორციელებულ შენატანებზე. თითოეული კანადელი 18 წლის ასაკიდან ვალდებულია შემოსავლიდან გარკვეული ნაწილი გადარიცხოს დაგროვებით საპენსიო ფონდში. დაქირავებულ სამუშაოზე მომუშავე მოქალაქის ხელფასიდან ავტომატურად გადაირიცხება თანხა საპენსიო ფონდის ანგარიშზე.

ამასთან, დამქირავებელიც იხდის თანხის ნახევარს.

ჩილე - 1981 წელს დანყებული რეფორმის შედეგად სახელმწიფო საპენსიო სისტემა (PAYG), რომელიც დაფუძნებული იყო განსაზღვრული სარგებლის სისტემაზე (DB) გარდაიქმნა განსაზღვრული პენსიის (DC) სისტემად (მეორე სვეტი). პრომის ბაზარზე ახალი დასაქმებულები ერთვებოდნენ ახალ სისტემაში, ხოლო ისინი, ვინც მომდევნო 5 წლის განმავლობაში უნდა გასულიყვნენ პენსიაზე რჩებოდნენ ძველ სისტემაში. სხვა დანარჩენ დასაქმებულებს ჰქონდათ არჩევანი ახალ სისტემასა და ძველ სისტემას შორის. თვითდასაქმებულთა ჩართულობა ნებაყოფლობითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული 2008 წლამდე. დასაქმებულის კონტრიბუცია შეადგენდა 10%-ს და კონტრიბუცია მიემართებოდა კერძო სექტორში ლიცენზირებული ფონდის მმართველთან (AFP). პენსიანებს საპენსიო ფონდში ახორციელებს არა დამქირავებელი, არამედ დაქირავებული. შემდეგ ფონდები ახდენენ მობილიზებული რესურსების ინვესტირებას, მაგრამ თუ მათი საინვესტიციო პოლიტიკა აღმოჩნდება წარუმატებელი, პენსიის გაცემის ვალდებულებას კისრულობს სახელმწიფო. ჩილეში საპენსიო სისტემა არის პრივატიზებული და საპენსიო სქემას ადმინისტრირებას უწევს კერძო საპენსიო ფონდის ადმინისტრატორი კომპანია. ამასთან, არსებობს მესამე სვეტი, დამატებითი საპენსიო სქემები, რომელიც შეიძლება იყოს პროფესიული ან სადაზღვევო კომპანიის საპენსიო სქემა. პენსიაზე გასვლისას პენსიონერს აქვს არჩევანი გადაუნაწილდეს პენსია მთელ დარჩენილ ცხოვრებაზე; აილოს დაგროვილი რესურსი დროის გარკვეულ პერიოდში ან მიიღოს დაგროვილი თანხა ერთიანად.

ხორვატია - საპენსიო სისტემა დაფუძნებულია სამ სვეტზე. პირველი სვეტი წარმოადგენს სახელმწიფო პენსიას, რომელიც ფინანსდება სოციალური გადასახადისგან, რაც შეადგენს 20%-ს. მეორე სვეტი არის სავალდებულო დაგროვებითი სისტემა, სადაც კონტრიბუცია შეადგენს დასაქმებულის ხელფასის 5%-ს. აღნიშნული კონტრიბუცია მიემართება სოციალური გადასახადიდან, ხოლო დარჩენილი 15% მიემართება პირველ სვეტში. მეორე სვეტში მონაწილეობა სავალდებულოა 40 წლამდე პირებისთვის. 40-50 ასაკის შუალედის ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეებს აქვთ არჩევანი სურვილის შემთხვევაში დარჩენენ მხოლოდ პირველ სვეტში ან ჩაერთონ მეორე სვეტში; მესამე სვეტი წარმოადგენს კერძო

ნებაყოფლობით საპენსიო უზრუნველყოფას კერძო სქემების მეშვეობით.

ბულგარეთი - საპენსიო სისტემა დაფუძნებულია სამ სვეტზე. პირველი სვეტი არის სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო პენსია, მეორე სვეტი, წარმოადგენს სავალდებულო დაგროვებით სისტემას, ხოლო მესამე სვეტი ნებაყოფლობითობის პრინციპზეა დამყარებული. კონტრიბუცია პირველ და მეორე სვეტში ჯამურად შეადგენს დარიცხული ხელფასის 17.8%-ს ნებისმიერი დასაქმებულისათვის, ხოლო ადამიანები, რომლებიც 1959 წელს შემდეგ არიან დაბადებულები, პირველ სვეტში სავალდებულო სახით მიმართავენ კონტრიბუციას დარიცხული ხელფასის 12.8%-ის ოდენობით, ხოლო მეორე სვეტში, მონაწილის ინდივიდუალურ ანგარიშზე 5%-ის ოდენობით. აღნიშნულ სქემაში მთლიანი კონტრიბუციის 56% ფინანსდება დამსაქმებლის, ხოლო 44% დასაქმებულის მიერ.

სომხეთი - საპენსიო სისტემის კომპლექსური რეფორმა ქვეყანაში 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, როცა ძალაში შევიდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი“, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ვალდებულნი გახდნენ ხელფასიდან 5% გადარიცხონ საპენსიო ფონდში (ხოლო თუკი ხელფასი 500 ათას დრამს აჭარბებს - 10%). სომხეთს აქვს მრავალპილაროანი საპენსიო სისტემა, რომელიც შემდეგი ნაწილებისგან შედგება: საჯარო პენსია, კერძო სავალდებულო და პროფესიული/ნებაყოფლობითი საპენსიო სქემები. საჯარო პენსია სამ ნაწილად იყოფა და მოიცავს (1) კონკრეტული საჯარო მოხელეების პენსიას; (2) საჯარო პროფესიულ პენსიას, რომელიც დაფუძნებულია სამუშაო წლებზე და ფარავს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში დასაქმებულებს და (3) სამხედრო პენსია. ყველა სახის საჯარო პენსია სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მეორე სვეტი არის კერძო DC სქემაზე დაფუძნებული სავალდებულო პენსია, როდესაც დასაქმებულები და თვითდასაქმებულები საკუთარ ანგარიშებზე ანთავსებენ ინდივიდუალურ საპენსიო შენატანებს. მესამე სვეტი კი არის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები, რომელიც შედგება ბანკების მიერ შეთავაზებული საპენსიო დეპოზიტებისგან, სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული DB სქემებისა და სხვადასხვა საპენსიო ფონდის მიერ შეთავაზებული DC სქემებისგან.

აზერბაიჯანი - ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები

განხორციელდა ქვეყნის საპენსიო სისტემაში. 2017 წლის ზაფხულში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც საპენსიო ასაკის ეტაპობრივად ზრდას ითვალისწინებს – კაცებისთვის 63-დან 65 წლამდე, ქალებისთვის კი – 60-დან 65-მდე. კაცების შემთხვევაში, საპენსიო ასაკი 2021 წლამდე ყოველწლიურად ექვსი თვით იზრდება, ქალებისთვის – 2027 წლამდე. საპენსიო ასაკის ცვლილების პარალელურად, 2017 წლის ივლისიდან აზერბაიჯანში პენსიის ოდენობის განსაზღვრის ფორმაც შეიცვალა. შრომითი პენსიის საბაზო ოდენობის დასანიშნად 12 წლიანი სტაჟის საჭიროება გაუქმდა და გაჩნდა ახალი ელემენტი – პენსიის მინიმალური ოდენობა, რომელიც 110 აზერბაიჯანული მანათით განისაზღვრა. მინიმალურ ოდენობას ემატება ბენეფიციარის მიერ სამუშაო წლების განმავლობაში ინდივიდუალურ ანგარიშზე დაგროვილი თანხა. სახელმწიფო ფონდში შენატანი დამსაქმებლისათვის განისაზღვრა ხელფასის 22%-ის, ხოლო დასაქმებულისთვის - 3%-ის ოდენობით.

ბელგია - მოქმედებს სამ სვეტიანი საპენსიო სისტემა. პირველ სვეტს წარმოადგენს გადანაწილებითი (PAYG) სქემა, მეორე სვეტი შედგება ნებაყოფლობითი დაგროვებითი (როგორც DB, ასევე DC) სქემებისგან და მესამე ნაწილი კერძო საპენსიო სისტემისგან. პირველ სვეტში შენატანები კანონითაა განსაზღვრული და დასაქმებულისათვის შეადგენს 7.5%-ს, ხოლო დამსაქმებლისათვის 8.86%-ს. პენსიები დამოკიდებულია შემოსავლებზე, თუმცა ბელგია საპენსიო ასაკის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფს მინიმალური საპენსიო ანარიცხის გაცემას საშემოსავლო ისტორიის მიუხედავად. ბევრი განვითარებული ქვეყნის მსგავსად, ბელგიაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მწვავედ იდგა საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობის საკითხი. თუმცა რეფორმების გატარება ქვეყანამ მხოლოდ 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დაიწყო. განხორციელებული რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საპენსიო ასაკის გაზრდის გადანყვეტილება 2025 წლისათვის 65-დან 66 წლამდე, ხოლო 2030 წლისათვის 67 წლამდე და პენსიაზე ადრე გასვლის შეზღუდვის მექანიზმების შემუშავება. რის შემდეგაც მკვეთრად გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი 50-64 ასაკობრივ კატეგორიაში - თუ 2007 წელს მითითებულ ასაკობრივ კატეგორიაში დასაქმების

მაჩვენებელი 50% იყო, 2019 წლის მეორე კვარტალისთვის ის 64%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, ბელგიისთვის კვლავ გამოწვევად რჩება საპენსიო ხარჯების ფარდობის მაღალი მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში.

ჩეხეთი - მოქმედებს ტრადიციული სამ სვეტიანი სქემის პირველი და მესამე სვეტი. 1989 წლამდე არსებობდა PAYG სისტემა, ხოლო 90-იანი წლების ბოლოდან ქვეყნის საპენსიო სისტემამ რეფორმირების რამდენიმე ტალღა გაიარა. 2019 წელს მიღებული ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი პენსია (პირველი სვეტი) ორ კომპონენტად იყოფა - პირველი თაობათა სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული გადანაწილებითი სისტემა და მეორე, შენატანებზე დაფუძნებული სქემა. 2019 წლისათვის საპენსიო ხარჯების 80% დაფუძნებული იყო შენატანებზე (დამსაქმებელი იხდის 21.5%-ს, ხოლო დასაქმებული - 6.5%-ს), ხოლო 20% სახელმწიფო ბიუჯეტზე. ჩეხეთში მაღალ დონეზე განვითარებული საპენსიო სისტემის მესამე სვეტი - კერძო საპენსიო სქემების სახით. ამასთანავე, ჩეხეთი ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, სადაც არ მოქმედებს ტრადიციული სამ სვეტიანი საპენსიო სისტემის მეორე სვეტი. 2013-2016 წლებში ქვეყანაში მოქმედებდა შენატანებზე დაფუძნებული მეორე სვეტი, თუმცა მოსახლეობის მხრიდან ნაკლები ინტერესის გამო (შედარებისათვის, მეორე სვეტის ამოქმედებიდან დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში სისტემაში მხოლოდ 83000 მოქალაქე განეწესებინა, მაშინ როცა ჩეხეთის საპენსიო სისტემის მესამე სვეტის მონაწილე იმ პერიოდისათვის იყო 4.3 მილიონი ადამიანი) ის გაუქმდა, ხოლო სამი წლის განმავლობაში აკუმულირებული თანხა გადავიდა პირველი სვეტის საპენსიო ფონდში.

დანია - ნიდერლანდებთან ერთად ბოლო 10 წელია სხვადასხვა საპენსიო ინდექსების რეიტინგის სათავეშია. ქვეყნის საპენსიო სისტემა შედგება სამი სვეტისგან. პირველი სვეტი ფინანსდება საგადასახადო შენატანებით და წარმოადგენს უნივერსალურ პენსიას. მეორე სვეტი არის კერძო საპენსიო სქემები, რომელიც დაფუძნებულია დასაქმების ბაზრის მონაწილეთა შენატანებზე. მესამე სვეტი გულისხმობს საგადასახადო სუბსიდიებზე დაფუძნებულ სქემას, რომელსაც მოქალაქეებს სთავაზობენ სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და ბანკები. დანიისა და ევროკავშირის ლეგალურად მცხოვრებ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს

ჩვეულებრივი და სრული ოდენობის პენსია. ჩვეულებრივი პენსიის მისაღებად საკმარისია დანიაში იცხოვროს დანიის მოქალაქემ ზედიზედ 3 წელი, ხოლო უცხოელმა 10 წელი 15-67 წლის ასაკის მონაკვეთში. სრული ოდენობის პენსიის მისაღებად საჭიროა 40 წლის განმავლობაში დანიაში ცხოვრება. სხვა შემთხვევაში პენსიის ოდენობა ქვეყანაში ცხოვრების წლების პროპორციული იქნება. გარდა სახელმწიფო საპენსიო ფონდებისა, პენსიონერები მონაწილეობას იღებენ მრავალრიცხოვან კერძო საპენსიო ფონდებში. შედეგად, დანიის პენსიონერი ყველაზე დიდ პენსიას იღებს ევროკავშირში, ხშირად ეს ციფრი 2500 ევროს აღწევს თვეში, რაც აბსოლუტური რეკორდია საპენსიო სისტემისთვის.

გერმანია - მოქმედებს სამ სვეტიანი საპენსიო სისტემა, რომელშიც შედის სავალდებულო სახელმწიფო პენსია და პროფესიული და კერძო საპენსიო სქემები. გერმანიის საპენსიო სისტემის ძირითად ნაწილს შეადგენს კარგად განვითარებული პირველი სვეტის საპენსიო სქემა. ის საყოველთაო და თითქმის ყველა მოქალაქეს მოიცავს. პირველი სვეტი ფინანსდება დამსაქმებლებისა და დასაქმებულების შენატანებით, რომელიც ემსახურება ამჟამინდელი პენსიონერების პენსიების გადახდას. პენსია დამოკიდებულია სამუშაო წლებზე, საშუალო შემოსავალსა და პენსიაზე გასვლის პერიოდზე. პენსია ითვლება ცვლადი კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც 1992 წელს შემოიღეს კანონით. საპენსიო ასაკში პენსიაზე გასვლისას ასაკობრივი ფაქტორის კოეფიციენტი 1-ის ტოლია; ვადამდე გასვლის შემთხვევაში, ასაკობრივი ფაქტორის კოეფიციენტი 0.3%-ით მცირდება, ხოლო დაგვიანებული გასვლის შემთხვევაში - იზრდება თვეში 0.5%-ით. სისტემა ისეა დაპროექტებული, რომ მოქალაქე თავად იყოს დაინტერესებული საპენსიო შენატანების გაკეთებით: რაც უფრო მეტს იხდიან, მით მეტი საპენსიო უფლებები ენიჭებათ პენსიაზე გასვლისას. წლიური კოეფიციენტი (საპენსიო ქულები) ტოლია ხელფასის შეფარდებისა (საიდანაც გადაიხდება შენატანები) ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასთან. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის ხელფასი ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის ტოლია, მაშინ ის იღებს 1 საპენსიო ქულას; თუ ორჯერ მცირეა - 0.5 ქულას და ა.შ. თუმცა, არსებობს ინდივიდუალური კოეფიციენტის მაქსიმუმი რომლის მიღებაც შესაძლებელია ერთი წლის მანძილზე. ამასთან, საპენსიო შენატანები გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან

და 1992 წლის აპრილიდან შეადგენს 17.7%-ს. ინდივიდუალური კოეფიციენტის თანხა წარმოადგენს ყველა წლის დაგროვებული ინდივიდუალური კოეფიციენტის (ქულების) ჯამს საპენსიო ასაკის დადგომამდე. ქვეყანაში საშუალო პენსია განისაზღვრება საშუალო ხელფასის მიხედვით და წარმოადგენს საშუალო ხელფასის 65%-ს.

ესტონეთი - 2002 წლიდან გატარებული რეფორმების შემდეგ, საპენსიო სისტემა სამი სვეტისგან შედგება: სახელმწიფო, დაგროვებითი და დამატებით დაგროვებითი. საბაზისო პენსია ეკუთვნის ყველას გამონაკლისის გარეშე. დაგროვებითი პენსია არის სახელმწიფო პენსიის მთავარი დამხმარე საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს პენსიონერისთვის დამატებით შემოსავალს. დაგროვებითი პენსიის მისაღებად პირი საპენსიო ფონდში იხდის დაუბეგრავი ხელფასიდან 2%-ს. თავის მხრივ, სახელმწიფოს მის ანგარიშზე შეაქვს დამატებით 4% იმ სოციალური ბეგარიდან, რომელსაც იხდის დამსაქმებელი. მთლიანად, დასაქმებულის ხელფასიდან საპენსიო ბეგარა იხდება 20%-ის ოდენობით (50-50% დამსაქმებელთან ერთად), მაგრამ თუ პირი იღებს მონაწილეობას დაგროვებითი პენსიის სქემაში, მაშინ მისი ხელფასიდან გადაირიცხება არა 20%, არამედ - 16%. დაგროვებითი პენსია ნებაყოფლობითია 1983 წლამდე დაბადებული პირებისთვის. ნებაყოფლობითი მიერთება შესაძლებელი იყო 1942-1983 წლებში დაბადებულთათვის 2002 წლის 1-ელი მაისიდან 2010 წლის 31 ოქტომბრამდე. 1983 წელს და შემდგომ დაბადებულებისთვის დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა. მათი ვალდებულება იწყება 18 წლის შესრულების შემდგომი წლის პირველ იანვარს. სახელმწიფო და დაგროვებითი პენსია ერთად დაახლოებით პენსიამდელი შემოსავლის 50%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის საპენსიო რეფორმა წარმატებულად ითვლება და ბევრი ქვეყანა მას, როგორც საორიენტაციო მაგალითს განიხილავს რეფორმის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის შიგნით საპენსიო რეფორმის საკითხი ისევ აქტუალური გახდა და საპენსიო პოლიტიკა 2019 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პარტიების საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენდა. არსებული საპენსიო სისტემის მთავარი კრიტიკა მიმართულია მეორე (დაგროვებითი) სვეტისკენ,

რომელსაც ესტონეთში აკრიტიკებენ საინვესტიციო ფონდების დაბალეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის, მაღალი ადმინისტრაციული ხარჯებისა და მოქალაქეებისათვის დაბალი არჩევანის გამო. 2019 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საინვესტიციო პოლიტიკა შერბილდა და დაიგეგმა ცვლილებები ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების მიმართულებით, მიუხედავად ამისა კონსერვატიული პარტიები ითხოვენ, რომ მეორე სვეტის საპენსიო სქემა გახდეს ნებაყოფლობითი და მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება ვადაზე ადრე გამოიტანონ აკუმულირებული თანხები საპენსიო ფონდიდან. ამ იდეას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ამომრჩევლებში, რაზეც არჩევნების შედეგებიც მეტყველებს. 2019 წლის არჩევნებში გამარჯვებული კონსერვატიული პარტია ადგილობრივი სპეციალისტების, ოპოზიციური პარტიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგობის მიუხედავად, აპირებს ზემოთ განხილული ცვლილებების განხორციელებას საპენსიო სისტემაში.

ირლანდია - აქვს სამ სვეტიანი სისტემა - სახელმწიფო პენსია, პროფესიული პენსია და ინდივიდუალური საპენსიო სქემები. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც დასაქმებულია საჯარო სექტორში, ჩართულია პროფესიულ საპენსიო სქემაში. ირლანდიის საპენსიო ფონდების საინვესტიციო საქმიანობა დადებითად ხასიათდება. ნიდერლანდებთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, ირლანდიის საპენსიო სისტემა საუკეთესოა ევროპაში საპენსიო ფონდების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლით. სახელმწიფო პენსია (ეფუძნება თაობათა სოლიდარობის პრინციპს) არ არის დამოკიდებული შემოსავლებზე და 2019 წლისათვის ის ყოველთვიურად 920 ევროს შეადგენდა, რაც ქვეყანაში საშუალო შემოსავლის დაახლოებით მესამედია. ამასთანავე, ირლანდიელთა 55% სახელმწიფო საპენსიო სქემის პარალელურად ჩართულია სხვადასხვა სახის საპენსიო გეგმაში. ბოლო წლებში ქვეყანაში DB სქემებიდან DC სქემებზე გადასვლის ტენდენცია მზარდია.

საბერძნეთი - მოქმედებს გადანაწილებითი (PAYG) კორპორატიული სისტემა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა პროფესიულ საპენსიო ფონდს. იტალიასა და გერმანიასთან ერთად, საბერძნეთი ევროპის პირველ სამეულშია მთლიან მოსახლეობაში 65+ ასაკის მოქალაქეების მაღალი წილით, რაც ლოგიკურად ზრდის

წნებს საპენსიო სისტემაზე. მაგალითისათვის, 2012 წლისათვის საბერძნეთის დანახარჯები საპენსიო სისტემაზე შეადგენდა მშპ-ს 17.6%-ს, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და 2015 წლისთვის 17.8%-ს მიაღწია (EU28 საშუალო მაჩვენებელი 12.8%). გარდა ამისა, 2009 წელს, ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისისა და გაზრდილი უმუშევრობის ფონზე, საბერძნეთის საპენსიო ფონდების მოცულობა დაახლოებით 1/3-ით შემცირდა. შედეგად, საბერძნეთის საპენსიო სისტემა ფინანსურად ძალზედ არამდგრადია. 2010 წლიდან მოყოლებული ქვეყნის საპენსიო სისტემაში ბევრი ცვლილება განხორციელდა, რომელიც პირველ რიგში მიზნად საპენსიო ხარჯების წილის შემცირებას ისახავდა მშპ-ში. 2016 წელს მიღებული ცვლილებების შემდეგ, დღეს ქვეყანაში არსებობს ორი სახის პენსია - ეროვნული პენსია (ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) და „გადანაწილებითი“ პენსია, რომელიც ეფუძნება სამუშაო წლების განმავლობაში მიღებულ საშუალო ხელფასს, პენატანების ხანგრძლივობასა და ჩანაცვლების კოეფიციენტს.

ესპანეთი - მოქმედებს სამ სვეტიანი საპენსიო სისტემა, საიდანაც პირველ სვეტს წარმოადგენს სავალდებულო PAYG სისტემის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო პენსია, ხოლო მეორე და მესამე სვეტს ნებაყოფლობითი ინდივიდუალური და კორპორაციული საპენსიო სქემები. საპენსიო სისტემის მომსახურებაზე განეული საჯარო დანახარჯები ესპანეთში ძალიან მაღალია, რაც განაპირობებს სისტემის მდგრადობის დაბალ მაჩვენებელს. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ (რომელიც ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად ესპანეთში კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდა და გაღრმავდა) რამდენიმე წლის განმავლობაში შემცირდა ესპანეთის სოციალური უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი სარეზერვო ფონდის მოცულობა პიკურ პერიოდში არსებული 66 მილიარდი ევროდან 2019 წლის შემოდგომისათვის 1.5 მილიარდ ევრომდე. ამას ემატება ისიც, რომ დემოგრაფიული ვითარება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საპენსიო სისტემაზე, ერთ-ერთი ყველაზე უარესია ევროპის ქვეყნებს შორის. ზემოთ დასახელებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ესპანეთის საპენსიო სისტემის მდგრადობის შემცირება და დებატები სისტემის კომპლექსური რეფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებით 2010-2018 წლებში.

საფრანგეთი - მოქმედებს გადანაწილებითი სისტემა და სახელმწიფო უხდის

პენსიონერს პენსიას აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის შენატანების საფუძველზე. საბაზისო და დამატებით საპენსიო დაზღვევაში მონაწილეობა სავალდებულოა. საპენსიო შენატანები გაყოფილია დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის. თავისუფალი პროფესიის ადამიანებისთვის და წვრილ მენარმეთათვის საპენსიო ფონდში ყოველთვიური გადასახადი შეადგენს შემოსავლის 16.35%-ს. ქვეყნის საპენსიო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე „გულუხვია“ მსოფლიოში. საფრანგეთში პენსია შეადგენს საშუალო ხელფასის 50%-ს, რომელიც იანგარიშება ბოლო 11 სამუშაო წლის მიხედვით. არსებობს მინიმალური და მაქსიმალური სახელმწიფო პენსიის ოდენობა. მინიმალური პენსია დაახლოებით 6 ათასი ევროა წელიწადში, ხოლო მაქსიმალური - 12 ათასი. საპენსიო სისტემის გარკვეული ცვლილებების საჭიროება საფრანგეთშიც დგას. ეს განსაკუთრებით ეხება საპენსიო ასაკის ზრდასა და საპენსიო სქემის შიგნით სხვადასხვა რეჟიმის გაერთიანებას. 2019 წლისათვის საფრანგეთის სახელმწიფო საპენსიო სქემა 42 ტიპის სოციალურ რეჟიმს მოიცავდა, რომლის თარგლებშიც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა პროფესიის მიხედვით საპენსიო განაცემები ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, პრივილეგირებული საპენსიო სქემით სარგებლობენ ისეთი სფეროს წარმომადგენლები, როგორც არიან მალაროელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკები, მებღვაურები, მეთევზეები და სხვა. დაგეგმილი ცვლილებები გულისხმობს დღეს არსებული ე.წ. პრივილეგირებული პროფესიების გათანაბრებას სხვა პროფესიებთან და საპენსიო განაცემების ერთმანეთთან დაახლოებას, რაც, საპენსიო ასაკის ზრდის გადანყვეტილებასთან ერთად, დიდ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობის ნაწილში. ამიტომ საფრანგეთში 2019 წლისათვის დაანონსებული რეფორმების ამოქმედება გადაიდო.

იტალია - საპენსიო სქემა დაფუძნებულია ანგარიშთა ეროვნულ სისტემაზე. საპენსიო ანარიცხების ინდექსაცია მიბმულია რეალური მშპ-ს ზრდაზე. სამუშაო წლების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო თანხის კონვერტაცია ხდება პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის საშუალო წლების მიხედვით. ეროვნულ ანგარიშზე შენატანები ხორციელდება 33%-იანი განაკვეთით. საიდანაჯ, დაახლოებით, ერთი მესამედი გადაიხდება დამსაქმებლის, ხოლო ორი მესამედი დასაქმებულის მიერ. 2018

წლისათვის იტალიაში საპენსიო ასაკი იყო 66 წელი კაცებისათვის და 65 ქალებისათვის. თუმცა 2011 წელს დაწყებული რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ე.წ. „ასაკობრივი დერეფანი“ 62-70 წლამდე, რომლის დროსაც მოქალაქეს შეუძლია თვითონ აირჩიოს პენსიაზე გასვლის დრო. პენსიების მოცულობა დიდწილად დამოკიდებულია პენსიაზე გასვლის ასაკთან - რაც უფრო ადრე გადის მოქალაქე პენსიაზე მით ნაკლებია მისი პენსია და პირიქით, რამაც მოქალაქეებს დასაქმების ბაზარზე უფრო დიდხანს დარჩენის სტიმული შეუქმნა. რეფორმების ამავე ტალღის ფარგლებში შემცირდა საპენსიო ანარიცხების დონე მაღალშემოსავლიანი ჯგუფისათვის. ამ ცვლილებებმა იტალიის საპენსიო სისტემა ფინანსურად უფრო მყარი გახადა, თუმცა შეიძლება ითქვას რომ მხოლოდ რამდენიმე წლით. დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში ისეთია, რომ დღეს ახალგაზრდა სამუშაო ძალას, რომლებიც დასაქმების ბაზარზე ახალ შესულები არიან, გაუჭირდებათ იგივე საპენსიო სქემის პირობებში ჰქონდეთ იგივე პენსია, რაც აქვთ ახლანდელ პენსიონერებს. ამიტომ სხვა ქვეყნების მსგავსად საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობის საკითხი იტალიაშიც მწვავედ დგას.

კვიპროსი - საპენსიო სისტემის ადეკვატურობის ინდექსის მიხედვით კვიპროსს ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს ევროპის 27 ქვეყანას შორის. ამასთანავე, განსხვავებულია საპენსიო ანარიცხების მოცულობა სექტორების მიხედვით. საჯარო სექტორში დასაქმებული საპენსიო სქემის მონაწილეების პენსია უფრო მაღალია კერძო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით, რადგან საჯარო სფეროში დასაქმებულები იღებენ სახელმწიფო და სოციალური-დაზღვევის პენსიას პენსიაზე გასვლის ბონუსთან ერთად; კერძო სექტორის დასაქმებულებს კი აქვთ წვდომა სოციალური-დაზღვევის პენსიაზე და ზოგიერთ შემთხვევაში „ზრუნვის-ფონდის“ სქემებზე. 2019 წლიდან კვიპროსში დაიწყო საპენსიო სისტემის ახალი მარეგულირებელი ჩარჩო-დოკუმენტის დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობის გაზრდას. 2019 წლამდე რეფორმები გატარდა 2010 წელს, რომელიც მიზნად ისახავდა კონტრიბუციების ზრდის ხელშეწყობას, საპენსიო ასაკის გადახედვას, პენსიონერების უზრუნველყოფას გარანტირებული მინიმალური შემოსავლითა და სხვადასხვა ჯგუფს შორის საპენსიო შემოსავლის

გათანაბრებას. თუმცა არამხოლოდ კვიპროსში, არამედ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეულმა რთულმა შედეგებმა რეფორმის ეფექტიანობა შეამცირა.

ლატვია - მოქმედებს სამ სვეტიანი საპენსიო სისტემა. პირველ სვეტს წარმოადგენს სახელმწიფო სავალდებულო საპენსიო სქემა. მასში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე და დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპზე. პენსია დამოკიდებულია ბენეფიციარის სამუშაო წლებზე, თუმცა სახელმწიფო საპენსიო სისტემა აწესებს საპენსიო მინიმუმის გარანტირებულ მოცულობას. მეორე სვეტი არის, 2001 წლიდან ამოქმედებული, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალურ ანგარიშზე დაგროვების პრინციპზე. ლატვიაში არსებობს სოციალური შენატანი, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს - 34.09%-ს, საიდანაც დამსაქმებელი იხდის 23.59%-ს, ხოლო დასაქმებული - 10.5%-ს. სოციალური კონტრიბუციიდან ნაწილი მიდის პირველ სვეტში, დღევანდელი პენსიონერების დასათუნანსებლად, ხოლო დარჩენილი 20.05% ნაწილდება პირველ სვეტში ინდივიდუალურ კონტრიბუციასა და მეორე სვეტის კონტრიბუციას შორის, რასაც შემდგომ განკარგავს საინვესტიციო ფონდი. მესამე სვეტი არის კერძო, ნებაყოფლობითი ფულადი საპენსიო დანაზოგები, რომელიც შესაძლებელია განთავსდეს, როგორც ლატვიის, ასევე უცხოურ ბანკებში. თუმცა ამ შემთხვევაში, არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოქალაქის საპენსიო დანაზოგი არასაიმედო ორგანიზაციის ხელში აღმოჩნდება. ამისაგან დასაზღვევად, იქმნება ხელშეკრულებები და განისაზღვრება წესები თუ როგორ და სად შეიძლება განთავსდეს საპენსიო დანაზოგები. ლატვიის საპენსიო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა დღეს არის სიღარიბის დონის შემცირება უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

ლიეტუვა - 2004 წლიდან მოქმედებს სამ სვეტიანი სისტემა: სახელმწიფო სოციალური საპენსიო დაზღვევა, ასაკობრივი საპენსიო დანაზოგების საპენსიო ფონდებში სოციალური დაზღვევის შენატანები და დამატებითი დანაზოგები სიცოცხლის დაზღვევის ან საპენსიო ფონდებში შენატანების სახით. მოქალაქეებს პენსიით უზრუნველყოფს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემა და კერძო საპენსიო ფონდები. მათ შეუძლიათ მიიღონ პენსია ორივე წყაროდან. სოციალური

დაზღვევა დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპზე, შენატანები კეთდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდში პირად ანგარიშზე ყოველთვიურად. ამ შენატანებიდან გადაიხდება პენსია და გაიცემა სხვა სოციალური შემწეობები (უმუშევრობის, შრომისუუნარობის და ა.შ.). საპენსიო ასაკის დადგომისთანავე ინიშნება პენსია სიცოცხლის ბოლომდე დაგროვებული თანხიდან გამომდინარე. 2014 წლიდან შესაძლებელია კერძო საპენსიო ფონდებში საკუთარი შენატანების გადატანა ნებაყოფლობით. თითოეული დასაქმებულის ხელფასიდან ყოველთვიურად სოციალური დაზღვევისთვის გადაირიცხება 33.98%, საიდანაც 3%-ს იხდის დასაქმებული, ხოლო 30.98% - დამსაქმებელი. სოციალური დაზღვევის ყველაზე დიდი წილი მიდის საპენსიო უზრუნველყოფაზე - 26.3%. პირი, ვინც იხდის ზემოხსენებული ოდენობის სოციალურ დაზღვევას, არის დაზღვეული, როგორც პენსიის საბაზისო, ასევე დამატებით ნაწილში და შეუძლია გახდეს ახალი საპენსიო სისტემის მონაწილე. მათ, ვინც აკეთებს შენატანს მხოლოდ საბაზისო პენსიისთვის, შეუძლიათ გახდნენ დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილე მხოლოდ ნებაყოფლობითი დამატებითი შენატანების საფუძველზე. პენსიის ინდივიდუალური ნაწილის დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მუშაობის სტაჟი. საპენსიო დანაზოგის ოდენობა დამოკიდებულია შენატანების ოდენობაზე, ხანგრძლივობასა და საპენსიო ფონდების ინვესტიციების უკუგების პროცენტებზე. საპენსიო ასაკის მიღწევისას საპენსიო ფონდში დაგროვებული დანაზოგი პენსიონერის შეხედულებისამებრ გადავა სიცოცხლის დაზღვევის ფონდში, რომელიც პენსიონერთან დებს ხელშეკრულებას და, თანხის ოდენობიდან გამომდინარე, აიღებს ვალდებულებას სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად გადაუხადოს მას პენსია წინასწარ მოლაპარაკებული ოდენობით. დღეისათვის ლიეტუვაში საპენსიო სისტემა კვლავ ცვლილებების ეტაპზეა, განსაკუთრებით არ გაამართლა მეორე დონემ, რადგანაც დაბალმომოსავლიანი მოქალაქეების შენატანები არასაკმარისი აღმოჩნდა ჯეროვანი ანუიტეტის მისაღებად. ევროკომისიის რეკომენდაციების მიხედვით, 2016 წელს ლიეტუვამ ცვლილებების ახალი პაკეტი დაამტკიცა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ძირითადი პენსიას აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო ბენეფიციარის ინდივიდუალური წილი დამოკიდებულია მის მიერ სოციალური

უსათრთხოების ფონდში განხორციელებული შენატანების მოცულობაზე. მეორე, პენსიის ინდექსაცია დაუკავშირდა საშუალო ხელფასების მაჩვენებელს. და მესამე, სავალდებულო სამუშაო წლების რაოდენობა 30-დან გაიზარდა 35-მდე 2027 წლისათვის. ისევე როგორც ლატვიის შემთხვევაში, ლიეტუვას საპენსიო სისტემისთვისაც მთავარ გამოწვევად რჩება სიღარიბის დონის შემცირება პენსიონერთა თაობაში.

ბოლო ეტაპზე კი ინდექსირებულ ინდიკატორებს (თითოეული ვქვეყნის 7 ინდიკატორისა და კვლევის სამი პერიოდისათვის) გარდავქმნით ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკურ ინდიკატორებად შემდეგი ფორმულების საშუალებით:

$$Adequacy_{ij} = \frac{1}{4}(ARP_{ij} + MRI_{ij} + ARR_{ij} + S80/S20_{ij})$$

$$Sustainability_{ij} = \frac{1}{3}(PE/GDP_{ij} + EMP55 - 64_{ij} + DWL_{ij})$$

ქვეყნისა და საქართველოს საპენსიო სისტემების მდგრადობისა და ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორები 2010, 2015 და 2018/19 წლებისათვის) ანალიზს და, შედეგების საფუძველზე, დასკვნების გაკეთებასა და რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოში საპენსიო სისტემის განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით.

1.4.2 კვლევის ინდიკატორები


მოცემულ ქვეთავში მოკლედ განვიხილავთ შერჩეული კვლევის თითოეულ ინდიკატორს და მიღებულ სინთეტიკურ ინდიკატორებზე დაყრდნობით განვსაზღვრავთ საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის მაჩვენებლებს ევროპულ რუკაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ რამოდენიმე ინდიკატორის შემთხვევაში საქართველოს სტატისტიკური მონაცემების მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობითა და OMC ჩარჩო პოლიტიკის სამიზნე მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ამ ინდიკატორების მნიშვნელობა საქართველოსათვის ჩვენ თვითონ გამოვითვალეთ. ევროპის ქვეყნების შემთხვევაში კი სტატისტიკური მონაცემები სრულად აღებულია eurostat-ის მონაცემთა ბაზიდან წლებისა და ინდიკატორების მიხედვით⁴⁵.

ARP (პენსიონერთა სიღარიბის რისკის დონე) - არის დესტიმულატორი ცვლადი და ზომავს პენსიონერთა რაოდენობას, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ. რაც უფრო დაბალია განაკვეთი მით უფრო დაბალია სიღარიბის დონე უფროს თაობას შორის. ინდიკატორი ხსნის საპენსიო სისტემის მთავარ მიკროეკონომიკურ მიზანს - სიღარიბის შემცირება და მოხმარების ერთგვაროვანი გადანაწილება უფროს თაობაში.

⁴⁵ თითოეული ინდიკატორის მონაცემი როგორც საქართველოს ასევე ევროპის ქვეყნების შემთხვევაში მოცემულია დანართებში (ცხრილი #10-12) წლების მიხედვით

MRI (65+ ასაკის მოსახლეობის საშუალო შემოსავალი) - ევროპის შემთხვევაში, როგორც ეს ევროსტატის მონაცემებშია მითითებული, ინდიკატორი ზომავს 65+ ასაკის ადამიანთა მედიანურ შემოსავალს 0-59 წლის მოსახლეობის მედიანურ შემოსავალთან მიმართებაში. ჩვენ გამოვიყენეთ მსოფლიო ბანკის მონაცემები⁴⁶ და საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი გამოვითვალეთ მოსახლეობის ერთ სულზე წმინდა შემოსავლისა და საპენსიო შემოსავლის მიხედვით. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ფინანსური ბაზრების განუვითარებლობის პარალელურად (რაც განუვითარებულ ქვეყნებში პენსიონერთა შემოსავლის მთავარ დამატებით წყაროს წარმოადგენს), საქართველოში საპენსიო ასაკის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი პენსიაა, 65+ ასაკის ადამიანთა მედიანური შემოსავლის გამოსათვლელად პენსიის საშუალო მაჩვენებელი გამოვიყენეთ.

გრაფიკი 9. MRI მაჩვენებელი საქართველოსთვის (2010-2018 წლები)



ავტორის გრაფიკი

მონაცემები: world bank, geostat.ge⁴⁷


⁴⁶ <https://data.worldbank.org/indicator0.65/NY.ADJ.NNTY.PC.CD?locations=GE>

⁴⁷ ინდიკატორების გამოთვლის მეთოდოლოგია: [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/EU_statistics_on_income_and_living_conditions_\(EU-SILC\)_methodology_-_monetary_poverty_of_elderly_people#Calculation_method](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/EU_statistics_on_income_and_living_conditions_(EU-SILC)_methodology_-_monetary_poverty_of_elderly_people#Calculation_method)

ARR (ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი) - ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი, საქართველოს შემთხვევაში 2010 წელს 14%-იანი მაჩვენებელი 2019 წლისათვის 19.1%-მდე გაიზარდა.

S80/S20 (შემოსავლების უთანასწორობა 65+ ასაკის მოსახლეობაში) - ასევე მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით გამოვთვალეთ S80/S20 ინდიკატორის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ინდიკატორი გვიჩვენებს ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 20%-ის შემოსავალსა და ყველაზე ღარიბი 20%-ის შემოსავალს შორის სხვაობა. რაც უფრო დაბალია განაკვეთი მით უკეთესი. ამასთანავე, საქართველოს შემთხვევაში ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შემოსავლების უთანასწორობასთან დაკავშირებული მონაცემების მოძიება რთული აღმოჩნდა, ამიტომ მთლიანი სურათი გამოვიყენეთ. მით უმეტეს რომ, S80/S20 ინდიკატორისათვის ევროკავშირის ქვეყნების მონაცემების შედარებისას მთლიანი მოსახლეობისა და 65+ ასაკის მოსახლეობის განაკვეთები მცირედით ან საერთოდ არ განსხვავდება ერთმანეთისგან. საქართველოს შემთხვევაში 2010 წელს შემოსავლის უთანასწორობის მაჩვენებელი იყო 7.9, 2018 წელს კი 6.6, რაც ნიშნავს იმას რომ უთანასწორობა შემოსავლების გადანაწილებას შორის შემცირდა.

გრაფიკი 10. S80/S20 მაჩვენებელი საქართველოსთვის (2010-2018 წელი)



ავტორის გრაფიკი

მონაცემები: world bank, geostat.ge

PE/GDP (მიმდინარე საპენსიო დანახარჯები, როგორც მშპ-ს პროცენტი) - ზომავს მშპ-ს წილს, რომელიც იხარჯება საპენსიო ასაკის თაობაზე და, შესაბამისად, მიგვითითებს საპენსიო სისტემის მაკროეკონომიკურ ღირებულებაზე.

EMP55-64 (დასაქმების მაჩვენებელი 55-64 ასაკობრივ ჯგუფში) - ზომავს საპენსიო სისტემის გვერდით ეფექტებს დასაქმების ბაზარზე. საპენსიო სისტემას შეუძლია გავლენა მოახდინოს დასაქმების ბაზარზე სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის ახალგაზრდა თაობაზეც, თუმცა გავლენა სხვადასხვაგვარია ახალგაზრდა და უფროსი თაობის სეგმენტისთვის. ცხადია, რომ საპენსიო სისტემა გავლენას ახდენს ადამიანთა გადანაცვეტილებაზე როდის დატოვონ დასაქმების ბაზარი, რასაც ჩვენი კვლევის შედეგებიც ადასტურებს.

DWL (სამუშაო წლების მოსალოდნელი რაოდენობა) - ზომავს 15+ ასაკის ადამიანისათვის სამუშაო წლების მოსალოდნელ რაოდენობას სიცოცხლის განმავლობაში.

1.4.3 კვლევის შედეგები

აღნიშნული მონაცემების მოძიება-ანალიზის შემდეგ, ვახდენთ ევროპის 28 ქვეყნისა და საქართველოს საპენსიო სისტემის შეფასებას ორი ჯგუფის მიხედვით: ადეკვატურობა და მდგრადობა. გამოვყოფთ ძირითად ტენდენციებს ზოგადად და კონკრეტულად საქართველოს ადგილს ევროპის რუკაზე 2010, 2015 და 2018/19 წლებისთვის. ეს მოგვცემს საშუალებას გავაკეთოთ საქართველოს საპენსიო სისტემის კომპლექსური ანალიზი მაკროეკონომიკურ ჭრილში რეფორმის ამოქმედებამდე

პერიოდში. ასევე ევროპის წარმატებული და წარუმატებელი ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით, განვსაზღვროთ ის ტენდენციები, რაც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს საპენსიო სისტემის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. საპენსიო სისტემის რაოდენობრივი ანალიზის საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს ის ქვეყნები და, შესაბამისად, საპენსიო სისტემები, რომელთაც წლიდან წლამდე უუმჯობესდებათ საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები და ის ქვეყნები, სადაც პირიქით, 2010 წლიდან 2018/19 წლამდე პერიოდში ვითარება გაუარესდა. წარმატებული და წარუმატებელი ქვეყნების მაგალითი კი სასარგებლო გამოცდილება და სარეკომენდაციო ხასიათის შეიძლება გახდეს საქართველოსათვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია (კვლევის შედეგების სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ცხრილების (#2-7) სახით):

1. თუ 2010 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში ჩვენ მიერ გამოკვლეული ევროპის 28 სახელმწიფოდან მხოლოდ 8 ქვეყნის (ჩეხეთი, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, უნგრეთი და შვედეთი) საპენსიო სისტემის ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორი შეიცვალა უარესობისკენ, 2015 წლიდან 2018/19 წლამდე გაუარესდა ჩვენ მიერ შესწავლილი ევროპული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის საპენსიო სისტემის ადეკვატურობა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არის მხოლოდ ირლანდია, რუმინეთი და დიდი ბრიტანეთი. რომელთა საპენსიო სისტემის ადეკვატურობის მაჩვენებელი 2015 წლიდან სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა. უცვლელი დარჩა ფინეთისა და შვედეთის ინდიკატორი. კვლევის დასაწყისში ნახსენები დემოგრაფიული სურათის გათვალისწინებით, ეს გასაკვირი არ არის. ამიტომაც გახდა აუცილებელი საპენსიო სისტემების მასშტაბური რეფორმები, რაც ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა.

2. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორი იზრდება, ვინაიდან საწყისი პუნქტი ძალიან დაბალია - 2010 წელს ის შეადგენდა 0.02 პუნქტს, 2015 წელს - 0.14, ხოლო 2018 წელს 0.19-ს. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს საპენსიო სისტემა ადეკვატურობის ყველაზე დაბალი დონით ხასიათდება გამოკვლეულ ქვეყნებს შორის. საქართველოს საპენსიო სისტემა ადეკვატურობის მაჩვენებლით ახლოს დგას ისეთი ქვეყნების საპენსიო სისტემებთან, როგორცაა კვიპროსი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა და მალტა.
3. ზოგადად, საპენსიო სისტემისადმი შეცვლილ მიდგომებსა და პრიორიტეტებზე მიუთითებს ჩვენი კვლევის შედეგების შემდეგი ტენდენცია - გამოკვლეული 28 ქვეყნიდან 2010 წლიდან ცხრა წლის განმავლობაში გაიზარდა აბსოლუტური უმრავლესობის საპენსიო სისტემის მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნებმა უფრო მეტად დაიწყეს ცვლილებების გატარება სისტემის ფინანსური სტაბილურობისა და არა საპენსიო ანარიცხების გაზრდის (რაც ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ხდება ხოლმე) მიმართულებით. ამ შემთხვევაში გამონაკლისი ქვეყნები, რომელთა საპენსიო სისტემების მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები შემცირდა 2010 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში არის საბერძნეთი, ესპანეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ავსტრია და ასევე საქართველო.
4. საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორი 2010 წელს არსებული 0.73 მაჩვენებლიდან 2015 და 2018 წლისათვის 0.68 ნიშნულამდე შემცირდა.
5. ჩვენ მიერ შესწავლილი პერიოდისა და ქვეყნების შემთხვევაში არც ერთი ქვეყნის საპენსიო სისტემა არ ხასიათდება ორივე სინთეტიკური ინდიკატორის სტაბილური ზრდით. ქვეყნები, რომლებიც მდგრადობის ინდიკატორის სტაბილური ზრდით გამოირჩევიან, ახასიათებთ ადეკვატურობის მაჩვენებლის კლება (ჩეხეთი, გერმანია, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, სლოვაკეთი). აქვე იკვეთება საპირისპირო ტენდენციაც, ქვეყნები,

რომელთა საპენსიო სისტემის ადეკვატურობის ინდიკატორი უმჯობესდება, უმცირდებათ მდგრადობის ინდიკატორი (საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ავსტრია, პორტუგალია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, ნორვეგია).

6. როგორც ჩვენი მსჯელობის დასაწყისში ვახსენეთ, საპენსიო სისტემის მაკროეკონომიკური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რა გავლენას ახდენს ის დასაქმების ბაზარზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების კიდევ ერთი ტენდენცია - ის ხუთი ქვეყანა, რომელთა DWL მაჩვენებელი (სამუშაო წლების საშუალო რაოდენობა) ყველაზე დაბალია, ხასიათდებიან საპენსიო სისტემის ადეკვატურობის მაღალი დონით, თუმცა ამავე დროს ახასიათებთ საპენსიო სისტემის მდგრადობის დაბალი მაჩვენებელი (იტალია, ლუქსემბურგი, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი). ხოლო ის ქვეყნები რომელთა DWL მაჩვენებელი მაღალია (ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები, დანია) გამოირჩევიან საპენსიო სისტემის როგორც ადეკვატურობის, ასევე მდგრადობის სტაბილური და ყველა მათგანის შემთხვევაში საშუალოზე ბევრად მაღალი მაჩვენებლით. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ მოწმობს თუ რამდენად მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემის მრავალგანზომილებიანი ანალიზი ჯეროვანი დასკვნების გამოსატანად და დაგეგმილი თუ მიმდინარე რეფორმების სწორი მიმართულებით განსახორციელებლად.
7. 2010 წლის სინთეტიკური ინდიკატორების მიხედვით, მხოლოდ სამი ქვეყანაა (შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია), რომლებიც არიან საუკეთესო შედეგების მქონე პირველ ათეულში როგორც ადეკვატურობის, ასევე მდგრადობის ჯგუფისთვის (ცხრილი #3; #4; #5). 2015 წელს ასეთი მხოლოდ ორი ქვეყანაა (ნიდერლანდები და ნორვეგია), ხოლო 2018 წელს - სამი (ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები).

ცხრილი 2. კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2010 წელი)	
ადეკვატურობა	მდგრადობა
1 უნგრეთი (0.97)	ისლანდია (0.96)
2 ლუქსემბურგი (0.89)	საქართველო (0.73)
3 სლოვაკეთი (0.87)	ნორვეგია (0.72)
4 ჩეხეთი (0.83)	ავსტრია (0.70)
5 ნიდერლანდები (0.76)	შვედეთი (0.66)
6 შვედეთი (0.73)	კვიპროსი (0.60)
7 საფრანგეთი (0.71)	ესტონეთი (0.51)
8 ისლანდია (0.70)	დიდი ბრიტანეთის (0.51)
9 ნორვეგია (0.70)	დანია (0.48)
10 პოლონეთი (0.69)	ირლანდია (0.48)

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს
 მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

ცხრილი 3. კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2015 წელი)	
ადეკვატურობა	მდგრადობა
1 ლუქსემბურგი (0.93)	ისლანდია (0.89)
2 უნგრეთი (0.87)	საქართველო (0.68)
3 სლოვაკეთი (0.87)	შვედეთი (0.63)
4 ნორვეგია (0.80)	ნორვეგია (0.61)
5 ესპანეთი (0.79)	ესტონეთი (0.57)
6 საფრანგეთი (0.79)	ლიეტუვა (0.53)
7 ჩეხეთი (0.78)	ლატვია (0.51)
8 ნიდერლანდები (0.78)	გერმანია (0.49)
9 პოლონეთი (0.78)	დიდი ბრიტანეთი (0.49)
10 საბერძნეთი (0.76)	ნიდერლანდები (0.47)

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს
 მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

ცხრილი 4. კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2018/19 წელი)	
ადეკვატურობა	მდგრადობა
1 სლოვაკეთი (0.85)	შვედეთი (0.81)
2 ნორვეგია (0.79)	ნორვეგია (0.76)
3 უნგრეთი (0.77)	ესტონეთი (0.73)
4 ლუქსემბურგი (0.76)	საქართველო (0.68)
5 საფრანგეთი (0.76)	ლატვია (0.66)
6 დიდი ბრიტანეთი (0.75)	ირლანდია (0.65)
7 საბერძნეთი (0.74)	გერმანია (0.62)
8 პოლონეთი (0.71)	ნიდერლანდები (0.62)
9 ნიდერლანდები (0.70)	დანია (0.61)
10 ავსტრია/ჩეხეთი (0.70)	დიდი ბრიტანეთი (0.60)

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

8. შესაბამისად, კვლევის შემდეგ გამოიკვეთა ქვეყნები, რომლებიც ადეკვატურად მაღალი საპენსიო ანარიცხების გაცემის პარალელურად, ხასიათდებიან საპენსიო სისტემის მდგრადობით. ეს ქვეყნებია ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, მათ 2015 წლიდან შეუერთდა ნიდერლანდები, ხოლო 2018 წლიდან უკვე დიდი ბრიტანეთიც.
9. მართალია, საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობის სინტეტიკური ინდიკატორი მაღალია კვლევის სამივე პერიოდისათვის, მაგრამ იმ შემთვევაში თუ კიდევ ერთხელ გამოვიყენებთ საპენსიო სისტემის შეფასების მრავალგანზომილებიან მიდგომას, აღმოვაჩინოთ, რომ საქართველოს საპენსიო სისტემა მდგრადია მისი ადეკვატურობის ძალიან დაბალი დონის პარალელურად. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საპენსიო სისტემის ეფექტიანობა საბოლოო ჯამში ძალიან დაბალია.

10. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ განყენებულად კიდევე შეგვიძლია ვისაუბროთ ადეკვატურობის ინდიკატორებზე და შევაფასოთ რამდენად მაღალი ან დაბალია ის ამა თუ იმ ქვეყნის შემთხვევაში, მდგრადობის ცალკეული შეფასება არაფრის მომცემია. ვინაიდან თუ მას საპენსიო სისტემის ადეკვატურობის მაჩვენებელთან ერთად არ განვიხილავთ, არასწორ დასკვნებს გავაკეთებთ ამა თუ იმ ქვეყნის საპენსიო სისტემის შესახებ. რაც კიდევე ერთხელ ამყარებს ჩვენს არჩევანს კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით - **სრული სურათის დასანახად აუცილებელია საპენსიო სისტემის მრავალგანზომილებიანი შეფასება.**

დასკვნების მე-8 პუნქტში გამოვყავით ქვეყნები, რომლებიც სტაბილურობით ხასიათდებიან ორივე სინტეტიკური ინდიკატორის შემთხვევაში. შემდეგ ეტაპზე კი განვიხილოთ თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და განსაკუთრებით რომელი ინდიკატორის გაუმჯობესებით გამოირჩევიან ეს ქვეყნები. **ნორვეგიის, ისლანდიისა და შვედეთის** შემთხვევაში ერთი ტენდენცია არ იკვეთება, ინდიკატორები სტაბილურია და იცვლება მცირედი მიმართულებით უარესობის ან უკეთესობისაკენ, რაც საბოლოო ჯამში აღნიშნული ქვეყნების საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის მაჩვენებელს მაღალ ნიშნულზე ტოვებს. უფრო საინტერესოა **ნიდერლანდებისა და დიდი ბრიტანეთის** შემთხვევა, რომლებიც პირველ ათეულში მხოლოდ 2018 წელს მოხვდნენ. ნიდერლანდებმა ეს შეძლო ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთის, დასაქმებისა და DWL-ს (რაც ასევე დასაქმების ბაზრის ინდიკატორია) მკვეთრი ზრდითა და შემოსავლებს შორის უთანასწორობის დონის შემცირებით. იგივე ტენდენციაა **დიდი ბრიტანეთის** შემთხვევაში, მკვეთრად იზრდება დასაქმების ბაზართან დაკავშირებული ორივე ინდიკატორი, ჩანაცვლების აგრეგირებულ განაკვეთსა და 65+ ასაკის მოსახლეობაში შემოსავლის მედიანური განაკვეთის ზრდასთან ერთად. მართალია მცირედით, მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა ასევე მოახერხა და შეამცირა სიღარიბის მაჩვენებელი პენსიონერთა შორის, ისევე როგორც საპენსიო ხარჯების მშპ-თან ფარდობის განაკვეთიც.

განსაკუთრებით შემცირდა საბერძნეთის, ესპანეთისა და იტალიის საპენსიო

სისტემების მდგრადობის ინდიკატორები (იხ. ცხრილი #5), რაც გასაკვირი არ არის იმ კრიზისების გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნულმა ქვეყნებმა უახლოეს წარსულში გადაიტანეს და რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ შედარებით ვრცლად ვისაუბრეთ.

გარდა იმ მაჩვენებლებისა, რომელიც კვლევაში განვიხილეთ, უმნიშვნელოვანესია ასევე ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი (Old-age dependency ratio). საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოსახლეობის დაბერებასა და სამუშაო ძალის ხვედრითი წილის კლებად ტრენდში გამოიხატება. ამასთანავე, ეს არის მაჩვენებელი, რომელიც გახდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარე საპენსიო რეფორმის მთავარი სტიმულატორი. ცხადია, თავად დემოგრაფიული სიტუაცია არ არის პრობლემა როგორც ასეთი. თუქტი, რომ ადამიანები ცხოვრობენ უფრო დიდხანს და უფრო ჯანსაღი ცხოვრებით, დადებითი და პოზიტიური ფენომენია. პრობლემა ისაა, რომ დღეს მსოფლიოში გარდამავალი ეტაპია და ადამიანებს ჯერ კიდევ არ სურთ საკუთარ ხანგრძლივ და უფრო ჯანსაღ ცხოვრებას ეკონომიკური საჭიროებებიც მოარგონ - მაგალითად დასაქმების ბაზრიდან უფრო გვიან გავიდნენ. როგორც ჩვენი კვლევის შედეგების მე-6 პუნქტში ვნახეთ (დასაქმების ბაზართან დაკავშირებული ინდიკატორების განხილვისას), ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც.

კვლევის შედეგების სტატისტიკური და ვიზუალური მასალა

ცხრილი 5.

ქვეყანა	საპენსიო სისტემის ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორები წლების მიხედვით		
	2010	2015	2018
EU27	0.61	0.63	0.63
ბელგია	0.53	0.67	0.64
ჩეხეთი	0.83	0.78	0.70
დანია	0.51	0.68	0.66
გერმანია	0.61	0.60	0.53
ესტონეთი	0.61	0.39	0.32
ირლანდია	0.61	0.53	0.54
საბერძნეთი	0.46	0.76	0.74
ესპანეთი	0.46	0.79	0.65
საფრანგეთი	0.71	0.79	0.76
იტალია	0.61	0.73	0.65
კვიპროსი	0.27	0.52	0.47
ლატვია	0.48	0.34	0.20
ლიეტუვა	0.68	0.46	0.30
ლუქსემბურგი	0.89	0.93	0.76
უნგრეთი	0.97	0.87	0.77
მალტა	0.51	0.62	0.6
ნიდერლანდები	0.76	0.78	0.7
ავსტრია	0,58	0.74	0.7
პოლონეთი	0.69	0.78	0.71
პორტუგალია	0.41	0.64	0.55
რუმინეთი	0.67	0.58	0.59
სლოვენია	0.53	0.64	0.61
სლოვაკეთი	0.87	0.87	0.85
ფინეთი	0.60	0.69	0.69
შვედეთი	0.73	0.66	0.66
დ.ბრიტანეთი	0.41	0.59	0.75
ნორვეგია	0.70	0.8	0.79
საქართველო	0.02	0.14	0.19

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს
მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

ცხრილი 6.

ქვეყანა	საპენსიო სისტემის მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები წლების მიხედვით		
	2010	2015	2018
EU27	0.29	0.32	0.39
ბელგია	0.2	0.21	0.23
ჩეხეთი	0.4	0.46	0.59
დანია	0.48	0.44	0.61
გერმანია	0.45	0.49	0.62
ესტონეთი	0.51	0.57	0.73
ირლანდია	0.48	0.41	0.65
საბერძნეთი	0.16	0.03	0.04
ესპანეთი	0.33	0.29	0.31
საფრანგეთი	0.18	0.22	0.26
იტალია	0.05	0.09	0.12
კვიპროსი	0.6	0.39	0.55
ლატვია	0.38	0.51	0.66
ლიეტუვა	0.4	0.53	0.43
ლუქსემბურგი	0.28	0.29	0.24
უნგრეთი	0.13	0.34	0.43
მალტა	0.18	0.37	0.42
ნიდერლანდები	0.46	0.47	0.62
ავსტრია	0.7	0.26	0.36
პოლონეთი	0.16	0.24	0.26
პორტუგალია	0.35	0.28	0.43
რუმინეთი	0.30	0.32	0.33
სლოვენია	0.24	0.25	0.37
სლოვაკეთი	0.33	0.36	0.41
ფინეთი	0.45	0.41	0.52
შვედეთი	0.66	0.63	0.81
დ.ბრიტანეთი	0.51	0.49	0.6
ისლანდია	0.96	0.89	-
ნორვეგია	0.72	0.61	0.76
საქართველო	0.73	0.68	0.68

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს
მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

ცხრილი 7

ქვეყანა	ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორების შედარება					
	2010		2015		2018	
	ადეკ.	მდგრ.	ადეკ.	მდგრ.	ადეკ.	მდგრ.
EU27	0.61	0.29	0.63	0.32	0.63	0.39
ბელგია	0.53	0.2	0.67	0.21	0.64	0.23
ჩეხეთი	0.83	0.4	0.78	0.46	0.70	0.59
დანია	0.51	0.48	0.68	0.44	0.66	0.61
გერმანია	0.61	0.45	0.60	0.49	0.53	0.62
ესტონეთი	0.61	0.51	0.39	0.57	0.32	0.73
ირლანდია	0.61	0.48	0.53	0.41	0.54	0.65
საბერძნეთი	0.46	0.16	0.76	0.03	0.74	0.04
ესპანეთი	0.46	0.33	0.79	0.29	0.65	0.31
საფრანგეთი	0.71	0.18	0.79	0.22	0.76	0.26
იტალია	0.61	0.05	0.73	0.09	0.65	0.12
კვიპროსი	0.27	0.6	0.52	0.39	0.47	0.55
ლატვია	0.48	0.38	0.34	0.51	0.20	0.66
ლიეტუვა	0.68	0.4	0.46	0.53	0.30	0.43
ლუქსემბურგი	0.89	0.28	0.93	0.29	0.76	0.24
უნგრეთი	0.97	0.13	0.87	0.34	0.77	0.43
მალტა	0.51	0.18	0.62	0.37	0.6	0.42
ნიდერლანდები	0.76	0.46	0.78	0.47	0.7	0.62
ავსტრია	0.58	0.7	0.74	0.26	0.7	0.36
პოლონეთი	0.69	0.16	0.78	0.24	0.71	0.26
პორტუგალია	0.41	0.35	0.64	0.28	0.55	0.43
რუმინეთი	0.67	0.30	0.58	0.32	0.59	0.33
სლოვენია	0.53	0.24	0.64	0.25	0.61	0.37
სლოვაკეთი	0.87	0.33	0.87	0.36	0.85	0.41
ფინეთი	0.60	0.45	0.69	0.41	0.69	0.52
შვედეთი	0.73	0.66	0.66	0.63	0.66	0.81
დ.ბრიტანეთი	0.41	0.51	0.59	0.49	0.75	0.6
ისლანდია	0.70	0.96	0.72	0.89	-	-
ნორვეგია	0.70	0.72	0.80	0.61	0.79	0.76
საქართველო	0.02	0.73	0.14	0.68	0.19	0.68

წყარო: ცხრილის მონაცემები ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებს
მონაცემები: eurostat; geostat.ge; nbg.gov.ge; world bank

1.4.4 კვლევის შეზღუდვები

დღეს, როდესაც მოსახლეობის დაბერების პრობლემა მწვავედ დგას, მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემების შეფასება და მიმდინარე თუ დაგეგმილი რეფორმების ეფექტიანობის განსაზღვრა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეფექტიანობა განსაზღვრავს ადეკვატურობას - არაეფექტიანი სისტემა არ შეიძლება იყოს ადეკვატური და ფინანსურად მდგრადი. დისერტაციაში შემოთავაზებულ კვლევის მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს საპენსიო სისტემის ეფექტიანობის კომპლექსურ კვლევას, აქვს გარკვეული ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძლიერ მხარეს მიეკუთვნება მისი შემდეგი მახასიათებლები: მეთოდი მრავალგანზომილებიანია და საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა საპენსიო სისტემა, რაც გვეხმარება განვსაზღვროთ გლობალური ტენდენციები. ამასთანავე, რაოდენობრივი კვლევა ემყარება ნედლ და არა ტრანსფორმირებულ მონაცემებს. ინდიკატორის შემცირება ყოველთვის ნიშნავს მის მიერ გაზომილი მაჩვენებლის რეალური მნიშვნელობის შემცირებას და პირიქით, ინდიკატორის ზრდა ნიშნავს ცვლადის რეალური მნიშვნელობის ზრდას. ამასთანავე, შემოთავაზებული მიდგომა ეფექტიანად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც შედარებულია მინიმუმ რამდენიმე საპენსიო სისტემა, ან მოცემული საპენსიო სისტემა გაანალიზებულია გარკვეული პერიოდების განმავლობაში. ამის შემდეგ შესაძლებელია დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, თუ რომელი საპენსიო სისტემა უკეთესი და რომელია უარესი, ან როდის იყო მოცემული სისტემა უკეთესი ან უარესი.

რაც შეეხება კვლევის მეთოდის შეზღუდვებს: გასათვალისწინებელია, რომ ბევრი საპენსიო სისტემა კვლავ რეფორმის ეტაპზეა. ამიტომ, ზოგჯერ რეალურად არ ვიცით, რა ტიპის საპენსიო სისტემაა გაანალიზებული ზემოთ გამოყენებული რაოდენობრივი მეთოდით. ამასთანავე, საპენსიო სისტემის შეფასებისას არსებობს ორი მხარე: აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფი კონტრიბუტორების თაობა, ხოლო მეორე პენსიონერთა თაობა. ისინი სისტემის მონაწილე არიან, მაგრამ, მათი გავლენა ერთმანეთზე და, შესაბამისად, მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე შეიძლება სხვადასხვა საპენსიო

სისტემაში მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, განსაკუთრებით სისტემის რეფორმირების ეტაპზე.

მეთოდის კიდევ ერთი შეზღუდვა გამომდინარეობს იქიდან, რომ ზოგიერთი გამოყენებული ინდიკატორი ეხება მხოლოდ სახელმწიფო საპენსიო სისტემას (მაგ. საპენსიო ხარჯები, საერთო ჩანაცვლების კოეფიციენტი), ხოლო დანარჩენი ეხება შერეული სქემების მქონე საპენსიო სისტემას, რომელიც მოიცავს სარგებელს, როგორც ინდივიდუალური საპენსიო სქემებიდან, ასევე პენსიონერებისთვის გადახდილი სხვა შემოსავლებიდან (მაგ., მედიანური შემოსავლის კოეფიციენტი, პენსიონერების სიღარიბის რისკის განაკვეთი).

ასევე, დასაქმების ბაზართან დაკავშირებული მაჩვენებლები უნდა განვიხილოთ ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით - მათ შორის არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო საპენსიო სქემების გათვალისწინებითაც. ორივე მათგანმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ინდივიდის სამუშაო ძალიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილებაზე.

დასახელებული მიზეზების გამო, ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდით ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ზოგადი ტენდენციები, გამოვყოთ წარმატებული და წარუმატებელი საპენსიო სისტემები და დავაკვირდეთ საპენსიო სისტემებისათვის მნიშვნელოვან ცალკეულ ინდიკატორებსა და მათი ცვლილების დინამიკას კონკრეტული პერიოდისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგების ანალიზისას რომელიმე ქვეყნის საპენსიო სისტემა განსაკუთრებით გვაინტერესებს (თუნდაც იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მისი გამოცდილება), ამ ქვეყნის საპენსიო სისტემის ცალკე, სიღრმისეული შესწავლა იქნება საჭირო.

თავი 2 - საპენსიო რეფორმისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში

საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასების შემდეგ, გავეცნოთ ქვეყანაში 2019 წლიდან ამოქმედებული საპენსიო სისტემის რეფორმის დეტალებს. მართალია, რეფორმის ამოქმედებიდან გასული მცირე პერიოდი არ იძლევა საშუალებას მისი ეფექტიანობის ჯეროვანი შეფასებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია გავანალიზოთ მიღებული შედეგები 2 წლის შემდეგ. ასევე განვსაზღვროთ გლობალური და ადგილობრივი ტენდენციები და ამ ტენდენციების გათვალისწინებით, შევიმუშაოთ რეკომენდაციები თუ რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს რეფორმა და რისი გათვალისწინება მართებს საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური შოკების პირობებში, საპენსიო სისტემის მდგრადობის შესანარჩუნებლად და, იმავდროულად, მისი ეფექტიანობის გასაზრდელად.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთანავე, განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, გავლენა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და კვლევების მიხედვით, დაახლოებით, სამჯერ აღემატება OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (Davis & Yu-Wei, 2008)⁴⁸. დაგროვებითი საპენსიო სისტემის დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე რამდენიმე გზით გამოიხატება:

1. კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
2. კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესება;
3. პრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდა;

⁴⁸ DAVIS, E., & HU, Y. (2008). Does funding of pensions stimulate economic growth? *Journal of Pension Economics and Finance*, 7(2), 221-249. doi:10.1017/S1474747208003545

4. ეროვნული დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდის სტიმულირება.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება არამხოლოდ ჩანაცვლების კოეფიციენტსა და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ახდენს გავლენას, არამედ მას მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, როგორც ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების გენერირებაზე, ასევე საგარეო რისკების შერბილებაზე, იმდენად, რამდენადაც იგი ეკონომიკაში შიდა დანაზოგების ზრდის მძლავრი და მდგრადი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს.

გაზრდილი საპენსიო დანაზოგები ნიშნავს ეროვნული დანაზოგების მაღალ დონეს, რაც, თავის მხრივ, ზრდის ინვესტირებისთვის ხელმისაწვდომ რესურსს. დიდი მოცულობით საპენსიო დანაზოგები ასევე განაპირობებს თანხის მეტ შემოდინებას საპენსიო ფონდებსა და აქტივების მმართველ კომპანიებში, რომლებიც ამ ფონდებს გამოიყენებენ ინვესტირებისათვის კაპიტალის ბაზარზე. გამომდინარე იქედან, რომ საპენსიო ფონდების ვალდებულებები გრძელვადიანია, შესაძლებელია მათი გრძელვადიანი ინვესტირება. **იმისათვის, რომ დაგროვებით საპენსიო სისტემას იგივე ეფექტი ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე, რეფორმის წარმატებული განხორციელებაა აუცილებელი.**

დანაზოგების დონე ასევე განსაზღვრავს თუ რამდენად სწრაფად შეუძლია ქვეყანას აღიდგინოს ფინანსური სტაბილურობა ისტორიულად მაღალი გლობალური ვალების დროს. ჭარბი დავალიანების თემა კი განსაკუთრებით აქტუალური ხდება პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში, მათ შორის საქართველოსთვისაც.

მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას მოახდენს მომავალ დანაზოგებზე დემოგრაფიული ძვრები და საპენსიო სისტემის შეცვლილი დიზაინი. ეროვნული დანაზოგი (სახელმწიფო და კერძო დანაზოგების ჯამი) მთავარი წყაროა შიდა ინვესტიციების დასაფინანსებლად, კაპიტალის ძალიან მაღალი მობილობის პირობებშიც კი. მიკრო დონეზე ეროვნული დანაზოგების მაჩვენებელი მნიშვნელოვანია პენსიონერთა უსაფრთხოებისათვის, რადგან ის საშუალებას აძლევს დასაქმებულებს შედარებით მარტივად ზიდონ საპენსიო ფონდების დაფინანსების ტვირთი და, ამასთანავე, შეინარჩუნონ ცხოვრების სასურველი სტანდარტები. როგორც

დისერტაციის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, დღეს არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, სახელმწიფო პენსიის წილი განვითარებულ და განვითარებადი ეკონომიკების მშპ-ში 1-2.5%-ით გაიზრდება 2050 წლისთვის. გადასახადებისა და სხვა ხარჯების კორექტირების გარეშე, ეს ზრდა გამოიწვევს საჯარო დანაზოგების შემცირებას. ბევრ განვითარებულ ეკონომიკაში ახალგაზრდებს მოუწევთ გაცილებით მეტი დაზოგონ, რათა ისეთივე საპენსიო უზრუნველყოფა ჰქონდეთ, როგორც ახლანდელ პენსიონერებს აქვთ. დაზოგვის ქცევები, როგორც წესი, ასაკთან ერთად იცვლება: ახალგაზრდა სესხულობს, სამუშაო ასაკში მყოფი თაობა ზოგავს, ხოლო პენსიონერი პენსიაზე გასვლის შემდეგ მოიხმარს. შედეგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენცია (რაც საქართველოშიც ფიქსირდება) ასევე შეამცირებს კერძო დანაზოგების მოცულობას, რადგან ასაკიანი მოსახლეობის (დანაზოგების ძირითადი მომხმარებელი თაობა) ფარდობითი წილი მთლიან მოსახლეობაში იზრდება.

დემოგრაფიული ცვლილებების გავლენა კერძო დაზოგვების გადანყვეტილებებზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია მთავრობის მიერ შემუშავებულ საპენსიო სისტემაზე. მაგალითად, ნაკლებად განვითარებულ საპენსიო სისტემას მივყავართ რეალობამდე, როცა შიდა მეურნეობები ნაკლებს ზოგავენ საპენსიო ასაკისთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი არაა სათანადოდ განვითარებული იმისათვის, რომ დაზოგვისათვის სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტი შესთავაზოს ხალხს. მეორე მხრივ, ზედმეტად გულუხვმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ბაზრის ნაადრევად დატოვებისა და პენსიაზე ადრე გასვლის ტენდენციები, რაც ასევე უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის დაზოგვის ქცევებზე.

გლობალური ტენდენციებისა და ისტრიული გამოცდილების გათვალისწინებით, ცხადია თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს საპენსიო სისტემის რეფორმას, როგორც მაკრო ასევე მიკრო პერსპექტივიდან გამომდინარე. განსაკუთრებით დღეს, როდესაც Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი კიდევ უფრო ზრდის წნეხს საპენსიო სისტემებზე და უფრო აუცილებელს ხდის საპენსიო სისტემის რეფორმას. მაგრამ აქვე

მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორიც - ხშირია შემთხვევა (განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ 2007-08 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში), როდესაც ქვეყნები საპენსიო სისტემაზე დადებითი ზემოქმედების ნაცვლად, პირიქით, ზრდიან ზენოლას მასზე. როდესაც საპენსიო ფონდების გამოყენებით ცდილობენ გაუმკლავდნენ მოკლევადიან შოკებს, მაგრამ ამით აზიანებენ საპენსიო სისტემის გრძელვადიან მდგრადობას. აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით დისერტაციის მე-3 თავში განვიხილავთ, როდესაც Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკების გავლენას გავაანალიზებთ, როგორც გლობალურ ეკონომიკაზე, ისე საპენსიო სისტემებზე. მანამდე კი ყურადღება გავამახვილოთ საქართველოში მიმდინარე საპენსიო სისტემის რეფორმაზე.

2.1 საქართველოს საპენსიო რეფორმის გამოწვევები

2018 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონი დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებას დაექვემდებარა. ხოლო 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საპენსიო რეფორმის ფარგლებში, საპენსიო სააგენტომ საპენსიო სქემის მონაწილეთა თანხების შეგროვება და ადმინისტრირება დაიწყო.

საქართველოს კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნა (Defined Contribution). როდესაც კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის საინვესტიციო ამონაგებსა და მომავალი ბენეფიციარის დასაქმების ხანგრძლივობაზე (რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე მოხდება პორტფელში ინვესტირება, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება). განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია ბენეფიციარის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები, იმავდროულად, მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას.

როგორც საქართველოს მთავრობის დოკუმენტში „რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე“ ვკითხულობთ: საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა „გულისხმობს კლასიკური „მეორე სვეტის“ შემოღებას. მისი ზოგადი მიზანია, საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნით საპენსიო სისტემის სამართლიანობისა და ეფექტიანობის გაძლიერება ისე, რომ მიღებული სისტემის ფისკალური მდგრადობა არ დადგეს რისკის ქვეშ, რაც საბოლოო ჯამში, საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას ემსახურება. აღნიშნული მიზანი კონკრეტულად შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1. ჩანაცვლების კოეფიციენტის 50%-ის მიღწევა 30 წლიანი კონტრიბუციის შემთხვევაში. დღეისათვის ჩანაცვლების კოეფიციენტი უარყოფით

კორელაციაშია შემოსავლის დონესთან, რაც უსამართლოა. სისტემის მიზანია შეამციროს ეს უსამართლობა; 2. ჩანაცვლების კოეფიციენტის უთანაბრობის შემცირება; 3. ფისკალურად მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება⁴⁹.

ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის ქვემიზნები:

1. უნივერსალური პენსიის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდექსაციის წესზე;
2. დაგროვების სისტემის ეფექტიანობა, რათა მეორე სვეტის მიერ უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი;
3. მოსახლეობის ჩართულობის მაღალი კოეფიციენტი;
4. მესამე სვეტის შემოღება;
5. ნაკლები სახელმწიფო სუბსიდია მაღალშემოსავლიანი მონაწილეებისათვის;
6. საბაზისო პენსიის ხარჯების საბიუჯეტო შემოსავლებთან შეფარდების ფისკალური მდგრადობა.

საქართველოს მთავრობის სტრატეგია ითვალისწინებს არსებული პირველი სვეტის გაძლიერებას და, იმავდროულად, ეფექტიანი მეორე და მესამე სვეტის საპენსიო სისტემების დანერგვას. მეორე სვეტის ფარგლებში უნდა მოხდეს წლების განმავლობაში მონაწილის მიერ გამომუშავებული ხელფასის პროპორციული თანხების დაგროვება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე და მათი პენსიის სახით გაცემა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

⁴⁹ საქართველოს მთავრობა (2018) რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე

ცხრილი 8. საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის მიზნები, ქვე-
მიზნები და ინდიკატორები

მიზნები	ქვე მიზნები	ინდიკატორები
ჩანაცვლების კოეფიციენტის 50%-ის მიღწევა 30 წლიანი კონტრიბუციის შემთხვევაში	უნივერსალური პენსიის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდექსაციის წესზე	საბაზისო პენსიის ზრდა ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპით საშუალოვადიან პერიოდში ინდექსაციის წესის კანონით განსაზღვრა
	დაგროვების სისტემის ეფექტურობა, რათა მეორე სვეტის მიერ უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი	საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით უზრუნველყოფილი დივერსიფიცირების მაღალი მაჩვენებელი შემოსავლიანობის მაჩვენებელი არ ჩამოუვარდება performance benchmark-ს (მათ შორის გამოსახული საერთაშორისო ანალოგებთან შედარებით) ადმინისტრაციული ხარჯები დაბალია შედარებადი სისტემების მედიანურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლისათვის.
	მეორე მოსახლეობის ჩართულობის კოეფიციენტი	სვეტში წილის ზრდა 70 პროცენტამდე 2030 წლისათვის მაღალი კმაყოფილების კოეფიციენტი სისტემაში სავალდებულოდ ჩართული მოქალაქეებისათვის
უთანაბრობის შემცირება	ნაკლები სახელმწიფო სუბსიდია მაღალშემოსავლიანი მონაწილეებისათვის	ბოლო ორი დეცილების მქონე მოქალაქეთათვის შემცირება ბოლო 5 პროცენტისათვის სუბსიდიის გაუქმება
	მოსახლეობის ჩართულობის კოეფიციენტი	მაღალი კმაყოფილების კოეფიციენტი სისტემაში სავალდებულოდ ჩართული მოქალაქეებისათვის
	მესამე სვეტის შემოღება	ჩართულობა მესამე სვეტში
ფისკალურად მდგრადი სისტემა	საბაზისო პენსიის ხარჯების შეფარდება საბიუჯეტო შემოსავლებთან მიმართებაში ფისკალურად მდგრადია	საშუალოვადიან პერიოდში საბაზისო პენსიის ხარჯები არ აღემატებოდეს ბიუჯეტის შემოსავლების 25% პროცენტს

წყარო:

http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_ref_ormaze.pdf


საქართველოში ამოქმედებული დაგროვებითი საპენსიო სქემის პირობები

დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა. დაგროვებითი სისტემა ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც არიან დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები და იღებენ შემოსავალს დასაქმებიდან ან თვითდასაქმებიდან. ასევე, ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. სავალდებულოა ყველა იმ მოქალაქისთვის, რომლებსაც 2018 წლის 6 აგვისტოსათვის ჯერ არ ჰქონდა შესრულებული 40 წელი. საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია ყველა თვითდასაქმებულისთვის, მიუხედავად მისი ასაკისა და ყველა დასაქმებულისთვის, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს იყო 40 ან მეტი წლის.

2019 წლის 1 იანვრიდან საპენსიო სქემაში ავტომატურად განწევრიანდა საქართველოში დასაქმებული საქართველოს ყველა მოქალაქე და ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტოსთვის ქალების შემთხვევაში ჯერ არ ჰქონდა შესრულებული 55 წელი, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - 60 წელი. იმ პირებს, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ ავტომატურ განწევრიანებას, მიეცათ საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით განწევრიანების უფლება, საპენსიო სააგენტოს საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გზით. იმ დასაქმებულ პირს, რომელიც 2018 წლის აგვისტოს უკვე იყო 40 წლის ან მეტის, მიეცა უფლება საპენსიო სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვის გზით გასულიყო საპენსიო სქემიდან. ასეთ შემთხვევაში მას, ასევე მის დამსაქმებელს და სახელმწიფოს სრულად უბრუნდებათ მათ მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები. საპენსიო სქემაში კვლავ განწევრიანება შესაძლებელია დამსაქმებლისთვის განცხადებით მიმართვის გზით.

გრაფიკ #11-ზე მოცემულია რეფორმის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების რაოდენობა. საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, სქემას ყოველთვიურად, საშუალოდ, 12000 ადამიანი უერთდება და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან მასში ჩართული იყო 1.106.683 მონაწილე.

გრაფიკი 11. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეები საქართველოში (2019-2020 წ. 31 დეკემბერის მდგომარეობით)



ავტორის გრაფიკი

სტატისტიკა: საქართველოს საპენსიო სააგენტო (www.pensions.ge)

დაგროვებითი სქემის საპენსიო შენატანები. საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადაირიცხება დარიცხული ხელფასის 2%. დამატებით, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამსაქმებელს და სახელმწიფოს შეაქვთ დარიცხული ხელფასის 2%-2%. სახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ურიცხავს დარიცხული ხელფასის 2%-ს ვიდრე დასაქმებულის დარიცხული ხელფასის ჯამური ოდენობა არ მიაღწევს 24 ათას ლარს წლიურად. ამის შემდეგ, სახელმწიფო დასაქმებულს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ურიცხავს დარიცხული შემოსავლის 1%-ს მანამ, სანამ დარიცხული ხელფასის ჯამური ოდენობა გადააჭარბებს 60 ათას ლარს წლიურად, რის შემდეგაც სახელმწიფო ხაზინა დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანებს აღარ განახორციელებს. თვითდასაქმებული საპენსიო სქემის მონაწილე, რომელიც განიხილება როგორც საკუთარი თავის დამსაქმებელი, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩარიცხავს თავისი დაუბეგრავი შემოსავლის

2%+2%=4%-ს, ხოლო სახელმწიფო ასეთ მონაწილეს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩაურიცხავს დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს.

აკუმულირებული საპენსიო თანხის გატანა. საპენსიო ასაკის მიღწევიდან ნებისმიერ დროს, მონაწილის განცხადების საფუძველზე, მონაწილე დაინყებს დაგროვილი საპენსიო თანხის ყოველთვიურ გატანას. ყოველთვიური გასატანი თანხა განისაზღვრება საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხის გაყოფით იმ წლების რაოდენობაზე, რომელიც ტოლია იმ დროისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელს გამოკლებული მონაწილის მიმდინარე ასაკი და გაყოფილი 12-ზე. პენსიის გატანა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, შესაძლებელია მხოლოდ საპენსიო ასაკში, რომელიც მამაკაცების შემთხვევაში წარმოადგენს 65 წელს, ხოლო ქალების შემთხვევაში 60 წელს. ამასთან, ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გადაავადოს პენსიის მიღება მისი საჭიროებებიდან გამომდინარე ან (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) მოითხოვოს საპენსიო თანხის ერთიანად მიღება.

სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საპენსიო სქემის გამართულად ფუნქციონირებაში. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, როგორც დამოუკიდებელ მხარეს, ევალება, რომ უზრუნველყოს საპენსიო სქემის აქტივების (ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები) მიღება, შენახვა, აღრიცხვა და მათზე საკუთრების უფლების დადასტურება, საპენსიო სააგენტოს მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულება, საინვესტიციო პოლიტიკითა და კანონით დადგენილი მოთხოვნების მონიტორინგი და სხვა.

პენსიების ინდექსაცია. თითქმის ყველა ქვეყნის საპენსიო სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი თანმხლები იყო პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება. როგორც საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ Covid-19-ით გამოწვეული ეკონომიკური რყევების საპასუხო ანტიკრიზისულ გეგმაშია მითითებული, პენსიების ინდექსაციის წესი საქართველოში 2021 წლიდან შედის ძალაში. მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დაგეგმილი

მეთოდით პენსიის ინდექსაცია პენსიის ზრდის უფრო მაღალ ინდექსს გულისხმობს 70 წელს გადაცილებული მოსახლეობისათვის, ვიდრე 70 წლამდე საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის. ინდექსაციის წესის ამოქმედების შემდეგ, 70 წლამდე მოსახლეობისთვის, პენსია გაიზრდება ინფლაციის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 20 ლარით. ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერები ყოველწლიურად მიიღებენ გაზრდილ პენსიას, რომელიც აკომპენსირებს ინფლაციას სრულად, ამასთან დამატებით იზრდება ეკონომიკის რეალური ზრდის 80%-ით. ყველა პენსიონერი ყოველწლიურად მიიღებს პენსიის ზრდას წელიწადში მინიმუმ 20 ლარის ოდენობით 70 წლამდე მოსახლეობისათვის, ხოლო მინიმუმ 25 ლარით 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის.

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობას საინვესტიციო საბჭო უზრუნველყოფს, რომლის ხუთკაციანი შემადგენლობასაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს. კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, როგორცაა საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა (საინვესტიციო სტრატეგიისა და რისკების ჩარჩოს ჩათვლით), მთავარი საინვესტიციო ოფიცრის დანიშვნა, სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევა და საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.


რეფორმის ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) საქართველოს საპენსიო სისტემის დაგროვებითი ფონდის მოცულობამ 507 მილიონი ლარს მიაღწია და მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით 1.03% შეადგინა⁵⁰. 2020 წლის მარტიდან საპენსიო სააგენტომ დროებითი საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში ინვესტირების პროცესი დაიწყო და თანხები ქართული კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან დეპოზიტებზე განათავსა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 1.2 მილიარდი ლარი შეადგინა და აღნიშნული თანხა სრულად ლარში იყო დენომინირებული. საპენსიო აქტივების 79.1% განთავსებული იყო სადეპოზიტო სერტიფიკატებში და ვადიან დეპოზიტებში, ხოლო 20.9% სარგებლიან მიმდინარე

⁵⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2019 წ. გვ. 208-214

ანგარიშებზე. 2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა სარგებელმა ჯამურად 87 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 10.8% წლიური ამონაგების ტოლფასია⁵¹.

საპენსიო აქტივების მოცულობამ 1 მილიარდ ლარს 2020 წლის 1 ოქტომბრისთვის გადააჭარბა, 2021 წლის 31 მაისისთვის კი 1483.56705 ლარს მიაღწია (გრაფიკი #12). ამ დროისათვის, საპენსიო აქტივები განთავსებულია ქართულ კომერციულ ბანკებში და ერიცხება ეფექტური წლიური სარგებელი 10.7%-ის ოდენობით. საპენსიო აქტივების 65% განთავსებულია სადეპოზიტო სერთიფიკატებში და ვადიან დეპოზიტებში, ხოლო 35% სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე. საპენსიო აქტივები 2021 წლის მაისის ბოლოსათვის სრულად ლარში იყო ინვესტირებული⁵².

გრაფიკი 12. საქართველოს საპენსიო ფონდის მოცულობა (16.01.2019-31.05.2021; მილიონი ლარი)



ავტორის გრაფიკი

სტატისტიკა: საქართველოს საპენსიო სააგენტო (www.pensions.ge)

⁵¹ საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2020, გვ, 211

⁵² საქართველოს საპენსიო სააგენტო: www.pensions.ge

როგორც საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის პირველი 2 წლის მიმოხილვა აჩვენებს, საწყის ეტაპზე სააგენტო საინვესტიციო საქმიანობის პასიურ სტრატეგიას იყენებს და საპენსიო თანხებს ფაქტობრივად ურისკო დეპოზიტებზე ანთავსებს. როგორც ეს 2020 წლის სექტემბერში მიღებულ ოფიციალურ საინვესტიციო დოკუმენტშია მითითებული, აღნიშნული პოლიტიკა შენარჩუნდება უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში.

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა. დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ძირითადი შეკითხვა ყოველთვის უკავშირდება აქტივების ინვესტირების საკითხს, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროს. ისეთი გლობალური შოკების პირობებში, როგორც 2020 წლის გაზაფხულიდან მოყოლებულია მსოფლიო ეკონომიკაში, როცა დიდია საფინანსო ბირჟებზე საინვესტიციო აქტივების ფასების რყევები, ბუნდოვანია მომავალი ბევრი მიმართულებით და ლოგიკურად ჩნდება კითხვები, თუ რამდენად არის შესაძლებელი საპენსიო ფონდებისათვის საინვესტიციო საქმიანობის ისე წარმართვა, რომ ერთი მხრივ შესაძლებელი იყოს მაღალი რისკების ბალანსი, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს საპენსიო ფონდებიდან მინიმუმ იმხელა ამონაგების მიღება, რომელიც დააბალანსებს ინფლაციურ პროცესებსა და ასევე შესაძლებელი იქნება საპენსიო სისტემის ადმინისტრაციული ხარჯების ზედმეტი ფისკალური წნეხის გარეშე უზრუნველყოფა.

2020 წლის 28 სექტემბერს საპენსიო სააგენტომ საინვესტიციო დოკუმენტი წარმოადგინა, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიან საინვესტიციო მიზნებს, საინვესტიციო პორტფელის რისკიანობას, საინვესტიციო მოთხოვნებს და დასაშვებ საინვესტიციო აქტივებს. როგორც დოკუმენტშია განსაზღვრული⁵³, საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება სხვადასხვა რისკისა და მოსალოდნელი მოგების მქონე სამი საინვესტიციო პორტფელის მეშვეობით:

⁵³ საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, 2020, 4 სექტემბერი: <https://www.pensions.ge/docs/investment-activity/Investment-policy-ka.pdf>

1. **ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელი** (სულ მცირე 5- წლიანი საინვესტიციო პერიოდით) – ლიმიტი 75%-მდე.
2. **საშუალო რისკიანი საინვესტიციო პორტფელი** (საინვესტიციო პერიოდით ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელზე მეტი) - ლიმიტი 50%-მდე.
3. **მაღალ რისკიანი საინვესტიციო პორტფელი** (საინვესტიციო პერიოდით საშუალო რისკიან პორტფელზე მეტი) - ლიმიტი 25%-მდე.

საინვესტიციო დოკუმენტის მიხედვით, საინვესტიციო საბჭო თითოეული აქტივების მმართველი კომპანიისათვის ამტკიცებს დეტალურ საინვესტიციო სახელმძღვანელოს თითოეული ტიპის საინვესტიციო პორტფელისთვის, რომელიც, უნდა მოიცავდეს სულ მცირე უკუგების მიზნობრივ მაჩვენებლებს (თამასას), თამასისადმი რისკების გადახრის ზღვრულ მაჩვენებელს მიზნობრივი მაჩვენებლების მიმართ, დასაშვებ და აკრძალულ ინვესტიციებს, საკრედიტო რისკებს, საინვესტიციო პერიოდს და სარეიტინგო ზღვრებს, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის და კანონის შესაბამისად.

დაუშვებელია საპენსიო აქტივების 5%-ზე მეტის ინვესტირება ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში (გარდა ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტებისა) და ერთი ემიტენტის მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტის ფლობა. ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის ან საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული, არანაკლებ AA- (ან მისი ეკვივალენტური) საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე.

ღია საფონდო ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიცია ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს საპენსიო აქტივების 40%-ს არ უნდა აღემატებოდეს. იმ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს საპენსიო აქტივების ინვესტირება, უნდა ჰქონდეთ, სულ მცირე, ერთი გლობალური სარეიტინგო სააგენტოს (Standard & Poor's, Moody's, Fitch Ratings, Scope Ratings) მიერ მინიჭებული

საკრედიტო რეიტინგი და შესყიდვის დროს შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს⁵⁴:

- ✓ რეზიდენტი პირის, ან მის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტების მინიმალური რეიტინგი განისაზღვრება საქართველოს სუვერენულ საკრედიტო რეიტინგზე ერთი ნიშნულით დაბლა. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების წონა საინვესტიციო პორტფელში არ უნდა აღემატებოდეს საპენსიო აქტივების 10%-ს.
- ✓ არარეზიდენტი პირის მიერ გამოშვებული (მათ შორის, საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული) ფინანსური ინსტრუმენტების მინიმალური რეიტინგი განისაზღვრება BBB-/Baa3 ან მის ეკვივალენტურ დონეზე.
- ✓ ფულადი სახსრები და დეპოზიტები შეიძლება განთავსდეს მხოლოდ, სულ მცირე, A-/A3 ან ეკვივალენტური რეიტინგის მქონე არარეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტში, ან საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში, თუ აღნიშნულ კომერციულ ბანკებს აქვს სულ მცირე ერთი გლობალური სარეიტინგო სააგენტოს (Standard & Poor's, Moody's, Fitch Ratings, Scope Ratings) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი.

კანონის შესაბამისად, საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებში: მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ საქართველოს საბანკო დაწესებულებებში არსებულ ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში და საქართველოს საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში; სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული განვითარების მიზნის მქონე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში; კორპორაციულ სასესხო ფასიან ქაღალდებში, რომლებიც რეგისტრირებულია მარეგულირებლის მიერ და განთავსებულია საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით; საქართველოს საფონდო

⁵⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №258/04 ბრძანება (ან მისი შემცველი სამართლებრივი აქტი)

ბირჟაზე ან სხვა, ნებისმიერ რეგულირებულ საფონდო ბირჟაზე საჯარო გზით განთავსებული საწარმოთა აქციებში, რომლებზეც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა; ღია საფონდო ინსტრუმენტებში; რეპო გარიგებები, რაც დაშვებულია მარეგულირებლის მიერ; საწარმოთა აქციებში ან გლობალურ დეპოზიტარულ ხელწერილებში, რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფოს კაპიტალის ბაზრის შესაბამისი მარეგულირებლის მიერ და განთავსებულია საჯარო შეთავაზების გზით და რომელთა ვაჭრობაც ხორციელდება საფონდო ბირჟაზე, იმ პირობით, რომ მათზე განხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა; სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში, თუ ის სათანადოდ არის დაცული (გარანტირებული) შესაბამისი სახელმწიფოს მიერ; სხვა ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებში, რომლებიც შესაძლოა წინასწარი თანხმობით ინვესტირებისთვის დაუშვას მარეგულირებელმა.

დაუშვებელია საპენსიო აქტივების ინვესტირება: საშუალო და მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში 2023 წლის 6 აგვისტომდე; აქტივებში, რომელთა გასხვისებაც კანონით დაუშვებელია; უძრავ ქონებასა და სხვა ფიზიკურ აქტივებში; აფილირებული ფიზიკური ან იურიდიული პირების ნებისმიერ ქონებაში; ოფციონებში, ფიუჩერსულ და ფორვარდულ გარიგებებში და სხვა დერივატივებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება პორტფელის ჰეჯირების მიზნით ე.ი. რისკების შემცირება ხდება ღია პოზიციების ზრდის გარეშე; მარეგულირებლის მიერ განსაზღვრულ სხვა ფინანსურ ან/და არაფინანსურ ინსტრუმენტებში.

საინვესტიციო საბჭომ გარკვეული საპენსიო აქტივების ინვესტირებისათვის შეიძლება შეარჩიოს აქტივების მმართველი კომპანიები. ამასთანავე, ნებისმიერი ინვესტიციის განხორციელებამდე ან მესამე მხარის საინვესტიციო პროცესში ჩართვამდე უნდა განხორციელდეს შესაბამისი გონივრულობის კვლევა (due diligence) კორპორატიული მმართველობის რისკებთან მიმართებაში. გონივრულობის კვლევის სათანადო დონე განსხვავებულია სხვადასხვა გარემოებაში და ამიტომ, საინვესტიციო საბჭომ და უფროსმა საინვესტიციო ოფიცერმა გადაწყვეტილებები კვლევის

დეტალურობასთან დაკავშირებით უნდა მიიღონ ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მიდგომა უნდა იყოს რისკისა და ორგანიზაციის ზომის პროპორციული. საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი მაღალი რისკის მქონე ტრანზაქცია, ინდუსტრია, იურისდიქცია ან ქვეყანა შეიძლება შეიზღუდოს. აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის დეტალური პროცედურა განისაზღვრება საინვესტიციო საბჭოს საქმიანობის წესში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები.

ზემოთ იმ სიკეთეების შესახებ ვისაუბრეთ, რაც დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებას შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მაგრამ ამასთანავე, არსებობს ბევრი ფაქტორი (რასაც წარსულში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაც ადასტურებს), რომელთაც შეიძლება რეფორმის ეფექტიან განხორციელებას შეუშალონ ხელი.

2019 წლიდან საქართველოში ამოქმედებული საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაცხადებული მიზანია უთანაბრობის შემცირება. როგორც პირველ თავში მოცემული რაოდენობრივი კვლევის შედეგებში ვნახეთ, უთანასწორობის ინდიკატორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საპენსიო სისტემის ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორის ფორმირებისასაც. შემოსავლების უთანაბრობის შემცირების მიზნით, რეფორმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები არ ითვალისწინებს სახელმწიფო სუბსიდიას მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის. თუმცა რამდენად საკმარისი შეიძლება იყოს ეს უთანასწორობის შესამცირებლად პენსიონერთა თაობაში? განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვების პრინციპზე დამყარებული საპენსიო სქემა ყველასათვის ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ პენსიას, რადგან სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია დაქირავებით დასაქმებული. ეს ფაქტორი საქართველოსთვისაც ძალიან აქტუალურია. მართალია, თვითდასაქმებულებს შეუძლიათ ჩაერთონ დაგროვებით საპენსიო სისტემაში, მაგრამ მეორე საკითხია ის, რომ თვითდასაქმებულთა უმეტესობა საქართველოში არ აღრიცხავს საკუთარ შემოსავალს, რაც მათ ავტომატურად ტოვებს დაგროვებითი საპენსიო სქემის გარეთ.

წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დასაქმების სტრუქტურის მთავარ გამოწვევას მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილი წარმოადგენს. მსგავსი მოცემულობის პირობებში, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქართველოში სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილზე გავრცელდება. რაც მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის სახელმწიფოსათვის და ნიშნავს იმას, რომ **საპენსიო რეფორმის ეფექტიანობისათვის აუცილებელია დასაქმების ბაზრის მაჩვენებლების გაუმჯობესებაც.**

მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზნად განისაზღვრა უთანასწორობის შემცირება და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი მეთოდებიც არის რეფორმაში ჩადებული (რაც მაღალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების შემცირებას ან გაუქმებას გულისხმობს), ფაქტია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ქმნის საფრთხეს სოციალურ უთანასწორობის კიდევ უფრო გასაზრდელად. რადგან მისი მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება.

ზემოთ ხსენებულ ფაქტორს ამძაფრებს დასაქმების გლობალურ ბაზარზე კორონავირუსით გამოწვეული ტენდენციებიც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემების მიხედვით, Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში უფრო მეტად დაზარალებიან დაბალ უნარიანი დასაქმებულები, რომელთა სამსახურიც, ძირითადად, ფიზიკურ მუშაობას გულისხმობს. შედარებით უსაფრთხოა უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა შემოსავალი, რომელთა ანაზღაურებაც ისედაც უფრო მაღალია, მათთან შედარებით, ვისაც ფიზიკურად უწევს მუშაობა - ეს კიდევ უფრო გააღრმავებს გლობალური უთანასწორობის საკითხს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეკონომიკის გაჯანსაღება ნავარაუდევზე სწრაფი ტემპებით წარიმართა, სანყის რელსებზე დაბრუნება მარტივი არ იქნება, არსებული კრიზისი დასაქმების ბაზარზე დიდ ძვრებს გამოიწვევს. რაც

თავის მხრივ, საპენსიო სისტემის მდგრადობაზე აისახება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი S80/S20 ისედაც რამდენადმე მაღალია საქართველოს შემთხვევაში კვლევის სხვა ქვეყნების იმავე მაჩვენებელთან შედარებით, სოციალურ უთანასწორობასა და მის გაღრმავებასთან დაკავშირებული რისკი საქართველოს საპენსიო სისტემისათვის განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საქართველოს საპენსიო რეფორმის წარმატება ან წარუმატებლობა შეიძლება განაპირობოს, არის კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება გლობალური ფინანსური ბაზრების მკვეთრი რყევებისა და გაზრდილი რისკების პირობებში. კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა ნებისმიერი ეკონომიკის პირობებში არის თავისუფალი და კონკურენტული გარემოს შექმნა, რომელიც ემიტენტებსა და ინვესტორებს საშუალებას უნდა აძლევდეს მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების სრული სპექტრი. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოში მიმდინარე კაპიტალის ბაზრის რეფორმა.

2.2 კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები და მისი მნიშვნელობა საპენსიო სისტემისთვის


საპენსიო რეფორმის ეფექტიანობის მიღწევა რთული იქნება ქვეყანაში ჯეროვანი ადგილობრივი საინვესტიციო ინსტრუმენტების არ არსებობის პირობებში. წარმატებული დაგროვებითი საპენსიო სისტემისათვის აუცილებელია განვითარებული კაპიტალის ბაზარი, რომელიც საპენსიო სააგენტოს საშუალებას მისცემს ინვესტიციები განახორციელოს, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ფინანსურ ბაზრებზე. კაპიტალის ბაზრისა და საპენსიო სისტემის გავლენა ორმხრივია - ერთი მხრივ საპენსიო ფონდის ინვესტირებისათვის აუცილებელია ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა, ხოლო მეორე მხრივ, დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედების შემდეგ გაჩენილი საპენსიო ფონდები უნდა გახდეს კატალიზატორი კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ქვეყანაში. ამიტომ სანამ Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური შოკებისა და პირველ თავში მოცემული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილზე გადავიდოდეთ, მცირე ექსკურსით მიმოვიხილოთ ქვეყანაში მიმდინარე ის ცვლილებები, რომელიც საპენსიო სისტემას პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარმა საქართველოში რამდენიმე გარდამტეხი ეტაპი გაიარა. 1998 წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა და მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. კანონის მიხედვით ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნული იყო საბანკო სფეროსგან. რამაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახლად ჩამოყალიბებულ მექანიზმს დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა მისცა. ამასთანავე, ბანკებს არ შეეძლოთ საბაზრო ოპერაციებში უშუალოდ მონაწილეობა (ამის შესაძლებლობა კომერციულ ბანკებს მხოლოდ შვილობილი საბროკერო კომპანიების საშუალებით ჰქონდათ) და საფონდო ბირჟის არცერთ მესაკუთრეს არ შეეძლო ჰქონოდათ ბირჟის 10%-ზე მეტი წილი, გარდა ამისა, ბანკებს ერთად არ შეეძლოთ ჰქონოდათ ბირჟის 50%-ზე მეტი.

1998-2000 წლებში ჩამოყალიბდა და ამოქმედდა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, დამოუკიდებელი რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები. შეიქმნა დამოუკიდებელი რეგულატორი – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. ეს უნდა გამხდარიყო საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მყარი საძირკველი. თუმცა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის პარალელურად, ცხადი გახდა ისიც, რომ საფონდო ბაზარი იყო სუსტი და არალიკვიდური. რის ძირითად მიზეზადაც შეიძლება მივიჩნიოთ ემიტენტებისა და ინვესტორების დაბალი აქტივობა.

რეფორმების მომდევნო ტალღა 2007-2008 წლებში დაიწყო. საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 2007 წლის 31 მარტიდან ძალაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: ბანკებს მიეცათ უფლება უშუალოდ ჩართულიყვნენ საბროკერო საქმიანობაში; გაუქმდა შეზღუდვები საფონდო ბირჟის მესაკუთრეობაზე; გაუქმდა მოთხოვნა ანგარიშვალდებული სანარმოების მიმართ ევაჭრათ ფასიანი ქაღალდებზე მხოლოდ საფონდო ბირჟის პირობებში; გაუქმდა დამოუკიდებელი რეგულატორი, შეიქმნა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც ზედამხედველობდა მთელ ფინანსურ ბაზარს საქართველოში, 2009 წელს კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა დაევალა ეროვნულ ბანკს. რეფორმა ბევრმა გააკრიტიკა და როგორც შემდეგ სტატისტიკური მაჩვენებლებით მტკიცდება არცთუ უსაფუძვლოდ. 2007 წლიდან გატარებული ცვლილებების შემდეგ, ვაჭრობის მოცულობა და საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია მკვეთრად შემცირდა (გრაფიკი #13).

გრაფიკი 13. საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია 2000-2008 წლებში (% წილი მშპ-ში)



ავტორის გრაფიკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები

ამ პერიოდში ამოქმედდა კორპორაციული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სამი მექანიზმი: გარიგება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, არასაბირჟო ვაჭრობა ბროკერების მეშვეობით და გარიგება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებთან. ამავე პერიოდში სექტორში გამჭვირვალობის ზრდისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა – ამოქმედდა „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი და შეიქმნა ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომლის საქმიანობა მოიცავს ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზების უზრუნველყოფას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამასთანავე, ევროკავშირი-საქართველოს ასოციაციის შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, დაგეგმილია ეტაპობრივად (2024 წლამდე განერილი) ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მიახლოება ევროკავშირის მიდგომებთან.

საქართველოს საფინანსო სფეროს განვითარებისათვის შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი 2016 წლიდან დაიწყო. როდესაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის

განვითარების მიზნით გამოქვეყნდა „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“⁵⁵. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ „სტრატეგიის მიზანია საქართველოში კაპიტალის ლიკვიდური ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის დივერსიფიკაციას, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდას, ეკონომიკის დედოღარზიზაციას და საფინანსო სექტორის შოკების მიმართ მდგრადობის ზრდას.“ რეფორმის ფარგლებში, 2019 წელს დასრულდა საკანონმდებლო ჩარჩო პროექტები, რომლებიც საინვესტიციო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი პრინციპების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას უზრუნველყოფენ. მათ შორისაა 2020 წელს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები და ასევე 2020 წლის ზაფხულში მიღებული „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონწვევა ეკონომიკის შედარებით მცირე მასშტაბია. აღნიშნულს, ერთი მხრივ, გრძელვადიანი დანაზოგებისა და ინსტიტუციური ინვესტორების ბაზრის ნაკლებობა, ხოლო, მეორე მხრივ, კორპორაციული/ინდუსტრიული სექტორის მცირე მასშტაბი განაპირობებს. საქართველოში საინვესტიციო ფონდების სექტორის განვითარება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. საინვესტიციო ფონდების საქმიანობას აქვს პოტენციალი, რომ ეკონომიკის მცირე მასშტაბთან დაკავშირებით არსებულ გამონწვევას უპასუხოს და ქვეყანაში კაპიტალის მიწოდების ახალი არხების შექმნას შეუწყოს ხელი. აღნიშნული მიმართულების განვითარების საჭიროება განსაკუთრებით Covid-19 პანდემიით გამონწვეული ეკონომიკური შოკების ფონზე გამოიკვეთა.

ცვლილებები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში. ინვესტორთა ინტერესების დაცულობა და გამჭვირვალობის მაღალი მაჩვენებელი კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა,

⁵⁵ კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია, ანგარიში, 2016 წ. აპრილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

რისთვისაც გამართული სამართლებრივი გარემოა საჭირო. ერთი მხრივ, აუცილებელია ბაზარზე ზუსტი, სრულყოფილი და დროული ინფორმაციის არსებობა, რომელიც ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს უკეთ შეაფასონ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებასთან დაკავშირებული სარგებლიანობა და რისკები. მეორე მხრივ, ინვესტორთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, არსებობდეს არაკეთილსინდისიერი ქმედებების იდენტიფიკაციის, პრევენციისა და მათგან ინვესტორთა დაცვის მექანიზმები. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები შემუშავებულია ბაზრის მასშტაბისა და გამომწვევების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული საკითხების დარეგულირებას ისახავს მიზნად. კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ზრდას. ვინაიდან განისაზღვრება მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ემიტენტების მნიშვნელოვანი წილის შეძენისა და ინსაიდერული ინფორმაციის წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. კანონით განიმარტა, თუ რას წარმოადგენს ინსაიდერული ინფორმაცია; განისაზღვრა და აიკრძალა ქმედებები, რომლებიც ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად, ინსაიდერულ ვაჭრობად ან ბაზრის მანიპულაციად ჩაითვლება. აგრეთვე, კანონში განხორციელებული ცვლილებით, გამარტივდა საჯარო ემისიის პროსპექტის დამტკიცების წესები.

„ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონი. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი. დერივატივები კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტია და მისი გამოყენებით შესაძლებელია ფინანსური რესურსებისა და მასთან დაკავშირებული რისკების უკეთ მართვა. დერივატივებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსური გირავნობის საკითხი, ვინაიდან ის საფინანსო სექტორში რისკების შემცირებას ემსახურება და ფინანსური სტაბილურობის მიღწევისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დერივატივების გამოყენება ხელს უწყობს შემოსავლის ზრდას და რისკების მართვას, თუმცა, არასწორი გამოყენების

შემთხვევაში, თავად დერივატივებსაც აქვს ფინანსური რისკები, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი ცოდნის და რისკების მართვის სისტემების არსებობა. სწორედ ამიტომ, კანონის თანახმად, დერივატივების გამოყენების პირთა წრე შემზღვეულია მხოლოდ ბაზრის კვალიფიციური მონაწილეებით. ფიზიკური პირებისთვის დერივატივების ინსტრუმენტების შექმნა მხოლოდ იმ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტების საშუალებითაა დაშვებული, რომელთაც ეროვნული ბანკი ზედამხედველობს და მათ აქვთ ვალდებულება, ერთის მხრივ, სრულყოფილად აუხსნან მომხმარებელს პოტენციური რისკების შესახებ და, მეორე მხრივ, არ შესთავაზონ ისეთი პროდუქტები, რომელიც არ შეეფერება ამა თუ იმ კატეგორიის ინდივიდუალურ ინვესტორს.


მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს მომავალში ქვეყანაში ფინანსური ბაზრის განვითარებას. მართალია, ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს კაპიტალის ბაზარზე აქტივობები გაზრდილია (იხ. დანართები გრაფიკების #25-29 სახით) მაგრამ ჯერ ისევ მწვავედ დგას საფინანსო სექტორის კონცენტრაციის საკითხი. საქართველოს საფინანსო სექტორი თითქმის მთლიანად ბანკებით არის წარმოდგენილი (90%+)⁵⁶ და ძალიან დაბალია არასაბანკო ფინანსური აქტივების წილი მთლიან აქტივებთან მიმართებაში.

რაც შეეხება საფონდო ბირჟას, 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 38 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 106 ემიტენტს შეადგენდა. 2016 წლის შემდეგ⁵⁷ ასევე შემცირებულია სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა.

⁵⁶ <https://www.oecd-ilibrary.org/sites/a23ed799-ka/index.html?itemId=/content/component/a23ed799-ka>

⁵⁷ ვინაიდან საქართველოში კაპიტალის ბაზრის რეფორმის სტრატეგიის წარდგენა 2016 წელს მოხდა, საბაზისო მაჩვენებლად ავიღეთ ეს წელი

გრაფიკი 14. სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა საქართველოში (2010-2020 წწ)



სტატისტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge)

კაპიტალის ბაზრის სტატისტიკური მონაცემების მოკლე მიმოხილვაც კი ნათელს ხდის, რომ ქვეყანაში ჯერ ისევ განუვითარებელია სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რაც, თავის მხრივ, ქმნის დაბრკოლებას დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირებისათვის. ბაზრის ნორმალურად ოპერირებისათვის მნიშვნელოვანია მიმოქცევაში იყოს საკმარისი რაოდენობით ფასიანი ქაღალდები, რათა შესაძლებელი გახდეს საპენსიო ფონდის მოთხოვნის დაკმაყოფილება განათავსონ გრძელვადიანი სახსრები ადგილობრივ ბაზარზე. ინვესტირების ადგილობრივი მექანიზმების არსებობა კიდევ უფრო აქტუალური ხდება გლობალური ეკონომიკური კრიზისების დროს. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში 2007-08 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ გლობალურ ბაზრებზე შემცირებული საინვესტიციო აქტივობის დაბალანსება მოხდა ადგილობრივი ფინანსური ბაზრების ჩანაცვლებით. რის გამოც იმ ქვეყნების დაგროვებითმა საპენსიო სისტემებმა, სადაც კარგადაა განვითარებული ადგილობრივი ფინანსური ბაზრები, შედარებით ნაკლები დანაკარგებით შეძლეს კრიზისისთვის თავის დაღწევა (განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნების შემთხვევაში).

საკანონმდებლო ბაზის დახვეწასთან ერთად, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ,

კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვა-განვითარება ქვეყანაში, მაგალითად კრიპტოვალუტების სახით. მართალია, ჩვენი დისერტაციის თემა კრიპტოვალუტების სიღრმისეულ კვლევა არ არის, თუმცა როდესაც კაპიტალის ბაზრის განვითარებასა და მის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ საპენსიო სისტემის ფუნქციონირებისთვის, გვერდს ვერ ავუვლით 21-ე საუკუნის ისეთ ეპოქალურ მოვლენას, როგორც არის კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიები. რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულონ ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარებაში. Honohan (2018)⁵⁸ საკუთარ კვლევებში საუბრობს იმაზე, თუ როგორ უკავშირდება სიღარიბის დონე ქვეყანაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს და თუ როგორ ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე. სხვადასხვა კვლევის შედეგების მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი არის შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე და პროდუქტებზე (Beck & Demirguc-Kunt, 2006)⁵⁹, რისი აღმოფხვრის ხელშეწყობაც შეუძლია თანამედროვე ინოვაციურ ფინანსურ ტექნოლოგიებს.

ფინანსური პროდუქტების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდივიდების, ასევე კომპანიებისთვისაც (Gorodnichenko & Schnitzer, 2013)⁶⁰. რაც აისახება საპენსიო სისტემაზე, ვინაიდან დიდწილად კომპანიებზეა დამოკიდებული დასაქმების ბაზრის მაჩვენებლები ქვეყანაში. კომპანიებისთვის საზიანოა მდგომარეობა, როდესაც მათ არ აქვთ ჯეროვანი ხელმისაწვდომობა ფინანსური რესურსების სხვადასხვა წყაროზე. ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა კომპანიებისათვის ნიშნავს გლობალური კონკურენტუნარიანობის რუკაზე ჩამორჩენას, რაც ამცირებს მათ პროდუქტიულობას. ეს იწვევს კერძო სექტორის შემოსავლებისა და

⁵⁸ Honohan, P. (2008). Cross-country variation in household access to financial services. *Journal of Banking & Finance*, 32, 2493–2500. <https://doi.org/10.1016/j.jbankfin.2008.05.004>

⁵⁹ Beck, T., & Demirguc-Kunt, A. (2006). Small and medium-size enterprises: Access to finance as a growth constraint. *Journal of Banking & Finance*, 30, 2931–2943. <https://doi.org/10.1016/j.jbankfin.2006.05.009>

⁶⁰ Gorodnichenko, Y., & Schnitzer, M. (2013). Financial constraints and innovation: Why poor countries don't catch up. *Journal of the European Economic Association*, 11, 1115–1152. Retrieved from <https://doi.org/10.1111/jeea.12033>

მოგების შემცირებას, რაც თავის მხრივ, ზრდის წნეხს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რადგან ნაკლებია სამუშაო ადგილები, დაბალია ხელფასები და ბიუჯეტში შესული საგადასახადო შემოსავლები. ამიტომ განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში ეკონომიკური პრობლემების ანალიზის საფუძველზე, მეცნიერთა ნაწილი ასკვნის, რომ კრიპტოვალუტებსა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს შეუძლიათ დააჩქარონ განვითარების პროცესი სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს, მაშინ როდესაც კრიპტოვალუტას ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის, მომავალში სიღარიბესთან ბრძოლისა და ფინანსური ბაზრების განვითარების უმნიშვნელოვანეს პოტენციურ იარაღად მიიჩნევს⁶¹.

⁶¹ Holtmeier M. Sandner P. (2019) The impact of crypto currencies on developing countries, Frankfurt School of Finance & Management gGmb. http://explore-ip.com/2019_The-Impact-of-Crypto-Currencies-on-Developing-Countries.pdf

თავი 3. Covid-19-ის გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და საპენსიო სისტემებზე

3.1 Covid-19-ის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე

Covid-19, რომელიც 2019 წლის ბოლოს დათქმულა ჩინეთში, რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემიად იქცა. დაავადების შემოქმედება ძალიან დიდია ნებისმიერი სფეროზე. კორონავირუსს ადამიანების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკაზე. მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ თუ გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა უცნობი ვირუსით გამოწვეულ პანდემიას. დღეს აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვდგავართ არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ, როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს - კორონავირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად. ამ ფაქტორის გათვალისწინებით როგორც ცალკეული ქვეყნები ისე მთელი მსოფლიოც დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, „ეკონომიკური კრიზისის“⁶² საფრთხის წინაშე (პაპავა, 2020)⁶³. ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო გეოპოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, გარემოს დაცვასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე. გამონაკლისი არც საპენსიო სისტემებია, ისედაც კრიტიკული მომავლის გათვალისწინებით, რაც დისერტაციის დასაწყისში განხილული დემოგრაფიული ცვლილებებით არის გამოწვეული, 2020

⁶² ტერმინი ეკუთვნის შრილანკელ პროფესორ აჯით დე ალვის - „ეკონომიკის“ („Coronomics“) შექმნა, რომელიც მიიღება ორი ტერმინის „კორონა“ და „ეკონომიკის“ გაერთიანებით და შეისწავლის კორონავირუსის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს (<http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>)

⁶³ პაპავა ვ. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე <https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html>

წლიდან ბევრი ქვეყნის საპენსიო სისტემას პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებთანაც უწევს გამკლავება.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ ტენდენციებზე. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა მოკლევადიან პერიოდში რამდენჯერმე გადახედეს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე და საშუალოვადიან პროგნოზებს. „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა“ ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილში 2020 წელს მსოფლიო ქვეყნების 90%-ს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა უწინასწარმეტყველა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს, ღრმა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 60%-ს შეადგენდა. მაგრამ, 2020 წლის აპრილში გამოქვეყნებული პროგნოზის შემდეგ (რაც გლობალური ეკონომიკის 3%-იან შემცირებას ითვალისწინებდა), მოვლენები კიდევ უფრო დამძიმდა და „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ მომდევნო პროგნოზის მიხედვით (2020 წლის ივნისი) ⁶⁴ გლობალური ზრდის ტემპი -4.9%-იანი მაჩვენებლით განისაზღვრება, რაც 1.9%-თ ნაკლები იყო 2020 წლის აპრილის პროგნოზზე. საბოლოოდ, 2021 წლის იანვარში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, გლობალური ეკონომიკა 2020 წლის განმავლობაში 3.5%-ით შემცირდა. რაც შეეხება პროგნოზს, 2021 წელს „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ მსოფლიო ეკონომიკის 5.5%-იან, ხოლო 2022 წელს - 4.2%-იან ზრდას პროგნოზირებს⁶⁵. მნიშვნელოვანია, რომ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გავლენა განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც გლობალიზაციისა და მომსახურების დარგების წილი მაღალია, ზრდის ნაკლები ტემპებია მოსალოდნელი, განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებთან შედარებით (გრაფიკი #15).


⁶⁴ World Economic Outlook Update, International Monetary Fund | June 2020 web:

<https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/09/30/world-economic-outlook-october-2020>

⁶⁵ World Economic Outlook Update, International Monetary Fund | January, 2021 web:

<https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/01/26/2021-world-economic-outlook-update>

გრაფიკი 15. გლობალური ეკონომიკა. რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი (% ცვლილება)




წყარო: IMF, World Economic Outlook, January, 2021

„მსოფლიო ბანკის“ საპროგნოზო მაჩვენებელი გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით 2021 წლისთვის 4%-ით, 2022 წლისათვის კი 3.8%-ით განისაზღვრა⁶⁶. „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (OECD) 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკის 4.2%-ით, 2022 წელს კი 3.7%-ით ზრდას ვარაუდობს⁶⁷ (გრაფიკი #16).

⁶⁶ World Bank Group, Global Economic Prospects, January 2021

⁶⁷ OECD Economic Outlook: Statistics and Projections; December, 2020

გრაფიკი 16. რეალური მშპ-ს ზრდა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით (2020 წ. 2021-2022 წლების პროგნოზი)



წყარო: ავტორის გრაფიკი

სტატისტიკური მონაცემები: OECD data base; World Bank

საერთაშორისო ორგანიზაციებმა 2020 წლის მეორე ნახევარში ასევე უარესობისკენ შეცვალეს პროგნოზები ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მწვავედ დადგა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის საკითხი. პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკებმა ძალიან დიდი ნაბიჯებით დახია უკან ის პროგრესი, რომელსაც მსოფლიომ მიაღწია სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით 1990-იანი წლების შემდეგ. იმისათვის, რომ გავიგოთ Covid-19-ის პოტენციური ნეგატიური გავლენა ეკონომიკაზე, აუცილებელია გავიაზროთ ის ეკონომიკური არხები, რომელთა გავლითაც შოკები მოქმედებს სხვადასხვა სფეროზე. არსებობს შოკების გადაცემის სამი ძირითადი არხი (Carlsson-Szlezak *et al.* 2020a⁶⁸ და Carlsson-Szlezak *et al.* (2020b.)⁶⁹: საქონლისა და მომსახურების მოხმარების რადიკალური შემცირება; არაპირდაპირი გავლენა ფინანსური ბაზრების გავლით და მათი გავლენა რეალურ ეკონომიკაზე; და მესამე, მიწოდების მხარე. ვინაიდან Covid-19 ბევრ

⁶⁸ Carlsson-Szlezak, Philipp, Reeves, M., & Swartz, P. (2020, March 27). Understanding the Economic Shock of Coronavirus. Harvard Business Review. <https://hbr.org/2020/03/understanding-the-economic-shock-of-coronavirus>

⁶⁹ Carlsson-Szlezak, Phillip, Reeves, M., & Swartz, P. (2020, March). What Coronavirus Could Mean for the Global Economy. <https://hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy>

შეფერხებას იწვევს, ეს გარდაისახება მიწოდების ჯაჭვზე ნეგატიურ გავლენაში და დასაქმების შემცირებაზე, რასაც გრძელვადიან პერიოდში მოჰყვება უმუშევრობის სტაბილურად ზრდა. ასევე, არსებობს „დაველოდოთ-და-ვნახოთ“ დამოკიდებულება ეკონომიკური აგენტების მხრიდან. რაც გავრცელებული პრაქტიკაა ისეთი ეკონომიკური კლიმატის დროს, რომელიც ხასიათდება გაურკვეველობების მაღალი დონით.

დიდია Covid-19-ის გავლენა შემოსავლების ნაკადებზეც. მცირდება შიდა მეურნეობების შემოსავლები და, შესაბამისად, მათი მოხმარება და დანაზოგები. დანაზოგების შემცირება ამცირებს ინვესტიციებს და იწვევს კაპიტალის შოკებს. მცირდება შიდა მეურნეობების მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელზეც, რაც ამცირებს შემოსავალს დანარჩენი მსოფლიოსთვის და მცირდება ქვეყნების ექსპორტი. რასაც მოჰყვება მიწოდება-მოთხოვნის შოკი, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს ყველაფერი იწვევს ეკონომიკის გამოშვების შემცირებას (Baldwin 2020)⁷⁰. ამიტომ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის Covid-19 პანდემიისას, ასევე, სხვა სახის კრიზისთან მიმართებაში, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ბიზნესსუბიექტების, ასევე სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მარეგულირებლის შეთანხმებული მოქმედება (შარაშენიძე, 2020)⁷¹.

თანამედროვე ეკონომიკა არის დასაქმებულების, კომპანიების, მიმწოდებლების, მომხმარებლებისა და ფინანსური შუამავლების კომპლექსური კავშირი. მჭიდრო კავშირის გამო ვირუსის გავლენა კიდევ უფრო ღრმა და მძიმეა. ამიტომაც მკვლევართა ნაწილის პროგნოზით, გლობალური მასშტაბით, დასაქმების ბაზარზე მყოფი მოსახლეობის 50%-ს გაუჭირდება სამუშაო ადგილის შენარჩუნება ან ახალი სამსახურის მოძებნა უახლოეს პერიოდში (Gourinchas 2020)⁷². 21-ე საუკუნეში გლობალური ეკონომიკის კომპლექსურობა გამოიხატება არამხოლოდ დარგებს

⁷⁰ Baldwin, R. (2020, March 13). Keeping the lights on: Economic medicine for a medical shock. VoxEU.Org

⁷¹ შარაშენიძე ა. (2020) კოვიდ-19 პანდემიის კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენის ცალკეული ასპექტები. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თსუ. გვ. 443-445

⁷² Gourinchas, P.-O. (2020). Flattening the pandemic and recession curves. Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever.

შორის მჭიდრო კავშირით, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებისა და ადგილობრივ ეკონომიკებზე გლობალური ფაქტორების დიდ გავლენაშიც. რაც ბევრ საგარეო ფაქტორზე დამოკიდებულების გამო საქართველოსთვისაც აქტუალურია (ძებისაური, 2020)⁷³. პანდემიით გამოწვეული გლობალური შოკების გავლენა საქართველოსათვის განსაკუთრებით აქტუალურია ტურიზმის სექტორის მიმართულებით, ერთი მხრივ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკისათვის და მეორე მხრივ, იმის გამოც რომ არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის დარგი ერთ-ერთ ყველაზე დიდ უარყოფით გავლენას განიცდის, რაც საქართველოს ტურიზმის სექტორზეც აისახება (ჩიტალაძე, 2020)⁷⁴.

ავტორთა ნაწილი კვლევებში პარალელურად ავლენს კაცობრიობის მიერ წარსულში გადატანილ დიდი ვირუსებისგან გამოწვეულ კრიზისებთან. თუმცა მკვლევართა მეორე ნაწილი კამათობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რელევანტურია Covid-19-ის გავლენის შეფასება ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. Baker *et al.* (2020b)⁷⁵ მიიჩნევენ, რომ Covid-19 პანდემიამ მიგვიყვანა გაურკვევლობების ისეთ დონემდე, რომელიც ახლოსაც კი არ ღვას რომელიმე ისტორიულ გამოცდილებასთან. ეკონომისტთა ნაწილის შეფასებით, მოხმარების შემცირების, უმუშევრობის ზრდის, დაბალი ინფლაციური მოლოდინებისა და გაურკვევლობების მთავარი წყარო არის არა Covid-19, არამედ მთავრობების მიერ მიღებული „ლოქდაუნის“ გადანყვეტილებები (Coibion *et al.* 2020)⁷⁶. Mulligan (2020)⁷⁷

⁷³ ძებისაური ლ. (2020) COVID-19 და საქართველოს საგარეო სექტორის მოკლე სტატისტიკური რეტროსპექტივა. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თსუ. გვ.500-505

⁷⁴ ჩიტალაძე ქ. (2020) COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმზე. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თსუ. გვ. 461-470

⁷⁵ Baker, S. R., Bloom, N., Davis, S. J., & Terry, S. J. (2020). COVID-Induced Economic Uncertainty (Working Paper No. 26983; Working Paper Series). National Bureau of Economic Research.

<https://doi.org/10.3386/w26983>

⁷⁶ Coibion, O., Gorodnichenko, Y., & Weber, M. (2020b). The Cost of the Covid-19 Crisis: Lockdowns, Macroeconomic Expectations, and Consumer Spending (Working Paper No. 27141; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w27141>


ათვასებს „ჩაკეტვის“ სავარაუდო ხარჯებს იმისათვის, რომ განსაზღვროს Covid-19-ის მაკროეკონომიკური გავლენა. კვლევების შედეგად ავტორი ასკვნის, რომ საყოველთაო ჩაკეტვის შემდეგ დანაკარგი 7 ტრილიონ აშშ დოლარს უდრის ყოველ წელს. სამედიცინო ინოვაციები (მაგალითად ვაქცინის შემუშავება, სამუშაო ადგილზე რისკების შემცირება და სხვა) ამ ზარალს 2 ტრილიონი აშშ დოლარით შეამცირებს. პანდემიის მიერ გამოწვეულმა ფაქტორებმა ასევე რადიკალურად შეცვალა მომხმარებლის ქცევა, მოხდა ფასეულობათა გადაფასება და სრულად განსხვავებული საქონლისა და მომსახურების წინ წამოწევა. ამასთანავე, მიმდინარე კრიზისის პერიოდში სოციალური მედიამარკეტინგი გახდა ძლიერი მარკეტინგული ინსტრუმენტი (უროტაძე, ჯაში 2020)⁷⁸.

2020 წლის მარტში დაწყებული საყოველთაო ჩაკეტვის, საერთაშორისო ფრენების, მიმოსვლის აკრძალვისა და უამრავი შეჩერებული აქტივობის შემდეგ, ცხადია, რომ ეკონომიკას სტიმულირება დასჭირდებოდა და მთავრობები ასეც მოიქცნენ. შედეგად, 2020 წლის მხოლოდ პირველ კვარტალში ჩაშვებულმა სტიმულირების პაკეტებმა ბევრ ქვეყანაში 10-ჯერ და მეტად გადააჭარბა 2008-09 წლების ფინანსური კრიზისის დროს მიღებული ანტიკრიზისული პაკეტების მშპ-თან პროცენტული მიმართების მაჩვენებელს (გრაფიკი #17).

⁷⁷ Mulligan, C. B. (2020). Economic Activity and the Value of Medical Innovation during a Pandemic (Working Paper No. 27060; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w27060>

⁷⁸ უროტაძე ე.; ჯაში ჩ. (2020) COVID 19-ის პანდემიის ეპოქის მარკეტინგული ასპექტები. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თსუ. გვ. 397-403

გრაფიკი 17. კრიზისზე რეაქციების ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, 2020 I კვარტალი, როგორც მშპ-ს %



წყარო: ავტორის გრაფიკი
 სტატისტიკური მონაცემები: McKinsey & Company

საპენსიო სისტემებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმებულ-უმუშევრობის მაჩვენებლებს. უმუშევრობის გაზრდილ მაჩვენებელთან ერთად, პირველი ტენდენცია, რაც 2020 წელს გამოიკვეთა არის ის, რომ ძალიან დიდია განსხვავება უმუშევრად დარჩენილთა შორის პროფესიებისა და სამუშაოს ტიპის მიხედვით. უთანასწორობა სამუშაოების/შემოსავლის დანაკარგებში დაფუძნებულია სამუშაოს ტიპზე და დასაქმებულის კვალიფიკაციაზე. ცხადია, რომ ის დასაქმებულები უფრო ხშირად კარგავენ სამუშაოს, რომელთა საქმეც ონლაინ ფორმით ვერ შესრულდება. ასევე უფრო მეტად შემცირდა იმ ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელი, ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვს. Yasenov (2020)⁷⁹ ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც უფრო მეტად უწყობს ხელს უმუშევრობის ზრდას: ესენია განათლების დაბალი დონე, ახალგაზრდული ასაკი და იმიგრანტების ჯგუფი. Brynjolfsson et al. (2020)⁸⁰ იკვლევენ დასაქმების ბაზრის ე.წ. ონლაინ მხარეს - იმას თუ

⁷⁹ Yasenov, V. I. (2020). Who Can Work from Home? (SSRN Scholarly Paper ID 3590895). Social Science Research Network. <https://papers.ssrn.com/abstract=3590895>

⁸⁰ Brynjolfsson, E., Horton, J., & Ozimek, A. (2020). COVID-19 and Remote Work: An Early Look at US Data. 16.

რამდენად შეუძლია კომპანიას გადაეწყოს ონლაინ საქმიანობაზე და რამდენად უშლის/არ უშლის ეს ხელს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას. Dingel და Neiman (2020)⁸¹ იკვლევენ უკვე შემდეგ ეტაპს - შესრულებული საქმიანობის ეფექტიანობას, რომელიც დისტანციურად შეიძლება შესრულდეს.


„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) მონაცემების მიხედვით ⁸² , გლობალურ დონეზე უმუშევართა რაოდენობა 2020 წელს 33 მილიონი ადამიანიდან 220 მილიონამდე გაიზარდა, რაც პროცენტულ გამოხატულებაში გლობალური უმუშევრობის 1.1%-იან ზრდას ნიშნავს და 6.5%-ს შეადგენს. 2020 წელს 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მსოფლიომ სამუშაო საათების 8.8% დაკარგა, რაც 255 მილიონ სრულ-განაკვეთიან სამუშაო ადგილს უდრის. ეს 2008-09 წლების ფინანსური კრიზისის დროს გაუქმებულ სამუშაო ადგილებზე 4-ჯერ მეტია. სამუშაო საათების განსაკუთრებით დიდი შემცირება 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში დაფიქსირდა. მესამე კვარტალში გაუქმებული სამუშაო საათების 12.1%-იანი მაჩვენებელი 7.2%-მდე, მეოთხე კვარტალში კი 4.6%-მდე შემცირდა, რაც 130 მილიონი სრულ-განაკვეთიანი სამუშაო ადგილია. დასაქმების მაჩვენებელი ქალებს შორის 5%-ით მეტად შემცირდა მამაკაცებთან შედარებით. ყველაზე მეტად ახალგაზრდები დაზარალდნენ, რომელთა დასაქმების მაჩვენებელი 8.7%-ით მეტად შემცირდა 25+ ასაკის დასაქმებულებთან შედარებით. 2020 წელს ასევე შემცირდა დასაქმებულთა შემოსავალი 8.3%-ით, რაც დაახლოებით 3.7 ტრილიონი აშშ დოლარი და გლობალური მშპ-ს 4.4%-ია (გრაფიკი #18). ამ მაჩვენებლებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, საპენსიო სისტემებისა და განსაკუთრებით დაგროვებითი საპენსიო სქემებისათვის.

⁸¹ Dingel, J. I., & Neiman, B. (2020). How Many Jobs Can be Done at Home? (Working Paper No. 26948; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w26948>

⁸² ILO:

<https://www.ilo.org/wesodata/?chart=Z2VuZGVyPVsiVG90YWwiXSZ1bml0PSJOdW1iZXIiJnNIY3Rvcj1bIkl uZHVzdHJ5IiwuU2VydmljZXMiLCJBZ3JpY3VsdHVyZSJdJnllYXJGcm9tPTE5OTEmaW5jb21lPVtdJmluZGJlY XRvcj1bInVuZW1wbG95bWVudCJdJnN0YXR1cz1bIkVtcGxveWVlcyIsIkVtcGxveWVycyIsIldvcmtpbmdGb 3JPd24iLCJDb250cmliXRpbmdGb3JGYW1pbHkiXSZyZWdpb249WyJXb3JsZCJdJmNvdW50cnk9W10meW VhclRvPTIwMjImdmlld0ZvcmlhdD0iQ2hhcnQiJmFnZT1bIkFnZTE1cGx1cyJdJmXhbmd1YWdlPSJlbi%3D>


გრაფიკი 18. დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი 2020 წელს, რეგიონების მიხედვით



ავტორის გრაფიკი
წყარო: www.ilo.org

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით, დასაქმების ბაზრის ეტაპობრივი აღდგენა 2021 წლის მეორე ნახევრიდანაა მოსალოდნელი, თუმცა რისკებისა და გაურკვევლობების დონე ძალიან მაღალია. ამასთანავე, სამუშაო საათების აღდგენის ტემპები განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. სამუშაო საათების შემცირების საპროგნოზო მაჩვენებელი სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მაღალია ამერიკისა და ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონისთვის, სადაც სხვა რეგიონებთან შედარებით, შენელებული იქნება აღდგენის ტემპებიც (გრაფიკი #19).


გრაფიკი 19. სამუშაო საათების შემცირების მაჩვენებელი 2020 წლისათვის და საპროგნოზო მაჩვენებლები სამი სცენარით (2021/22 წლებში რეგიონების მიხედვით)



ავტორის გრაფიკი
წყარო: www.ilo.org

მსოფლიო ტენდენციების პარალელურად, დასაქმების ბაზრის მაჩვენებლები გაუარესდა საქართველოს შემთხვევაშიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2019 წელს არსებული 17.6%-იანი მაჩვენებლიდან უმუშევრობის მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსათვის 20.4%-მდე გაიზარდა (გრაფიკი #20).

გრაფიკი 20. უმუშევრობის დონე საქართველოში (2019-2020 წლები)



წყარო: www.geostat.ge

გლობალური სამუშაო ძალის 38% დასაქმებულია საწარმოებში, სასტუმროებში, ტურიზმის სექტორში, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროში და იმ სერვისებში, რომელიც მთელი 2020 წლის განმავლობაში მოთხოვნისა და შემოსავლების მკვეთრ ვარდნას განიცდიდა და გაკოტრების პირას მივიდა. მაგალითისათვის, განთავსებისა და კვების სექტორის დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ით შემცირდა 2020 წლის მესამე კვარტალისათვის. საპირისპიროდ, გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი ისეთ სექტორებში, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები (5%-იანი ზრდა) და ფინანსური და სადაზღვევო სფერო (3.4%-იანი ზრდა).

ინდივიდუალურ დონეზე შემოსავლების შემცირების პარალელურად, როგორც კომპანიებისთვის ასევე შიდა მეურნეობებისთვის ჭარბი სესხების პროცესი და გაზრდილი დავალიანების საკითხები არის მთავარი განხილვის საგანი ავტორთა სხვა ჯგუფისათვის Covid-19-ით გამოწვეული ეკონომიკური შოკების ანალიზისას. Elenev-ის

(2020) ⁸³ მიერ შემუშავებული მოდელი განიხილავს Covid-19-ის გავლენას დასაქმებულთა პროდუქტიულობის შემცირებაზე, რაც ამცირებს დასაქმების მაჩვენებელს, ეს კი პირდაპირ აისახება კომპანიებზე. შედეგად, მცირდება შემოსავლები და ვალების მომსახურების დროს წარმოქმნილი პრობლემები ქმნის კორპორატიული დეფოლტების რისკს. Baker (2020) ⁸⁴ განიხილავს მოხმარების ჩვევებსა და ვალებზე რეაგირების ფორმებს Covid-19-ის პირობებში. მაღალი მოცულობის სამთავრობო ვალებისა და საპროცენტო განაკვეთების ისტორიულად დაბალი დონის პირობებში, რომელიც არსებობს უმეტეს განვითარებულ ქვეყანაში. Bianchi (2020) ⁸⁵ გვთავაზობს კოორდინირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რათა ჯეროვანი პასუხი გაეცეს პანდემიით გამოწვეულ შოკებს. ავტორის რეკომენდაციით, ფისკალური პოლიტიკა უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ ამოქმედდეს ე.წ. „გადაუდებელი“ ბიუჯეტი ვალის მშპ-თან მიმართების განაკვეთის ჭერით. ეს გაზრდის აგრეგირებულ ხარჯებსა და ინფლაციის მაჩვენებელს და შეამცირებს რეალურ საპროცენტო განაკვეთს. მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებთან კოორდინაციაში, ინფლაციის მაჩვენებლის სამიზნედ მიღების გზით (targeting). ხოლო გრძელვადიან პერიოდში, მთავრობამ უნდა შეეცადოს და დააბალანსოს ბიუჯეტი და მომავალში მონეტარული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ინფლაციის ნორმალურ მაჩვენებელზე დაბრუნება. ჭარბი დავალიანებისა და ვალების მომსახურების საკითხზე კეთდება აქცენტი საქართველოს შემთხვევაშიც, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ვალების მომსახურებას

⁸³ Elenev, V., Landvoigt, T., & Van Nieuwerburgh, S. (2020). Can the Covid Bailouts Save the Economy? (Working Paper No. 27207; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w27207>

⁸⁴ Baker, S. R., Farrokhnia, R. A., Meyer, S., Pagel, M., & Yannelis, C. (2020). How Does Household Spending Respond to an Epidemic? Consumption During the 2020 COVID- 19 Pandemic (Working Paper No. 26949; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w26949>

⁸⁵ Bianchi, F., Faccini, R., & Melosi, L. (2020). Monetary and Fiscal Policies in Times of Large Debt: Unity is Strength (Working Paper No. 27112; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w27112>

2021 წელს იწყებს, რაც კიდევ უფრო ზრდის კრიზისით გამოწვეული შოკების წნეხს ქვეყნის ეკონომიკაზე (ჯგერენაია, 2020)⁸⁶.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტთა პროგნოზის მიხედვით, მომავალში უფრო მეტად დაზარალებიან დაბალ უნარიანი დასაქმებულები, რომელთა სამსახურიც, ძირითადად, ფიზიკურ მუშაობას გულისხმობს. შედარებით უსათრთხოა უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა შემოსავალი, რომელთა ანაზღაურებაც ისედაც უფრო მაღალია, მათთან შედარებით, ვისაც ფიზიკურად უწევს მუშაობა. სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააღრმავებს გლობალური უთანასწორობის საკითხს.

უთანასწორობის საკითხი კი ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით მწვავედ დგას კაცობრიობის წინაშე. კაპიტალიზმის სისტემის უსამართლობა ფრანგმა ეკონომისტმა თომას პიკეტმა ულმობელი ლოგიკით ახსნა წიგნში „კაპიტალი ოცდამეერთე საუკუნეში“⁸⁷. ავტორი თვლის, რომ ეკონომიკაში, სადაც კაპიტალზე შემოსავალი აჭარბებს ზრდის პროცენტს, მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე ყოველთვის უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე გამომუშავებული სიმდიდრე. საინტერესოა, რას უქადის მსოფლიოს Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური შოკები გრძელვადიან პერიოდში?! როდესაც სულ უფრო მეტად ზიანდება დაბალშემოსავლიანი დარგები. უფრო მეტად ზარალდებიან ადამიანები, რომელთა შემოსავალიც ფიზიკურ შრომას უკავშირდება და ისედაც მცირეა?! დღეს შემცირებული შემოსავალი კი მომავალში მათ საპენსიო ანარიცხებზეც აისახება.

წიგნში, რომელიც მსოფლიოს ბესტსელერი გამოსვლიდან ძალიან მოკლე დროში გახდა, პიკეტი აკრიტიკებს კაპიტალიზმის ცენტრალურ მითს, რომლის მიხედვითაც, სიმდიდრე დიდი შრომის შედეგად მიიღწევა, რასაც სჭირდება გამჭრიახობა, მუშაობა, ჭკვიანური ინვესტიციები, რისკის განწევა და სხვა. ავტორისთვის

⁸⁶ Jgerenaia E., Ghaniashvili M. (2020) The Problem of Over-Indebtedness in the Corona Economy (Case of Georgia). International Journal of Economics, Business and Management Research Vol. 4, No. 10; pp. 213-221. http://ijebmr.com/uploads/pdf/archivepdf/2020/IJEBMR_631.pdf

⁸⁷ Piketty Th. (2014) Capital in the Twenty-First Century., Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England

მე-20-ე საუკუნის გრძელვადიანი პერიოდი, როდესაც უთანასწორობის დონე ასე თუ ისე მცირდებოდა, უკავშირდება კონიუნქტურის მცირე ცვლილებას, რომელიც წარმოებული იყო ომის გამო წარმოქმნილი მოთხოვნებით, უფრო მეტად ორგანიზებული სამუშაო ბაზრით, მაღალი გადასახადების საჭიროებით, დემოგრაფიული ტენდენციებითა და ტექნოლოგიური ინოვაციებით. თომას პიკეტის შეფასებით, 21-ე საუკუნეში სამუშაო ბაზარი არის სუსტი, ტექნოლოგიური ინოვაციები დაბალი, გლობალური კაპიტალიზმის ძალა კი ძლევამოსილი. თუ პიკეტი მართალია, კაპიტალიზმის გავლენა უარყოფითია და ჩვენ ვდგავართ სისტემის პირისპირ, რომელიც ხასიათდება დაბალი ზრდით, უთანასწორობის მაღალი და სოციალური მობილობის დაბალი დონით.

ჩვენს დისერტაციაში 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული წიგნი მისი ასევე ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაწილის გამო მოვიხმეთ. დიდი დისკუსია პიკეტის წიგნში გამოიწვია თავმა, რომელიც ე.წ. „სოციალურ სახელმწიფოს“ ეხება. მზარდი ეროვნული შემოსავალი სახელმწიფოებმა გარდაქმნეს უნივერსალურ სერვისებში, როგორცაა პენსიები და სხვა სახის შემწეობები. პიკეტის აზრით, ეს თანამედროვე კაპიტალიზმის გარდაუვალი მახასიათებელია. მისი შეფასებით, „ფლობის უფლება“ გარდაიქმნა ჯანდაცვისა და საპენსიო სისტემებად, რის ნაცვლადაც პიკეტი ალტერნატიულ ვარიანტს განიხილავს გადასახადების ზრდის სახით – პროგრესული გადასახადი კერძო სიმდიდრეზე (ინფლაციით კორექტირებული გადასახადი კაპიტალზე). „მე-20 საუკუნის განმავლობაში გადანაწილება ეფუძნებოდა გადასახადს შემოსავალზე, 21-ე საუკუნეში კი სამართლიანი გადანაწილება შეუძლებელია, თუ მოხდება მხოლოდ შემოსავლის დაბეგვრა და მასთან ერთად არ მოხდება სიმდიდრის დაბეგვრაც“, – მიიჩნევს ფრანგი ეკონომისტი. პიკეტისთვის გამოსავალია 15%-იანი გადასახადი კაპიტალზე, 80%-იანი გადასახადი მაღალ შემოსავალზე, იძულებითი გამჭვირვალობა ნებისმიერ საბანკო ოპერაციაზე და ინფლაციის გათვალისწინება, სიმდიდრის უფრო სამართლიანი გადანაწილებისათვის. მართალია, თვითონ პიკეტიც კი თავისი იდეების ნაწილს უტოპიურს უწოდებს და ეს დღევანდელი გადმოსახედიდან მართლაც ასეა, მაგრამ უკვე 2020 წლის ბოლოსათვის ნათელია თუ როგორ რადიკალურად ცვლის Covid-19

პანდემიით გამოწვეული კრიზისი მსოფლიო დღის წესრიგს, ამიტომ ექსცენტრიული ფრანგი ეკონომისტის უტოპიურ იდეებს ვერც ჩვენ ავუვლით გვერდს, მაშინ როდესაც ქვეყნის სოციალური სისტემის მოწყობისა და მისი რეფორმირების შესახებ ვსაუბრობთ, სულ უფრო მზარდი გლობალური უთანასწორობის პირობებში. მით უმეტეს, რომ უთანასწორობის მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაშიც ძალიან მაღალია, რასაც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების სტატისტიკური მაჩვენებლების განხილვაც ცხადყოფს (S80/S20 ინდიკატორი). კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკები კი დიდი ალბათობით უთანასწორობის დონის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა, რომელიც დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი დონის, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და საერთაშორისო ფინანსური ნაკადების მნიშვნელობის გამო, დიდადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. მსოფლიო პანდემიამ საქონლის ექსპორტიდან და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი კლება განაპირობა. გლობალური მაკროფინანსური გარემოდან მომდინარე ისეთი რისკები, როგორებიცაა მსოფლიოს მასშტაბით შემცირებული მოთხოვნა, განვითარებად ქვეყნებში რისკების ზრდა, მოგზაურობასთან დაკავშირებული გაურკვეველობა და ფულადი გზავნილების შემცირება, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის შემოდინებებზე და ეკონომიკის ზრდის ტემპებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა ის ტენდენციები, რომელიც წინა წლებში დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა შეადგინა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა - 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%)⁸⁸. აღნიშნულის შედეგად, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 5.1% შეადგინა. მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ეკონომიკური მაჩვენებლებისა, კორონავირუსის პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად

⁸⁸ <https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>


გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ქვეყნის რეალური მშპ 2020 წელს 6.1%-ით შემცირდა. 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი კი, დაახლოებით, 5%-ით განისაზღვრა.

საერთაშორისო მაკრო-ფინანსურ გარემოში პანდემიით გამოწვეული რისკები საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას რამდენიმე ძირითადი არხით გადაეცემა. Covid-19 ვირუსის სწრაფი გავრცელების თავიდან ასაცილებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა საერთაშორისო ფინანსური ნაკადების შემოდინებებზე უარყოფითად იმოქმედა. კერძოდ, საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვამ 2020 წელს მნიშვნელოვნად შეამცირა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა და საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები. ამასთან, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში შექმნილმა ეკონომიკურმა სირთულეებმა ფულადი გზავნილები და საქონლისა და მომსახურების ექსპორტი შეამცირა. ასევე, მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში რისკის პრემიის ზრდის შედეგად გამკაცრდა ფინანსური პირობები, რაც, მიწოდების მხრიდან უცხოური ვალუტის სესხების გაძვირებას განაპირობებს. ყოველივე ეს ფინანსური ნაკადების შემოსულობების მნიშვნელოვან კლებაში აისახა, რამაც, თავის მხრივ, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება და ლარის გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობა გამოიწვია მთელი 2020 წლის განმავლობაში.

ისევე როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში, ჭარბი დავალიანების პრობლემის წინაშე აღმოჩენის რეალური საფრთხეა საქართველოს შემთხვევაშიც. Covid-19 პანდემიის პირობებში გაზრდილი რისკის პრემია და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ვალის მომსახურების ტვირთის ზრდაში აისახა. ამასთან, პანდემიით გამოწვეული რეცესიის შესარბილებლად მობილიზებულმა ფინანსურმა რესურსებმა საგარეო ვალი გაზარდა. პანდემიის საწყის ეტაპზე აუცილებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გამოყენება. საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში ჯამში მოზიდულ იქნა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება, მათ შორის: „საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან“ (IMF) – 200 მილიონი აშშ დოლარი; „აზიის განვითარების ბანკისგან“ (ADB) – 400 მლნ აშშ დოლარი; „მსოფლიო ბანკისგან“ (WB) – 250 მლნ აშშ დოლარი;

„საფრანგეთის განვითარების სააგენტოსგან“ (AFD) – 200 მლნ აშშ დოლარი; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან“ (KfW) – 250 აშშ დოლარი; ევროკავშირისგან (EU) – 200 მლნ აშშ დოლარი და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან“ (AIIB) - 100 მლნ აშშ დოლარი. შედეგად, საქართველოში გაიზარდა სახელმწიფო ვალის მთლიანი მოცულობა.

გრაფიკი 21. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო საშინაო ვალი (ათასი ლარი)



ავტორის გრაფიკი⁸⁹


სტატისტიკური მონაცემები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge)

საქართველოს საგარეო ვალი ძირითადად უცხოური ვალუტითაა დენომინირებული და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად მონყვალადია გაცვლითი კურსის რისკის მიმართ. ეს რისკი თვალსაჩინო გახდა პანდემიის პერიოდში, როდესაც გაუარესებულ საგარეო მდგომარეობას ადგილობრივი ვალუტის მკვეთრი გაუფასურება მოჰყვა და გაიზარდა როგორც მთავრობის საგარეო, ასევე საშინაო ვალების მოცულობა (გრაფიკი #21). საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ეფუძნება „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ (IMF) მეთოდოლოგიას და მოდიფიცირებულია ქვეყნის სპეციფიკიდან

⁸⁹ მონაცემები განახლებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამომდინარე ⁹⁰, ლარის აშშ დოლართან მიმართებით 30%-იანი გაუფასურების შემთხვევაში მთავრობის ვალი, მშპ-თან მიმართებაში, აჭარბებს კრიტიკულ ზღვარს. ზემოხსენებული ეკონომიკური შოკების საპასუხოდ, გაზრდილი სავალო ვალდებულებების შედეგად, 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 54%-ს ⁹¹. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველო საგარეო ვალების მასშტაბურ მომსახურებას 2021 წლიდან იწყებს, რაც გლობალურ და ადგილობრივ ეკონომიკურ შოკებთან ერთად კიდევ უფრო ზრდის წნეხს ქვეყნის ბიუჯეტზე (გრაფიკი #22).

გრაფიკი 22. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება (მილიონი აშშ დოლარი)



ავტორის გრაფიკი

სტატისტიკური მონაცემები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge)

ასეთ რთულ პერიოდს ემთხვევა საქართველოში მიმდინარე საპენსიო სისტემის რეფორმა, რომელიც, ცხადია, მოახდენს გავლენას რეფორმის წარმატებულ-წარუმატებლობაზე და ეფექტიანობაზე. რამდენად დიდი შეიძლება იყოს გლობალური შოკების გავლენა და რა რეკომენდაციებს გასცემენ საერთაშორისო

⁹⁰ <https://www.imf.org/external/pubs/ft/dsa/mac.htm>

⁹¹ <https://www.mof.ge/images/File/2020%E2%80%9307-2020/danartebi/DSA-FInal.pdf>

ორგანიზაციები კრიზისის დროს საპენსიო სისტემების მართვასთან დაკავშირებით, მომდევნო ქვეთავში დანვრილებით განვიხილავთ.

3.2 პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავლენა საპენსიო სისტემებზე


პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ვარდნამ დასაქმების ბაზრის შემცირება გამოიწვია და მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. გამონაკლისი არც უფროსი ასაკის თაობაა. რომელთა კეთილდღეობაზეც ვირუსს განსაკუთრებით მძაფრი გავლენა აქვს - პირველ რიგში სამედიცინო თვალსაზრისით ისინი მაღალი რისკ ჯგუფში იმყოფებიან და მეორეც, ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი შეეხო საპენსიო ფონდებსაც, რაც პენსიონერთა მიმდინარე თუ მომავალ შემოსავლებს უზრუნველყოფს⁹².

უმუშევრობის ზოგადი ზრდის პარალელურად, კიდევ უფრო დიდია დასაქმების შემცირების მაჩვენებლები საპენსიო ასაკის მოსახლეობაში. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში ნაკლებია ალბათობა, რომ ისინი კრიზისის მეტნაკლებად გადალახვის შემდეგ, კვლავ შეუერთდებიან სამუშაო ძალას - ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასაკიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დატოვებს სამუშაო ბაზარს და გავა პენსიაზე იმაზე ადრე, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ეკონომიკური პირობების დროს იზამდა. ეს, თავის მხრივ, ზრდის წნეხს საპენსიო სისტემებზე. მაგალითისათვის, მხოლოდ აშშ-ში პანდემიის საწყის ეტაპზე ერთი თვის განმავლობაში (2020 წლის აპრილი) 55+ ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის დონე მარტში არსებული 3.3%-იანი მაჩვენებლიდან 13.6%-მდე გაიზარდა, რაოდენობრივი თვალსაზრისით ეს დაახლოებით 3.7 მილიონი

⁹² Pension Schemes in the COVID-19 Crisis: Impacts and Policy Considerations Csaba Feher and Ignatius de Bidegain, July 20, 2020

ადამიანია⁹³. გრაფიკ #23-ზე ასახულია ტენდენცია, თუ როგორ მცირდება დასაქმების მაჩვენებელი 55-64 ასაკობრივ ჯგუფში EU27 და OECD ქვეყნებში.

გრაფიკი 23. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი OECD-ისა და EU27 ქვეყნებში 55-64 ასაკობრივი კატეგორია; 2018 წლის IV კვარტალი -2020 III კვარტალი



ავტორის გრაფიკი
 სტატისტიკური მონაცემები: OECD⁹⁴

გარდა იმისა, რომ საპენსიო სისტემას პენსიონერთა დიდი ნაკადი შეუერთდება, მთავრობებმა სხვადასხვა ანტიკრიზისული შეღავათების ფარგლებში, შეამცირეს გადასახადები ბევრ ქვეყანაში, რაც ლოგიკურად ამცირებს საპენსიო სისტემის შენატანებს. მოვლენათა მსგავსი განვითარება გავლენას ახდენს, როგორც მდგრადობაზე, ასევე საპენსიო სისტემის ხარჯების ადეკვატურობაზე, რამაც კრიზისიდან გამომდინარე შეიძლება გაამწვავოს ფისკალური წნეხი.

⁹³ <https://www.aarp.org/work/job-search/info-2020/unemployment-numbers-april.html>

⁹⁴ OECD (2020), Employment rate by age group (indicator): <https://data.oecd.org/emp/employment-rate.htm>

ისევე როგორც 2007-08 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკების პირობებშიც აქტუალური ხდება კითხვები ფინანსური ბაზრებისა და საინვესტიციო პორტფელების მართვის მოდელლებთან დაკავშირებით. რამდენად რელევანტურია დათვების ბაზრის დროს მარკოვიჩის თანამედროვე პორტფელური თეორია? როგორ მუშაობს CAPM მოდელი? ფინანსური სამყაროს ისეთი გურუების სახელები, როგორცაა მარკოვიჩი, შარპი, ტობინი და სხვები განსაკუთრებით აქტუალური კრიზისების დროს ხდება, როდესაც დიდია გაურკვევლობები ფინანსურ ბაზრებზე. იგივე ეხება საპენსიო ფონდებსა და საპენსიო თანხების ინვესტირების საკითხებს უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც უკვე ძალიან დიდია ფინანსურ ბაზრებზე Covid-19 პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობები და ფინანსური აქტივების ფასების მერყეობები.

ინვესტორების მიზანია შექმნან პორტფელი, რომლის ბენჩმარკი რისკის მოცემული დონისათვის მაქსიმალური მოგების მიღება ან უკუგების სამიზნე მაჩვენებლის გათვალისწინებით, რისკის მინიმალური დონის განწვევაა. ოპტიმალური საინვესტიციო ფორტფელის შექმნის იდეა MPT თეორიის ქვაკუთხედი, რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაეყარა.

Modern Portfolio Theory (MPT) საფუძველი გახდა 1952 წელს ჰარი მარკოვიჩის ეპოქალური სადოქტორო დისერტაცია სტატისტიკაში. მარკოვიჩის მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო პორტფელის დივერსიფიკაციის გავლენის აღწერა, როდესაც პორტფელი შედგება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისგან. მარკოვიჩის დისერტაციის მიგნებები პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში *The Journal of Finance*⁹⁵, ხოლო შემდეგ გამოიცა წიგნი მარკოვიჩის ავტორობით: *Portfolio Selection: Efficient Diversification* (1959). დაახლოებით 30 წლის შემდეგ მარკოვიჩმა MPT კონტრიბუციისთვის ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკისა და კორპორაციული ფინანსების მიმართულებით, მილერთან და შარპთან ერთად. 1958 წელს ჯეიმს ტობინმა⁹⁶ მარკოვიჩის შრომებზე დაფუძნებული კვლევები გამოაქვეყნა. მისი მოდელი

⁹⁵ Markowitz H. (1952) Portfolio Selection Harry Markowitz *The Journal of Finance*, Vol. 7, No. 1. March, pp. 77-91

⁹⁶ Tobin, J. (1958). Liquidity preference as behavior toward risk. *Review of Economic Studies*, 65-85

გვთავაზობს, რომ ინვესტორები, რისკებისადმი მიმღეობის დონის მიუხედავად, შეინარჩუნებენ პორტფელს იმავე პროპორციებით მანამ სანამ აქვთ იდენტური მოლოდინები მომავალთან დაკავშირებით.

12 წლის შემდეგ კი William Sharpe⁹⁷-ის (1964), John Lintner⁹⁸-ისა (1965) და Jan Mossin⁹⁹-ის (1966) ავტორობით გამოქვეყნებულმა სტატიებმა საფუძველი ჩაუყარა CAPM (Capital Asset Pricing Model) მოდელს. CAPM-ის მარტივი ვერსია უშვებს, რომ ინვესტორები მოქმედებენ ერთი-პერიოდის ჰორიზონტით. როცა ინვესტორები აცნობიერებენ ცხოვრებისეული მოხმარების საჭიროებას და სახავენ გეგმებს და მათი ფასიანი ქაღალდების უკუგების დისტრიბუცია დროთა განმავლობაში არის სტაბილური, საბაზრო პორტფელი რჩება ეფექტური და მუშაობს მოსალოდნელი უკუგება-ბეტას ურთიერთმიმართების მარტივი ვერსია. მაგრამ თუ ეს დისტრიბუცია იცვლება არაპროგნოზირებადი მიმართულებით და ინვესტორები ცდილობენ საკუთარი მოხმარების პირობების გათვალისწინებით მოახდინონ სხვადასხვა არასაბაზრო რისკის ჰეჯირება, მარტივი CAPM გზას უთმობს მრავალფუნქციურ მოდელს, სადაც ფასიანი ქაღალდების რისკ-პრემია იცვლება არასაბაზრო რისკების გათვალისწინებით. **დაგროვებითი საპენსიო ფონდების მენეჯერები 2020 წლის ბოლოდან დიდი გამოწვევის წინაშე დგანან - რისკების მიმღეობა უკუგების განაკვეთის გაზრდის მიზნით ან აქტიური საინვესტიციო საქმიანობის პასიურით ჩანაცვლება ყოველ შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში, რაც მომავალში უკუგების განაკვეთს შეამცირებს, ეს კი თავის მხრივ აისახება მომავალი პენსიონერების შემოსავლებზე.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება მცირედი ყურადღება შევაჩეროთ საპენსიო სისტემების საინვესტიციო აქტივობების ტენდენციებზე და გამოვკვეთოთ რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელიც შეიძლება აქტუალური გახდეს საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკისათვის მომავალში.

⁹⁷ Sharpe W. (1964) Capital Asset Prices: A Theory of Market Equilibrium,” Journal of Finance, September

⁹⁸ Lintner J. (1965) The Valuation of Risk Assets and the Selection of Risky Investments in Stock Portfolios and Capital Budgets,” Review of Economics and Statistics, February

⁹⁹ Mossin J. (1966) Equilibrium in a Capital Asset Market, Econometrica, October 1966.

Thinking Ahead Institute-ს მონაცემების მიხედვით,¹⁰⁰ 2020 წელს საპენსიო ფონდების საინვესტიციო კუთხით შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა: კვლევის წევრი ქვეყნების¹⁰¹ საპენსიო აქტივების ბაზარი 52.522 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს და ქვეყნების ჯამური მშპ-ს 80%-ს უდრის. ამასთანავე, აღნიშნული აქტივების მთლიანი მოცულობის 92% მოდის შვიდი ქვეყნის (ავსტრალია, კანადა, იაპონია, ნიდერლანდები, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ) საპენსიო ფონდებზე. საპენსიო აქტივების 62% აშშ-შია განთავსებული, 6.9% - იაპონიაში და 6.8% - დიდ ბრიტანეთში. 2019 წელთან შედარებით, კვლევის წევრი ქვეყნების საპენსიო აქტივების მოცულობა 47 289 მილიარდი აშშ დოლარიდან 11.1%-ით 52.522 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება საინვესტიციო უკუგების განაკვეთს, 2020 წელს მან წლიური 13.2% შეადგინა. საპენსიო აქტივების 60% აქციებშია განთავსებული, 40% კი ობლიგაციებში.

აშშ-ს საპენსიო აქტივების ზრდის განაკვეთმა 18% შეადგინა. დიდი ბრიტანეთისამ - 6.6%, ხოლო იაპონიისამ - 7.9%. აშშ და ავსტრალია, რომელთა საინვესტიციო უკუგების განაკვეთი შედარებით მაღალია, საპენსიო აქტივების ინვესტირებისათვის უფრო მეტად იყენებენ აქციებს ობლიგაციებთან შედარებით, იაპონია, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი კი პირიქით - უპირატესობას ობლიგაციებში ინვესტირებას ანიჭებენ. DC სქემების აქტივები 8.2%-ით გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში, DB სქემებისა კი 4.3%-ით. DC სქემები დომინირებს ტრადიციულად აშშ-სა და ავსტრალიის საპენსიო სისტემებში. იაპონიასა და კანადაში DB სქემებს ანიჭებენ უპირატესობას, რაც ნელნელა იცვლება და ამ ქვეყნების საპენსიო სქემებიც სულ უფრო მეტად ტრანსფორმირდება DB სქემებიდან DC სქემებისკენ.

Thinking Ahead Institute-ის კვლევის წევრი ქვეყნების საპენსიო ფონდების 2000-2020 წლების საინვესტიციო აქტივობების ძირითადი ტენდენციები:

¹⁰⁰ Global Pension Assets Study – 2021. <https://www.thinkingaheadinstitute.org/research-papers/global-pension-assets-study-2021/>

¹⁰¹ კვლევა ეყრდნობა 22 ქვეყნის საპენსიო ფონდების მიმოხილვას: ავსტრალია, ბრაზილია, კანადა, ჩილე, ჩინეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჰონგ-კონგი, ინდოეთი, ირლანდია, იტალია, იაპონია, მალაიზია, მექსიკა, ნიდერლანდები, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ

- კვლევის წევრი 22 ქვეყნიდან ყველაზე წარმატებულია ავსტრალია, რომლის საპენსიო აქტივები ყოველწლიურად, საშუალოდ, 11.3%-ით იზრდება. სპეციალისტთა შეფასებით, ამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის სამთავრობო-მანდატი საპენსიო კონტრიბუციებში, კონკურენტუნარიანი ინსტიტუციური მოდელი და DC სქემების დომინანტობა;
- 20 წლიან შედეგებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ უფრო დიდი პროცენტით იზრდება DC სქემები, DB სქემებთან შედარებით;
- განსაკუთრებით გაიზარდა აქტივების ალოკაცია ისეთი სფეროების ფასიან ქაღალდებში, როგორცაა უძრავი ქონება, კერძო კაპიტალი და ინფრასტრუქტურა. ამ სექტორებში საპენსიო აქტივების ალოკაცია 7%-დან 26%-მდე გაიზარდა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში;

2021 წლისათვის არსებული გლობალური ეკონომიკური გარემო ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური რეცესიითა და შემცირებული საინვესტიციო უკუგებით, დამატებით ფინანსურ წნეხს ქმნის საპენსიო სისტემებისათვის.

ფინანსურ ბაზარზე არსებული მერყეობის პარალელურად, ბევრ ქვეყანაში საპენსიო ფონდებისათვის საფრთხეს ქმნის ისიც, რომ ნებადართულია საპენსიო ანარიცხების ვადაზე ადრე გატანა. რამაც სპეციალისტთა შორის დიდი დისკუსია გამოიწვია. მაგალითად, ჩილეს ახალი კანონი საშუალებას აძლევს მოქალაქეს საპენსიო ფონდში არსებული დანაზოგების 10% გაიტანოს ვადაზე ადრე. პერუმ საშუალება მისცა საკუთარ მოქალაქეებს კერძო საპენსიო სქემებიდან ვადაზე ადრე გაიტანონ დანაზოგების 25%. ასევე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებიც საპენსიო დანაზოგებს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ საშუალებას პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისთან და გაზრდილ უმუშევრობასთან გასამკლავებლად. მაგრამ ეს პოლიტიკა გრძელვადიან რისკებს შეიცავს. საპენსიო ანგარიშებიდან თანხების წინასწარ გატანის პროცედურები გაამარტივეს განვითარებული ქვეყნების ნაწილმაც. რასაც განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ორგანიზაციები.

OECD-მ გამოაქვეყნა იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელსაც მთავრობებმა, ძირითადად, მიმართეს Covid-19 პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან გასამკლავებლად და, იმავედროულად, საპენსიო სისტემების მდგრადობის შესანარჩუნებლად¹⁰².

ცხრილი 9. მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა Covid-19-ით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებზე რეაგირებისათვის, საპენსიო სისტემების მიმართულებით

გატარებული პოლიტიკა	ქვეყნები
მოკლევადიანი საინვესტიციო ზარალის თავიდან აცილების მიზნით მატერიალიზაციის (მაგ. საპენსიო ფონდის გაყიდვა) შეზღუდვის პოლიტიკა	ავსტრალია, კანადა, კოლუმბია, ჩილე, გერმანია, უნგრეთი, ლატვია, მექსიკა, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ
საპენსიო ანგარიშების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა (მაგალითად, გაჯანსაღების პერიოდის გახანგრძლივება DB სქემებისთვის)	OECD 29 ქვეყანა + ხორვატია, ყაზახეთი, კენია, მავრიკი
სუბსიდირების პოლიტიკა (მაგალითად, ხელფასის სუბსიდირება სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად)	ისლანდია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, სლოვაკია, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი
უნყვეტი საოპერაციო საქმიანობის (იგივე ონლაინ ფორმით) უზრუნველყოფა და ხელშეწყობა	OECD ქვეყნების უმეტესობა
დაცვა თაღლითობისა და კიბერ-შეტევებისგან (საპენსიო სქემის მონაწილეთა გაფრთხილება და თავდაცვის მექანიზმების გაცნობა/შეთავაზება)	ავსტრალია, ავსტრია, ლუქსემბურგი, მავრიკი, ახალი ზელანდია, სლოვენია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი
ეკონომიკური შოკების განეიტრალებისათვის შემუშავებული მოკლევადიანი ღონისძიებები, რომელიც გრძელვადიან პერიოდში პოტენციური რისკების მატარებელია (მაგალითად, დანაზოგების ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა)	ავსტრალია, ბელგია, კანადა, კოლუმბია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, პერუ, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ

¹⁰² <http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/retirement-savings-in-the-time-of-covid-19-b9740518/>

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებას OECD-ის ექსპერტები დადებითად აფასებენ, გარდა უკანასკნელისა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური შოკების განეიტრალებისათვის შემუშავებულ ისეთ მოკლევადიან ღონისძიებებს, რომელიც გრძელვადიან პერიოდში პოტენციური რისკების მატარებელია (მაგალითად, დანაზოგების ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა). ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, OECD-ის ექსპერტები მაქსიმალურად მოუწოდებენ მთავრობებს და გასცემენ რეკომენდაციებს თავი შეიკავონ ისეთი პოლიტიკის გატარებისგან, რომელიც საპენსიო სისტემების მდგრადობას უქმნის საფრთხეს გრძელვადიან პერსპექტივაში.

რაც შეეხება საქართველოს, საპენსიო სფეროს მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები, მათ შორის პენსიების ზრდა 2020-2021 წლებში გეგმის მიხედვით განხორციელდა. გარდა ამისა, როგორც ეს საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული მართვის დოკუმენტშია მოცემულია, ქვეყანა არ აპირებს გადადოს პენსიების ინდექსაციის წესის ამოქმედება 2021 წლიდან.

გლობალურ დონეზე კი, დღეს საპენსიო სისტემებისათვის პრობლემა მხოლოდ საპენსიო შენატანების ვადაზე ადრე განაღდების შესაძლებლობა არ არის. მსოფლიოს გარშემო საპენსიო სქემების უმეტესობაში ასევე ნებადართულია პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლა, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ხანგრძლივი სამსახურებრივი გამოცდილების ან ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე. თუმცა ხშირ შემთხვევაში პენსიაზე ვადაზე ადრე გასული ბენეფიციარის საპენსიო ანარიცხი განსხვავდება ჩვეულებრივი სარგებელისაგან. სოციალური უსაფრთხოების რეგულაციები, როგორც წესი განსაზღვრავს პენსიაზე ნაადრევი გასვლის გამო, ყოველთვიურ საპენსიო განაცემზე გამოქვითვის გარკვეულ პროცენტს, რაც პენსიების რეალურ გამოხატულებაში ნიშნავს წლიურად 3.6-7.2%-იან შემცირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ, ნაკლები საპენსიო შემოსავლის პირობებში, პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს პენსიაზე ვადაზე ადრე გასულ ბენეფიციართა შორის სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა სხვა პენსიონერებთან შედარებით, ნაკლები საპენსიო ანარიცხის მიღების გამო. განსაკუთრებით იმ პენსიონერთა შემთხვევაში, რომელთა საქმიანობაც პენსიაზე გასვლამდე დაბალ კვალიფიკაციური და ნაკლებ შემოსავლიანი

იყო. ასეთი პროფესიები გრძელვადიანი კრიზისის დროს, როგორც წესი, ყველაზე მეტად ზიანდება და გამონაკლისი არც კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი და მისი შედეგები იქნება.

წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კრიზისების გავლენა პენსიაზე გასვლის ფორმებზე განისაზღვრება ორი ფაქტორით: საპენსიო შემოსავლების შემცირებას, რამაც შეიძლება პოტენციური პენსიონერი აიძულოს კიდევ ცოტა ხნით შეინარჩუნოს სამსახური, აბალანსებს დასაქმების ბაზარზე გაუარესებული მდგომარეობა და ეს უკანასკნელი ხშირად უბიძგებს ადამიანებს ნაადრევად გავიდნენ პენსიაზე, როდესაც მათ ამის საშუალება აქვთ (სტიმული პრობითი ბაზრიდან გასვლისათვის, როგორც უმუშევრობის ალტერნატივა). მთლიანად ეს პროცესი დამოკიდებულია საპენსიო სისტემის სტრუქტურაზე - იმაზე თუ რამდენად მარტივია პენსიაზე გასვლა საპენსიო ასაკამდე, როგორია დასაქმების პერსპექტივები და რამდენად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ტრანსფერი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს პენსიონერებს კრიზისის შედარებით მარტივად გადალახვაში.

ის თუ რა ახდენს ადამიანთა პენსიაზე გასვლის გადაწყვეტილებაზე გავლენას, სიმდიდრე თუ დასაქმების ბაზარზე არსებული ვითარება, დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობაზე სხვადასხვა მიმართულებით. როგორც საპენსიო სქემის შიგნით გატარებულ პოლიტიკაზე, ასევე დასაქმების ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე. მაგალითად, არსებობს თუ არა წახალისების მექანიზმები დამსაქმებელთათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ასაკიანი მოსახლეობის უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩენას დასაქმების ბაზარზე. როგორია რეგულაციები საპენსიო დანაზოგებზე და რამდენად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სოციალური ტრანსფერები. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის პირველი ნახევრიდან წარმოქმნილი ეკონომიკური შოკების გრძელვადიანი გავლენა საბაზისო საპენსიო ხარჯებზე შეიძლება დაბალი იყოს, საწყისი ხარჯების შოკი წლების განმავლობაში რჩება და კიდევ უფრო ზრდის კრიზისის შედეგად წარმოქმნილ მოკლევადიან ფისკალურ ზეწოლას. პენსიაზე ადრე გასვლის „ბუმი“ კი, მომდევნო წლებში შეიძლება კომპენსირდეს საპენსიო ასაკის გაზრდით, რაც ბევრ ქვეყანაში უკვე დაგეგმილია.

სხვადასხვა სახის საინვესტიციო ფონდში განთავსებული საპენსიო ანარიცხები ასევე უარყოფით გავლენას განიცდიან კრიზისის დროს - საპენსიო შენატანების შემცირება ამცირებს მათი აქტივების მოცულობას, მაშინ როდესაც მაღალი საინვესტიციო რისკები და საპენსიო განაკვეთების მკვეთრი რყევები ზრდის მიმდინარე ვალდებულებებს. ამ ტენდენციებმა შეიძლება წარმოქმნას, როგორც აშკარა ფისკალური რისკები (იმ შემთხვევაში თუ საპენსიო ფონდების გარანტირებულ მთავრობები გვევლინებიან), ასევე „ფარული“ ფისკალური რისკები (მაგალითად, კრიზისის პირობებში ასევე იზრდება ფინანსური წნეხი დამსაქმებლებზე, რომლებიც დასაქმების ბაზრის გავლით გვევლინებიან საპენსიო ფონდების თანადამფინანსებლებად).

რომ შევაჯამოთ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე კრიზისი ქვეყნების საპენსიო სისტემებზე რამდენიმე გზით ახდენს გავლენას:

1. იზრდება ადამიანთა რაოდენობა, ვინც დატოვებს სამუშაო ბაზარს და ჩვეულებრივად ადრე უერთდება საპენსიო სისტემას;
2. დასაქმების ბაზარზე არსებული სიტუაცია, შემცირებული სამუშაო ადგილებისა და ხელფასების სახით, გადაიზრდება ნაკლებ საპენსიო შემოსავლებში, რომლებსაც დასაქმებულები ხელფასიდან საპენსიო ფონდებში იხდიან;
3. აქტივებზე ფასების ვარდნა ნეგატიურ გავლენას ახდენს საპენსიო ფონდების ფინანსურ ბალანსზე;
4. მოსალოდნელია, რომ მთავრობები და კომპანიები, რომლებიც ხშირად საპენსიო ფონდების ობლიგაციების მთავარ ანდერრაიტერებად გვევლინებიან, შეამცირებენ აქტივობას ბაზრის ამ სეგმენტზე.

სხვადასხვა ტიპის (იქნება ეს DB-განსაზღვრული ბენეფიტებისა, თუ DC - განსაზღვრული შენატანების სქემა) საპენსიო სისტემა რისკებს სხვადასხვანაირად მიიღებს, როგორც სისტემის გარეთ, ასევე განსხვავებული იქნება მიდგომები სქემის ანდერრაიტერებსა და წევრებს შორის. ის თუ როგორი იქნება რისკების მიმღეობა, რა გავლენას მოახდენს ისინი საპენსიო სქემის წევრებზე და ანდერრაიტერებზე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის იმაზეც თუ რისკების მიმართ რამდენად მდგრადია საპენსიო სისტემა და როგორ კონდიციებში იყო ის კრიზისის წინ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტივები-ვალდებულებების მიმართების განაკვეთი, დამატებით რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა და რისკის გადანაწილების დონე საპენსიო სისტემის მონაწილეებსა და საპენსიო ფონდების ანდერრაიტერებს შორის. ქვემოთ მოცემულია ტენდენციები, რომელიც მიემართება ზოგადად საპენსიო სისტემებს და არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის საპენსიო სისტემას განყენებულად:

1. განსაზღვრული ბენეფიტების სქემა (DB), სადაც ვალდებულებები ნაკლებადაა დაკავშირებული აქტივებთან და შემოსავლებთან, არის უფრო მგრძობიარე ვიდრე განსაზღვრული შენატანების სქემები (DC), სადაც ვალდებულებები ტოლია აქტივების ღირებულების;
2. კერძო საპენსიო სისტემისთვის უფრო რთული იქნება დამატებითი რესურსების მოძიება საჯარო საპენსიო სქემებთან შედარებით;
3. DB სქემის შემთხვევაში, რესურსების შევსებასთან დაკავშირებული რისკი (შენატანების ან ინვესტირებული რეზერვების ლიკვიდურად ქცევის შედეგად) ეკისრება ანდერრაიტერს (როგორც არიან დამსაქმებლები, ფინანსური შუამავლები ან, სახელმწიფო საპენსიო სისტემის შემთხვევაში, მთავრობა), DC სქემის შემთხვევაში, რისკი გადადის სისტემის ინდივიდუალურ წევრებზე.

ეს მახასიათებლები განსაზღვრავს კრიზისის გავლენას საპენსიო სქემებზე და იმ შესაძლო პოლიტიკას, რომლებსაც უნდა მიმართონ მთავრობებმა საპენსიო სისტემის მდგრადობისათვის საჭირო ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებისას.

ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა გადანაწილებითია საპენსიო სისტემა თუ დაგროვებითი, კერძო თუ საჯარო - DC სქემის შემთხვევაში, დაუყოვნებლივი ეფექტი არის კონტრიბუციებიდან მიღებული შემოსავლის შემცირება, რაც დამოკიდებულია ხელფასების შემცირებულ დონეზე. ამან შეიძლება შეამციროს სოციალური უსაფრთხოების ბალანსი და ასევე დაგროვების განაკვეთი, როგორც საჯარო ასევე კერძო DC სქემებისთვის. ბევრ საპენსიო სისტემას კრიზისის დროს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში აქვს უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, ანუ შემოსავალი შენატანებიდან და პორტფელის შემოსავლებიდან ნაკლებია გადახდილ ფულად ნაკადებზე. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი რისკი -

ვინაიდან უმუშევრობის გაზრდილი მაჩვენებლისა და საპენსიო შენატანების შემცირება ღღეს, საბოლოოდ მომავალში საპენსიო ფონდებს დააყენებს ორი ალტერნატივის წინაშე - დამატებითი სახსრების მოზიდვა ან მომავალი საპენსიო გადასახდელების შემცირება. ორივე შემთხვევაში ამან დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვევს საზოგადოებრივი სიმდიდრისა და კეთილდღეობის შემცირება.

აქტივების ფასების შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს DC სქემებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი უფრო მეტად გადადის სქემის წევრებზე. ვინაიდან DC სქემის ვალდებულებები მათი აქტივების ღირებულების ტოლია, არ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ვალდებულებები გადააჭარბებს აქტივებს. ამავე დროს, აქტივების დაბალი ღირებულება გარდაისახება უფრო დაბალ საპენსიო ანარიცხებში იმ წევრებისთვის, რომლებიც პენსიაზე გადიან - ან სხვაგვარად ახდენენ საკუთარი საპენსიო ანგარიშის ლიკვიდურობას კრიზისის დროს. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ხანდაზმული ასაკის მოსახლეობაში სიღარიბის ზრდა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც განსაზღვრული შენატანების სქემები (DC) დომინანტურ როლს ასრულებენ. რადგან DC სქემების შემთხვევაში დანაზოგების გატანა და მათი ადრეული მოხმარება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე განსაზღვრული სარგებლის (DB) სქემის შემთხვევაში. **ამიტომ მთავრობებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ისეთი ღონისძიებების გატარებისას, რომელიც წაახალისებს დასაქმებულთა ნაადრევ გასვლას პენსიაზე და/ან საპენსიო დანაზოგების ვადაზე ადრე გატანას.**

გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში საპენსიო სისტემებისათვის რისკის ბოლო ღონეს წარმოადგენს მთავრობების პირდაპირი ჩარევის აუცილებლობის დადგომა, განსაკუთრებით იმ საპენსიო სქემებისთვის, რომელთა ლიკვიდურობის გარანტიების გამცემი არის მთავრობა, როგორც ეს არის აშშ-სა (Pension Benefit Guaranty Corporation (PBGC)) და დიდ ბრიტანეთში (Pension Protection Fund (PPF)). კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში, საქმე გვექნება იმ ღონის შოკებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008-2009 წლებში, როდესაც გაჩნდა ისეთი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა გადარჩენასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ეკონომიკისთვის, რასაც მოჰყვა ტერმინი „too big to fail“ გაჩენა -

რაც სისტემურად იმდენად მნიშვნელოვანი ინსტიტუტების არსებობაზე მიუთითებს, რომ მთავრობები მათ ვერ მისცემენ გაკოტრების საშუალებას. Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავების შემთხვევაში, ასეთი შეიძლება გახდნენ მსხვილი საპენსიო ფონდები, რომელთა „გადარჩენის“ გარდაუვალობა სახელმწიფო ბიუჯეტებს კიდევ უფრო მძიმე ფისკალურ წნეხად დაანება.

მაშინ როცა მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკების საპენსიო სისტემები ამხელა გამოწვევების წინაშე დგანან, ბუნებრივია, მარტივი გზა არც საქართველოს ელის, მით უმეტეს კომპლექსური რეფორმის საწყის ეტაპზე. ზემოთ განხილული გამოწვევებიდან საქართველოსათვის განსაკუთრებით აქტუალურია დასაქმების ბაზრის მაჩვენებლები და მისი გავლენა საპენსიო სისტემაზე. რაც შეეხება საპენსიო სისტემის დაგროვებით ნაწილს, ვინაიდან საპენსიო რეფორმის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხები მხოლოდ საბანკო დეპოზიტებზეა განთავსებული, გლობალური ფინანსურ ბაზრებზე არსებული ტენდენციები და რისკები ჯერჯერობით პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივებზე. ამასთანავე, საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ 2020 წლის სექტემბერში დამტკიცებული „საინვესტიციო დოკუმენტის მიხედვით“ საშუალო და მაღალ-რისკიან აქტივებში ინვესტირება აკრძალულია 2023 წლის აგვისტომდე. თუმცა გრძელვადიან პერიოდში საქართველოს საპენსიო სისტემისთვისაც აქტუალური იქნება ყველა ის რისკი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.


დასკვნები და რეკომენდაციები

საპენსიო რეფორმამ უნდა უზასუხოს დემოგრაფიულ გამოწვევებს და უზრუნველყოს პენსიონერები ადეკვატური პენსიით აქტიურ სამუშაო პერიოდში არსებული სამუშაო სტაჟისა და მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით. ასევე, შეამსუბუქოს სახელმწიფო საპენსიო სქემის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური ვალდებულებების წნეხი. ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, საპენსიო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა თვალსაჩინოა საქართველოშიც. ამასთანავე, საპენსიო რეფორმის გატარების პროცესში აუცილებელია შესწავლილ და შეფასებულ იქნეს საპენსიო სისტემის გლობალური და ადგილობრივი პერსპექტივები, გაანალიზდეს საპენსიო უზრუნველყოფის მოდელეები, სხვადასხვა ქვეყანაში საპენსიო სისტემის რეფორმის წარმატებული და წარუმატებელი მაგალითები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საპენსიო სისტემის განვითარების ოპტიმალური კურსის განსაზღვრა.


ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოში მიმდინარე საპენსიო სისტემის რეფორმის მომავალი მიმართულებისათვის რეკომენდაციების განსაზღვრა, Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში. ასევე რეფორმამდე არსებული საქართველოს საპენსიო სისტემის რაოდენობრივი ანალიზი მისი ადეკვატურობისა და მდგრადობის შესაფასებლად ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში.

